# არა - ეთნიკურ

***15 აგვისტოს შეკვეთილში, „ბლექ სი არენას“ სცენაზე, ამერიკული ჯგუფის The Killers-ის კონცერტის დროს მოხდა ამბავი, რის გამოც საქართველო საერთაშორისო პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან სურს, მსოფლიოში უბინძურესი და მჩაგვრელი სახელმწიფოს იმიჯი შეგვიქმნას, სადაც რუსებს ზუსტად ისე დევნიან, როგორც ებრაელებს — ფაშისტურ გერმანიაში.***

ამთავითვე ვიტყვით: ამერიკულ ჯგუფ The Killers-ს წესად აქვს, კონცერტის მსვლელობისას მაყურებელთაგან სცენაზე ვინმე ისეთს უხმოს, ვისაც დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრა შეუძლია და საკუთარ რეპერტუარში ჩართოს. თავიდან **„ბლექ სი არენას“** სცენაზე ყველაფერი იდეალურად მიდიოდა, მაგრამ ღრიანცელი და წივილ-კივილი მაშინ ატყდა, როცა ამერიკული ჯგუფის სოლისტმა **ბრენდონ ფლაიერსმა** დარბაზში ერთ-ერთი მსმენელი შენიშნა, რომელსაც ხელში ეკავა პლაკატი ინგლისურენოვანი წარწერით — **„ბედი თუ გამიღიმებს, დღეს მე გავხდები თქვენი დრამერი!“**

მიუხედავად იმისა, რომ ფლაიერსთან დაცვის თუ სპეცსამსახურის თანამშრომელი მივიდა და გააფრთხილა, რომ **დრამერი, სახელად ანდრეი,** ეთნიკური რუსი იყო და სცენაზე მის მიპატიჟებას შესაძლოა, გარკვეული გართულებები მოჰყოლოდა, ამერიკელმა სოლისტმა რატომღაც რუსი არჩია, თუმცა, იქვე იყო ქართველი მედოლეც...

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში უკვე მკვიდრდება უბინძურესი და საშიში ტენდენცია — **სადაც კი რუსი გამოჩნდება, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ერთ-ერთი მესაძირკვლე და ქართველი ერის უდიდესი მეგობარი ნიკოლაი დურნოვოც რომ იყოს, ვიღაც ვიგინდარებმა და გეი-პროპაგანდისტებმა აუცილებლად ღვინოსა და ხაჭაპურში უნდა ჩაუფურთხონ, შეურაცხყოფა მიაყენონ და „პუტინ ხუილო!“ ეძახონ.** რა მოჰყვება ამას, ცხადია, არავინ ფიქრობს ანდა ამ ყველაფერზე ნაფიქრი აქვთ და ასე იმიტომაც ირჯებიან.

თუ ეს უბედურება არ შეჩერდა, ცხადია, ერთ მშვენიერ დღეს მოსალოდნელია კრემლის უმკაცრესი პასუხიც — **რუსეთიდან ქართველთა მასობრივი დეპორტაცია, სკინხედებისა და მსგავსი პროფაშისტური ჯგუფების მიერ ქართველთა რესტორნების, კაფეებისა და ბიზნეს-ობიექტების გადაწვა, მასობრივი ცემა-ტყეპა ან მკვლელობა და სატვირთო თვითმფრინავებით ჩვენი ხალხის რუსეთიდან გამოპანღურება, როგორც ეს 2006 წელს მოხდა.**

მოკლედ, ამერიკელმა სოლისტმა **ბრენდონ ფლაიერსმა** გაფრთხილება და ხალხის გარკვეული ჯგუფის პროტესტი არად ჩააგდო და აღტყინებულ პუბლიკას დიდის ამბით წარუდგინა ეროვნებით რუსი დრამერი. ამ ნაბიჯს მაყურებელთა ნაწილი სტვენით, შუა თითის ჩვენებითა და ბინძური შეძახილებით შეხვდა და რამდენიმე ასეულმა კაცმა არენაც დატოვა. **ნომერი რომ დასრულდა, ეთნიკური ნიშნით სეგრეგაციის, აპარტეიდის და ჩვეულებრივი ფაშიზმის ქართველმა აპოლოგეტებმა, რომლებსაც გულის ჯიბეში ანი წითლიძის, საკაშვილის, ზურაბ-გირჩის ანდა ელისტრაკო კილაძის ძმადნაფიცის — თემურ ალასანიას სურათები უდევთ,** The Killers-ის წევრების მიმართ აგრესიის გამოხატვას კიდევ უფრო უმატეს. ბრბომ განსაკუთრებით ის იწყინა, როცა ამერიკელმა მომღერალმა ერთ-ერთ ტვინგახურებულ მაყურებელს მიმართა — **„არ შეგიძლია ძმის ცნობა? ის რუსი დრამერი არ არის შენი ძმა?.. მე არ ვარ შენი ძმა, რადგან ამერიკელი ვარ?“**

საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ამერიკულმა ჯგუფმა და „ბლექ სი არენას“ ადმინისტრაციამ მოიბოდიშა — **მსგავსი ინციდენტი აღარ განმეორდებაო!**

**ჩვენ კი გვგონია, რომ**

## მსგავსი ინციდენტები არათუ განმეორდება, არამედ უფრო მოხშირდება და ეს ბაკქანალია გაგრძელდება მანამ, სანამ ამა თუ იმ მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურების მეცადინეობით ქართველ ერს საბოლოოდ არ შეექმნება მოძალადის, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინატორისა და სეგრეგაციის აპოლოგეტის იმიჯი!

როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან უნდა, **„სტუმარ-მასპინძლის“, „ჴაკი აძბას“, „ალუდა ქეთელაურისა“ და „გამზრდელის“** სამშობლოში სატანური ჯარა ისე დაატრიალოს, რომ ფასი და სტატუსი დაუკარგოს იმ ოქროს სიტყვებს, რაც მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთმა გამორჩეულმა სახემ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **მარგარეტ ტეტჩერმა** 1987 წლის აპრილში თბილისიდან ლონდონში ჩასვლის შემდეგ ჟურნალისტებს საქართველოსა და ქართველების შესახებ განუცხადა — **„მე მინდოდა, თვალებში ჩამეხედა იმ ხალხისთვის, რომელმაც ისტორიის განმავლობაში არასდროს იცოდა, თუ რა არის ზიზღი სხვებისადმი!“**

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენ გამუდმებით გვიბიძგებენ, ჩამოვყალიბდეთ იმ სოციალურ ნახირად, რომელმაც სხვა ერები და ხალხები საკაშვილლომაიასეული ლოტოტრონის პრინციპით უნდა შეიყვაროს ან შეიზიზღოს. ასე, მაგალითად, ოკეანის გაღმა დაწერილი ინსტრუქციით, **ოკუპანტი თურქეთი, რომელმაც საქართველოს ისტორიული მესხეთის**



ამერიკული ბენდი THE KILLERS და მისი კონცერტის აფიშა






რუსი დრამერი, რომელიც ამერიკულმა ბენდმა „ბლექ სი არენას“ სცენაზე აიყვანა

## რა მოხდა „ბლექ სი არენას“ სცენაზე ამერიკული ჯგუფის THE KILLERS-ის კონცერტის დროს?

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



ჩემი **თანამდებობის დატოვებას** წყვეტს პრემიერი, პარტია, გუნდი და თუ ისინი გადაწყვეტენ, არაფერი არ გამიჭირდება — **დაახლოებით, 9 წელია, თანამდებობაზე ვარ, ერთი 100-ჯერ მაინც ვარ ოპოზიციის მიერ გადაყენებული.**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



შემთხვევითი არაა, რომ კონსტიტუციაში პირველი, რაც გვიწერია, **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა — ეს უნდა გავაკეთოთ არა ომითა და შუღლით, არამედ — განვითარებით, გონიერებით, განათლებით, ეკონომიკური წინსვლით.**

„რეზონანსი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



სტიქიის შედეგებთან ერთად **ტრაგედიით მოსარგებლეების მიერ გავრცელებულ სიცრუეს თუ მანიპულაციებსაც ვებრძვით,** რომლებმაც, ცალკეულ შემთხვევებში, სტიქიისგან დაზარალებული ადამიანების ნაწილზეც იმოქმედა.

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ვხედავთ, რამდენად დიდია სურვილი, **ბუნებრივი სტიქია დაბრალდეს ხელისუფლებას,** როგორ იმედით უყურებენ ნებისმიერ სატელიტურ სურათს და მონაყოლს, რომ იქნებ ხელმოსაჭიდი ნახონ.

„ინტერპრესნიუსი“

# სიძულვილს!

„ბლექ სი არენაში“ კონცერტზე დამსწრეთა ნაწილმა ასეთი უხამსი ჟესტით გააპროტესტა ამერიკული ბენდის მიერ სცენაზე რუსი დრამერის აყვანა

## „სტუმარ-მასპინძლის“, „ჰაკი აძბას“, „ალუდა ქეთელაურისა“ და „გამზრდელის“ სამშობლოს ეთნიკური ნიშნით ადამიანთა სეგრეგაციისკენ უბიძგებენ!



**25 ათასი კვადრატული კილომეტრი მოგლიჯა, თურმე უნდა გვიყვარდეს, რადგან თურქეთი ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ და „სტრატეგიული პარტნიორია“, ხოლო რუსეთი, რომელმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა, უნდა გეზიზღებოდეს, რადგან ოკუპანტია!**

აი, მაგალითად, უცხო ქვეყნის აგენტ **ანა ნაცვლიშვილს** რომ ჰკითხო — **მამაშენმა, ამირან ნაცვლიშვილმა, მთელი ავტოქარხნის დანადგარები და იშვიათი ჩარხები თურქეთში რომ „გაასუხარა“ და მერე მოსკოვს შეაფარა თავი, სადაც ფადიშაჰივით ცხოვრობდით, ეგ როგორ არის და რუსეთსა და თურქეთს შორის ოკუპანტი რომელია-თქო? — აუცილებლად აკივლდება და აჩხავლდება — რუსეთი ოკუპანტიაო!**

ამავე შეკითხვით მაღლაკიდან თბილისში ფუფალას ქოლგითა და ფერუმარილით ჩამოხეტებულ **ნანულია ჟორჟოლიანს** რომ მიმართო, აზრი არ აქვს, რადგან სოციალურ ქსელებში დღემდე სამარცხვინოდ კითხულობს — **თურქეთმა რომელი მიწები წაგვართვაო?**

ქართველების აგრესორებად, კრიმინალებად, სხვა ერების მოძულეებად და ეთნიკური ნიშნით სეგრაგაციის აპოლოგეტებად შერაცხვა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ცნობილი ამერიკული ბლოკ-პასტერი — **„წითელი სიცხე“ არნოლდ შვარცენეგერის** მონაწილეობით საბჭოთა ვიდეოგაქირავებაში გამოჩნდა. თუ გახსოვთ, იქ საბჭოთა კრიმინალის როლში გამოყვანილია **ბანდიტი ვიქტორ რუსტაველი.** ანუ

**ჩვენი საფიცარი შოთა რუსთაველისა და, ზოგადად, ქართველების გაიგივება აგრესორებთან, კრიმინალებთან, მკვლელებთან და ნარკობარიგებთან 80-იან წლებში ყველაზე**

**პირველად ამერიკელებმა სცადეს და არცთუ წარუმატებლად.**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

### *შეკვეთილში „ბლექ სი არენას“ საკონცერტო დარბაზში მსმენელთა ერთმა ჯგუფმა სტვენითა და უცენზურო შეძახილებით დატოვა ამერიკულ ჯგუფ The Killers-ის კონცერტი მას შემდეგ, რაც ჯგუფის სოლისტმა სცენაზე ეროვნებით რუსი დრამერი აიყვანა — აქაოდა, ჩვენ ყველანი ძმები ვართო! ეთანხმებით თუ არა საზოგადოების ამ ნაწილის აგრესიას?*



**ლევან ანჯაფარიძე**, ***რეჟისორი:*** — პირველი — რომ მიდიხარ მთავრობის დაფინანსებულ კონცერტზე და აპროტესტებ, უკვე არასწორია... მაშინ, ნუ წახვალ შენი გამორჩეული „პატრიოტიზმის“ (შემაზიზღეს ეს სიტყვა) გამო!

მეორე — მე ვარ ქართველი! არ ვარ არც უკრაინელი, არც — რუსი და არც — ამერიკელი... **მე ჩემებმა „სტუმარ-მასპინძელით“ გამზარდეს და ჩემი შვილებიც ასე დაფრთიანდნენ!**

და მესამე — **ფაშიზმია, რა თქმა უნდა, ოღონდ აქაც არის სხვაობა — ფაშისტებს თავისიანები მაინც უყვარდათ, ამათ არავინ უყვართ!**



**ელიზბარ გვენეტაძე**, ***პროფესორი:*** — არცერთ შემთხვევაში! **ვინაიდან, ეგ არის ფაშიზმი!**



**ვასილ ტაბიძე**, ***ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი:*** — ნამდვილად ვერ გავამტყუნებ იმ ხალხს, ვინც გააპროტესტა რუსი მუსიკოსის აყვანა სცენაზე. იმ მრავალწლიანი აგრესიის და დაუსრულებელი ოკუპაციის გამო აღარც მაგათი მუსიკა უნდა ხალხს, აღარც — სპორტი და აღარც — არაფერი.



**ბესო ზანგური**, ***მსახიობი:*** — ფაშისტები არ ეხებოდნენ ხელოვნების ნიმუშებს და ხელოვნებას! ესენი მაგასაც ეხებიან!



**ლაშა გოლუბიანი**, ***ადვოკატი:*** — არ შეიძლება, ველურებივით ვიქცეოდეთ და ყველა რუსს ასე დავდევდეთ. ამ ვაი-პატრიოტებს, ზოგადად, კონცერტი რომ გაეპროტესტებინათ და ამ გლოვის დღეებში, შოვის ტრაგედიის ფონზე მისი ჩაშლა მოეთხოვათ, აი, ეს იქნებოდა სწორი საქციელი. ცხედრები ნაპოვნი არაა ჯერ და ამ დროს კონცერტებზე სიარული არაადამიანობად მიმაჩნია!



**ნინი რთველიაშვილი**, ***ცხოველთა უფლებების დაცვის აქტივისტი:*** — საქართველოში რუსის გარდა, დრამერი დაილია? მსმენელის რეაქცია აუცილებლად უნდა ყოფილიყო და კიდევ კარგი, რომ იყო! მე ბევრად უფრო პრინციპული პოზიცია მაქვს რუსების მასობრივ შემოდინებასთან და ჩასახლებასთან მიმართებაში, ვიდრე ეს „ქილერსის“ კონცერტზე გამოვლინდა. არის ლეგიტიმური ეჭვი, რომ უნიჭო სცენარი არსებობდა. კიდევ კარგი, რომ ინციდენტში არ გადაიზარდა, იქ მუსიკა მეორეხარისხოვანი გახდა. გავრილოვის თავზე დასმის გაგრძელებები არ გვჭირდება ამ ქვეყანაში!



**ლაშა გეგეჭკორი**, ***ენერგეტიკოსი, მიუსაფარ ცხოველთა თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის ყოფილი უფროსი:*** — საზოგადოების ამ ნაწილს არ გაუპროტესტებია ნაცმოძრაობის სიის პირველი ნომრის რუსულად შესრულებული სიმღერა თავისუფლების მოედანზე! **კონცერტის დროს ამ ანსამბლს ტრადიციაში აქვს ამა თუ იმ ინსტრუმენტზე დამკვრელის ამოყვანა დამსწრე საზოგადოებიდან და წინასწარ არავინ იცის, რა ეროვნების იქნება ის.** ამჯერად რუსი აღმოჩნდა და მიუღებელიაო, ვინც ამას ამბობს, ფაშიზმის აღზევებას უწყობს ხელს. იქნებ დადონ მაგალითი — იაპონიაში თუ გმობენ ამერიკელის სცენაზე ასვლას და ა.შ. არ დაგვავიწყდეს — ამერიკელებმა ორი ატომური ბომბი ჩააგდეს იაპონიის ქალაქებში!



**ირაკლი კაკაბაძე**, ***მწერალი:*** — საქართველო დღეს ოკუპირებულია და ჩაგრულია ჩრდილოელი მეზობლისგან. ეს უკვე 200-ზე მეტი წელიწადია, რაც გრძელდება. ამერიკული როკ-ჯგუფი „მკვლელები“, როგორც ეტყობა, არ იცნობდა ამ სიტუაციას. ჩვენი იარა ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული. მე პირადად ჩემი საყვარელი ბიძაშვილი მომიკლეს რუსმა ოკუპანტებმა, კიდევ ბევრი მეგობარი. ვიდრე იმპერიალისტური პოლიტიკა გრძელდება, ასეთი აქტების მოწყობა საქართველოს ტერიტორიაზე პროვოკაციის ტოლფასია. ასეც გამოუვიდათ როკ-ჯგუფის წევრებს — ქართველ ხალხს იარაზე წიწაკა დაგვაყარეს. კარგია, რომ ბოდიში მოიხადეს, თუმცა, ძალიან საშიში პრეცედენტი შექმნეს. ცხადია, **ჩვენ არ უნდა დავაბრალოთ გორბაჩოვის, ელცინის და პუტინის დანაშაულები უბრალო რუს მოქალაქეს, მაგრამ ეს ხომ სიმბოლური აქტი იყო.** თუკი ამერიკა დაეხმარება უკრაინას და საქართველოს ჩვენი რუსული ოკუპაციის პრობლემის მოგვარებაში და მშვიდობიანად გათავისუფლებაში, მაშინ ყველანი გავიხარებთ. მანამდე კი ასეთი „აქტების“ ადგილი აქ არ არის. დიდმა ამერიკელმა პრეზიდენტმა **ვუდრო უილსონმა** ხომ თქვა: **„თუკი მსოფლიოში მშვიდობა გვინდა, დიდი უნდა იყოს სამართლიანი და პატარა — დაცული“.** ამაშია მთელი საქმე. და ეს The Killers-მაც უნდა იცოდეს, თუ არ უნდა, პატარა ხალხის მართლა მკვლელი გამოვიდეს.



**ამირან ამირანაშვილი**, ***მსახიობი, რეჟისორი:*** — **არ შეიძლება ადამიანების სიძულვილი ენის, რასისა და წარმომავლობის გამო!**



**ალეკო თეთრაშვილი**, ***მსახიობი:*** — რუსი ხალხი ქართველი ხალხის მტერი არ გახლავთ. პირიქით, ხელოვნება აახლოებს ხალხებს და აღრმავებს კულტურულ ურთიერთობებს....

ის, რაც ბათუმში მოხდა, **ესაა ტიპური ფაშიზმი და ეთნოშუღლის გაღვივება,** რაც სისხლის სამართლით ისჯება და საქართველოს მთავრობა ვალდებულია, ბოლოს და ბოლოს, გამოიჩინოს პრინციპულობა და კანონით აღკვეთოს მსგავსი გამოხტომები.



**დავით სხირტლაძე**, ***მუსიკოსი, მომღერალი:*** — შეგრძნება მაქვს იმისა, რომ კვლავ ნაცხროვის ხელისუფლების პირობებში ვცხოვრობთ. ყოველთვის ქართველი ადამიანის ჯანმრთელ ტოლერანტობაზე იდგა ჩვენი სახელმწიფო და მისი მომავალი. სცენაზე რუსი ავა თუ ამერიკელი, მნიშვნელობა არა აქვს, ამგვარი „პროტესტის“ გამართლება — სუსტი და მშიშარა ადამიანების ლოგიკაა, ეს ადამიანების ეროვნების მიხედვით დაყოფაა, ფაქტობრივად, ფაშიზმია!



**ბაკურ სვანიძე**, ***ჟურნალისტი, იუმორისტი, ბლოგერი:*** — თუ კაცს ქვეყანაში შემოუშვებ, პატივიც უნდა სცე. ვიღაცა იტყვის — აბა, შეურაცხყოფას გაყენებენ, თავხედურად იქცევიან და გავჩუმდეთო? თავხედურად თუ გექცევა და შეურაცხყოფას გაყენებს, მტერს კი არა, მოყვარესაც უნდა უპასუხო, ხოლო სცენაზე ასვლა და დაკვრა არც შეურაცხყოფაა და არც — თავხედობა. ზოგადად კი, როდესაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ტალახში ჩაკარგული სხეულის ფრაგმენტების ძებნა და უბედურებიდან 10 დღეც არ არის გასული, კონცერტზე საერთოდაც არ უნდა წახვიდე — ეროვნულობა და პატრიოტიზმი ეს უფროა, ვიდრე ვიღაც რუსი დრამერის მიმართ ფშტვენა!

*მოამზადა* ***ნინო პაპოშვილმა***

## კვირგვინოსნები



**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*

**რატომ არ წამიყენეს ბრალი 2.5 წლის წინ?** — იმიტომ, რომ ამის გაკეთება ჩემი პოლიტიკური კამპანიის პერიოდში სურდათ — **კუდიანებზე ნადირობა!**

„ინტერპრესნიუსი“



**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*

ოპოზიცია **ომებითა და ტრაგედიებით ცხოვრობს,** ეს არის მისი სტილი.

თუ ვინმეს ჰგონია, **როცა კანდიდატის სტატუსს მოგვანიჭებენ, საქართველოში ევროები გადმოცვივდება, ეს ასე არ არის** — კანდიდატის სტატუსი ორმა ქვეყანამ მიიღო, მაგრამ იქ ევროები არ ცვივა და რაიმე სასწაული არ ხდება.

„ინტერპრესნიუსი“



**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*

მე ხშირად ვსარგებლობ **რიკოთის გზით** და მომავალშიც ასე ვაპირებ. **რიკოთის პროექტის უკან ავტორიტეტული ინსტიტუცია დგას,** რაც მშვიდად ყოფნის საფუძველს გვაძლევს, რომ პროცესი სწორად იმართება.

მთელ ოპოზიციას, რომც **გაერთიანდეს ყველა ხმა,** არითმეტიკულად მაინც გაუჭირდება **კონკურენციის გაწევა** ხელისუფლებისთვის.

„იმედინიუსი“



**ირაკლი ქარსელაძე**
*რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი*

**რიკოთის მონაკვეთზე მეწყერი არ გააქტიურებულა,** აღმოჩენილი იყო პოტენციური კერა, ჩატარდა ღონისძიებები და **დღეს რიკოთი არის უსაფრთხო,** ეს ოპონენტებმაც ძალიან კარგად იციან. „რეზონანსი“



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

თუ დააცდიან ქვეყანას, **რიკოთის რეაბილიტაცია ერთ-ორ წელიწადში დასრულდება,** ეს გზა „ქართული ოცნების“ წევრებისთვის არ შენდება, შენდება ქვეყნისთვის.

„იმედინიუსი“

# არა – ეთნიკურ

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**„წითელი სიცხე“ შვარცენეგერის ერთ-ერთი საკულტო ფილმია, რომელსაც უკვე თაობები უყურებენ, იშხამებიან და ერთი სული აქვთ, როდის ამოხოცავს „კეთილი“ არნოლდ შვარცენეგერი „ბოროტ“ ქართველ „რუსტაველსა“ და მის ბანდას, რომლებიც ნებისმიერ სისაძაგლეზე აწერენ ხელს!**

90-იან წლებში, როცა საქართველოში პოლიტიკური ქარბორია დატრიალდა და ეროვნულ ხელისუფლებას ე.წ. „ინტელიგენცია“ დაუპირისპირდა, ქართველმა მოღალატეებმა ოსების მიერ ცეცხლში დამწვარი ქართველი ვაჟკაცის **მერაბ მინდიაშვილის** გვამი გადაიღეს, მასალა ჯერ ისრაელში გაიტანეს და შემდეგ მთელ ევროპას აჩვენეს — **შეხედეთ, ფაშისტი გამსახურდია საცოდავ ოსებს რას უშვრებაო!**

იმავე მოღალატეებმა, **სალომე ზურაბიშვილისა და მერაბ მამარდაშვილის** მეთაურობით, ფრანგულ „ლე მონდში“ წერილი გამოაქვეყნეს — **ზვიად გამსახურდიამ ოსი ეროვნების ადამიანებს ერთ შვილზე მეტის ყოლის უფლება აუკრძალაო!** ხოლო საქართველოს გენერალურმა პროკურორმა **ვახტანგ რაზმაძემ** პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სწორედ **„ოსების გენოციდის“** ბრალდებით აღძრა — აქაოდა, სომხები ასე უფრო გადმოგვცემენ დევნილ ზვიადს, რომელიც იჯევანს ჯერაც არ გასცილებულაო!

**მოკლედ, საერთაშორისო-პოლიტიკურ არენაზე ნელნელა და მიზანმიმართულად მზადდება ნიადაგი, რათა ქართველები, რომლებიც ოდითგანვე „სტუმარს ღვთის კაცად თვლიან“, გამოცხადნენ აგრესორებად, ეთნიკური ნიშნით სეგრეგაციის აპოლოგეტებად და ინკვიზიტორებად!**

15 აგისტოს შეკვეთილში, „ბლექ სი არენას“ სცენაზე, ამერიკული ჯგუფის The Killers-ის კონცერტი და შემდეგ განვითარებული მოვლენები, რაც რუსი დრამერის გამოჩენას მოჰყვა, სწორედ ამის დასტურია!

**ადოლფ ჰიტლერი,** რომლის მმართველობის დროსაც რასობრივი დისკრიმინაცია მესამე რაიხის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა, როგორც ირკვევა, სწორედ ამერიკული ფულით გააძლიერეს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოდენეს, რათა ხორცი შეესხათ **პრეზიდენტ ტრუმენის** დოქტრინისთვის — **თუ გერმანელები აჯობებენ რუსებს, ჩვენ დავეხმარებით რუსეთს, ხოლო თუ რუსები აჯობებენ გერმანელებს, მაშინ დავეხმარებით ჰიტლერს! მთავარია, სტალინმა და ჰიტლერმა, რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ხოცონ ერთმანეთი!**

ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლას საბოლოო ჯამში ის შედეგი მოჰყვა, რომ ომით დანგრეული და გაწამებული ევროპა ამერიკული „მარშალის გეგმითა“ და „ტრუმენის დოქტრინით“ ვაშინგტონის სამხედრო-პოლიტიკურ ადმინისტრაციას დაემონა.

**ევროპის მონობა დღემდე გრძელდება!**

**იმისათვის, რომ საქართველოც საბოლოოდ შეუერთდეს ამ მონათა ბაზარს, ქართველს აუცილებლად უნდა სძულდეს რუსი დრამერი ანდრეი, რომელიც ამერიკელმა ბრენდონ ფლაიერსმა „ბლექ სი არენას“ სცენაზე აშკარად მიზანმიმართულად და პროვოკაციულად მიიწვია!**

**„ბლექ სი არენას“ სცენა რუსებისა და ამერიკელების საჭიდაოდ მცირეა!**

**ამ საქმისთვის უფრო ბერინგის სრუტეს ვარჩევდი!**

ყველაზე მთავარი —

## ბიძინა ივანიშვილს ეს უნიკალური საკონცერტო დარბაზი საჩხუბრად არ აუშენებია, სასიმღეროდ ააშენა, რომელიც კი არ გვყოფს, არამედ გვაერთიანებს!

*დიტო ჩუბინიძე*




საერთაშორისო პრესის გამოხმაურება შეკვეთილში ამერიკული ბენდის THE KILLERS-ის კონცერტზე მომხდარ ინციდენტზე




***ანდრეი შეამჩნიეს და სცენაზეც მიიწვიეს! მან ხომ წინასწარ მიიღო ზომები, რათა საყვარელი ამერიკული ჯგუფის The Killers-ის კონცერტზე ჯგუფის სოლისტს ბრენდონ ფლაუერსს შეემჩნია. ამ მიზნით ხელში პლაკატი დაიკავა, რომელზეც ეწერა: „ბედი თუ გამიღიმებს, დღეს მე გავხდები თქვენი დრამერი!“ ანდრეი სტუმართმოყვარე საქართველოში დასასვენებლად და საყვარელი ჯგუფის კონცერტზე დასასწრებად ჩამოვიდა, მაგრამ, თურმე, ბედი მაინც არ ჰქონია, რადგან რუსად იყო დაბადებული. იმის მიუხედავად, რომ რუსი ანდრეი საქართველოში არც ავტომატით შემოსულა, არც ტანკით, მაინც იქცა ბათუმში მისი საყვარელი ჯგუფის კონცერტის ჩაშლის მიზეზად. დარბაზის ნაწილმა მას დაუსტვინა და „ოკუპანტი“ უწოდა.***

*„ეროვნული ნიშნით მშვიდობიანი ადამიანების დევნამ საქართველო შესაძლოა, ტრაგიკულ შედეგებამდე მიიყვანოს!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სამცხე-ჯავახეთის რწმუნებულის მოადგილემ, ცნობილმა ქართველმა მომღერალმა, ჯგუფის „ქუჩის ბიჭები“ დამფუძნებელმა და სოლისტმა***

## ზურა ხაჩიძემ:

— იმის გამო, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტია და ქვეყნის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხები შემოედინება, ხელისუფლება დამსვენებელთა მოსაზიდად და მათთვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად ძალებს არ იშურებს. ამ მიზნით საქართველოში მოიწვიეს მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში საკმაოდ პოპულარული ამერიკული მუსიკალური ჯგუფი The Killers. პოპულარობის ხარისხიდან გამომდინარე, მათი საქართველოში ჩამოყვანა იოლი არ იყო. ჯგუფის აუდიტორიას თინეიჯერებთან ერთად საშუალო ასაკის მსმენელებიც შეადგენენ. ჯგუფს გააჩნია მისი ფანებისთვის საყოველთაოდ ცნობილი ტრადიცია — კონცერტის მსვლელობისას დარბაზიდან სცენაზე მიიწვიონ დრამერი (დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი). მრავალ ფანს უოცნებია, სწორედ მას გაეწია ცნობილი ბენდისათვის აკომპანიმენტი და ამგვარად გამხდარიყო საზოგადოებისთვის ცნობადი. ამჯერადაც, როდესაც ამ ტრადიციის აღსრულების დრომ მოაწია, ჯგუფის სოლისტმა **ბრენდონ ფლაუერსმა** სცენაზე მოიხმო ახალგაზრდა, რომელსაც ხელში ეკავა პლაკატი, ინგლისური წარწერით: **„ბედი თუ გამიღიმებს, დღეს მე გავხდები თქვენი დრამერი!“** გამორიცხულია, რაიმე წინასწარ ყოფილიყო დადგმული. დრამი ისეთი ინსტრუმენტია, შეუძლებელია მასზე დილეტანტმა დაუკრას. მე დავაკვირდი და შევამჩნიე, რომ საკმაოდ კარგად დაუკრა ამ ბიჭმა! ჯგუფის სოლისტი გაესაუბრა სცენაზე ამოსულ მსმენელს და ჰკითხა — საიდან მოვიდა. შეიძლება, ის ახალგაზრდა საქართველოში მხოლოდ იმ მიზნით იმყოფებოდა, საყვარელ ბენდთან სცენაზე მოხვედრის შანსი გამოეყენებინა. როდესაც პასუხად მიიღო, რომ ის რუსეთიდან ჩამოვიდა, წამყვანისთვის მოულოდნელად და ჩვენდა სამარცხვინოდ, დარბაზის ნაწილმა უკმაყოფილების გამოხატვა შეურაცხმყოფელი შეძახილებით და სტვენით იწყო, რამაც კონცერტის ჩაშლა განაპირობა!

**— რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?**

— ეს მართლაც, ძალიან სამარცხვინო მოვლენაა. მახსენდება გერმანელი პოეტის **ჰაინრიხ ჰაინეს** წინასწარმეტყველური სიტყვები: **„იქ სადაც წიგნებს**

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციამ გამოიძიოს, **შოვში ახალი სასტუმროების მშენებლობის ნებართვა ვინ გასცა. რიკოთის გზის** მშენებლობა ისეთი პროექტია, რომელიც **უკავშირდება არამხოლოდ ადამიანების უსაფრთხოებას, უკავშირდება ეროვნულ უსაფრთხოებასაც.**

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



ოპოზიციამ ხალხს უნდა აუხსნას, **თავად რითია მოქმედ ხელისუფლებაზე უკეთესი,** თორემ მხოლოდ „ქართული ოცნების“ კრიტიკით მომავალი წლის **საპარლამენტო არჩევნებზე წარმატებას ვერ მიაღწევს.**

„რეზონანსი“

**თამაზ ხუბუა**
*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი*



აფხაზეთში **ომი არ იქნება.** ადამიანებთან **მოლაპარაკება აუცილებელი იქნება.** ზოგი ამას შეიძლება პესიმისტურად უყურებს, მაგრამ **ნდობის აღდგენას ალტერნატივა არა აქვს.**

„ახალი თაობა“

**ჯაბა ზარქუა**
*ექიმი*



თუ მოღალატეობრივი აქტია **8 აგვისტოს მიჩნევა რუსული აგრესიის დაწყების თარიღად,** მაშინ ვინ აკეთებდა ამას წლების მანძილზე და რატომ?

„იმედინიუსი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



2008 წლის ომს, **შინდისის გმირობის მაგალითებთან ერთად,** აქვს ძალიან ბევრი **სიმხდალისა და ღალატის მაგალითიც,** როდესაც ქვეყნის მთავარსარდალი გორში თვითმფრინავის ხმაზე გაიქცა.

„პირველი არხი“

# სიძულვილს!




## ზურა ხაჩიძე:

## მუსიკას არა აქვს საზღვარი! კონცერტზე მოსულ საზოგადოებას მუსიკა აერთიანებდა და სრულიად უადგილო იყო დარბაზში წარმოქმნილი რუსოფობიური ტალღა!

**წვავენ, ადამიანებსაც დაწვავენ!“** გერმანელმა ფაშისტებმა თავიანთი სამარცხვინო კარიერა მართლაც მათთვის მიუღებელი მწერლების წიგნების დაწვით დაიწყეს და ადამიანების დაწვით გააგრძელეს. არ მინდა, საქართველოში ოდესმე მსგავსი მოვლენა მოხდეს! ხელოვნება, მუსიკა საერთაშორისო დიპლომატიის ენაა, რომელიც მსოფლიოს ხალხებს აერთიანებს. **მუსიკას არა აქვს საზღვარი! კონცერტზე მოსულ საზოგადოებას მუსიკა აერთიანებდა და სრულიად უადგილო იყო დარბაზში წარმოქმნილი რუსოფობიური ტალღა.**

დიახ, დარბაზში გამოვლინდა უადგილო და გაუმართლებელი სიძულვილი ყოველივე რუსულის მიმართ! საზოგადოების ნაწილისთვის ისიც კი მიუღებელი აღმოჩნდა, რომ ანდრეი წარმოშობით რუსეთიდან იყო, არადა, შეიძლება სულაც არ იყო რუსი! **ანდა რა შუაში იყო ანტისაოკუპაციო რეპლიკები?** დარბაზში იმყოფებოდა ძალიან ბევრი რუსულენოვანი ტურისტი და თითოეულს, მათ შორის, რუს მსმენელსაც თანაბარი შანსი ჰქონდათ, სცენაზე მოსახვედრად.

სხვათაშორის, რუსებთან ერთად შავი ზღვის აჭარის სანაპიროზე ისვენებს უამრავი უკრაინელი ტურისტიც და მე არ მსმენია, რუს ტურისტებთან მათ განხეთქილება ჰქონოდეთ! საკონცერტო დარბაზშიც იყო უამრავი უკრაინელი და მათ არ გასჩენიათ სცენაზე რუსი დრამერის მიწვევის გამო პროტესტი!

**გასაგებია, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწილი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, მაგრამ ყველა რუსი ხომ ოკუპანტი არ არის, შესაბამისად, სრულიად მიუღებელია პროტესტი და რისხვა იმ რუსების მიმართ, რომლებიც მშვიდობიანად, ტურისტებად ჩამოვიდნენ საქართველოში.**

მახსენდება — 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი მეომრების ცხედრები საფლავში ბოლომდე გაციებული არ იყო, როცა სააკაშვილი თავისი ფეხით ავიდა ლარსზე და ყოველ შემხვედრ რუსს საქართველოში ტურისტად ჩამოსვლას ეხვეწებოდა! ასე რომ, **უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ვერ გამოდგება რუსი დრამერის სცენაზე მიწვევის გამო გაჩენილი უადგილო პროტესტის გასამართლებლად!**

**— არადა, საზოგადოების ნაწილი რუსოფობიურ განწყობას უკრაინის მოვლენებით ხსნის.**

— არცერთი შთამბეჭდავი გამარჯვება თუნდაც ერთი ბავშვის დაღუპვის ფასად არ ღირს! არ მინდოდა ახლა აქ ამის თქმა... სულ რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი ბათუმიდან, შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო გავაუქმეთ კონცერტი და დავბრუნდი დედაქალაქში. შემძრა თანამემამულეთა ტრაგიკულმა აღსასრულმა! ჩემთვის გაუგებარია იმათი პოზიცია, ვინც შოვის ტრაგედიის ფონზე დასვენება-გართობაზე უარს არ ამბობს. ისე კი, თუ ქვეყანა ოკუპირებულია და მეწყერშია ჩაფლული, საერთოდ, რა გეკონცერტება, შე დალოცვილო?!

საკითხის მეორე მხარეა ის, რომ **ასეთი „პროტესტებით“ ვერც ოკუპაციის შედეგებს აღმოვფხვრით და ვერც ვინმეს შევაშინებთ.**


Антон Тихонов
Илья, да там больше Хохлов чем грузинов. Вперемешку. Вот Хохлы то и орут
сегодня в 8:45 ♡ 3
— Показать следующие комментарии

Павел Лазарев
Когда Грузия воевала это значит нормально, а как только начала воевать Россия - это плохо. Грузины свалите из России все.
сегодня в 7:27 ♡ 135

Ирина Романова
Павел,
сегодня в 7:28 ♡ 1
— Показать следующие комментарии

Захар Онищенко
Нам что тоже притеснять теперь Грузинов в России?
Нет, мы Русские, так не падаем
сегодня в 7:28 ♡ 42

какая красота настанет!!! Воздух,чистые улицы,и криминал спадет сразу
сегодня в 8:52 ♡ 46

Кирилл Ковалев
Татьяна, пропагандируете национал-социализм?
сегодня в 11:01 ♡ 4
— Показать следующий комментарий

Виктория Колоскова
Собирайтесь все грузины и уезжайте с России ,на родину к себе.
сегодня в 9:11

Елизавета Никитина
Виктория, они имеют право жить там,где хотят. Не надо вестись на тупые ультраправые выпады
сегодня в 9:18

**რუსული სოცქსელების მომხმარებელთა რეაქცია შექვეთილში ამერიკული ბენდის კონცერტზე მომხდარ ინციდენტზე**

დიდი შოთა რუსთაველი ამბობდა: გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო — ჩვენისთანა პატარა ქვეყანა საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას დიპლომატიის გზით უნდა ცდილობდეს. ესენი კი, რას სჩადიან? მშვიდობიან რუს ტურისტებს შეურაცხყოფენ — ვინძლო, რუსეთის სახელმწიფოს ახალი აგრესია გამოიწვიონ! გავაცნობიეროთ, რა გადანაწილების პროცესი მიდის მსოფლიოში. რისხვა დავიცხროთ და საქართველოს მომავალზე ვიზრუნოთ. ისე ნუ მოვიქცევით, რომ უკრაინიდან რუსული ტანკები საქართველოსკენ შემოტრიალდნენ!

**— ვინმესგან მართული ხომ არ იყო „ბლექ სი არენას“ საკონცერტო დარბაზში გამოვლენილი პროტესტი?**

— რაღაც ახსნა კიდევ ექნებოდა პროტესტს, პუტინის აპოლოგეტ რომელიმე რუს მომღერალს რომ გაემართა კონცერტი, მაგრამ ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, კონცერტი ჩაუშალო ამერიკულ ჯგუფს მარტო იმიტომ, რომ ქართველ ერს ყველა ერთან მეგობრობისა და ძმობისაკენ მოგვიწოდა! საზოგადოების ეს ნაწილი აშკარად, „ომის პარტიის“ იდეოლოგთა გავლენის ქვეშ იმყოფება. ისინი რუსეთუმეებად ნათლავენ ყველა პატრიოტ ქართველს, რომელიც ქვეყნის ღირსებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის რეალურად იღვწის. ჩვენ დღეს გვჭირდება სწორ, ზედმიწევნით ჭკვიანურ ნაბიჯებზე გათვლილი პოლიტიკა, რაც მხოლოდ იმ ხალხს შეგვიძლია, ვისაც სამშობლოს დასაცავად სისხლი დაგვიღვრია, ვინც სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს არ შეპუებია!

დღეს მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა გვჭირდება, რათა მოღალატე და მტრული რეჟიმების მიერ უკვე დაკარგული ძირძველი ქართული ტერიტორიების 20 პროცენტს დანარჩენი საქართველოც არ მივაყოლოთ! აი, ასეთ ფონზე ნაცების ორბიტაზე მყოფი სამარცხვინო პოლიტიკური ჯგუფები ცდილობენ, ძალაუფლების დაბრუნებასთან ერთად საქართველო რუსეთთან სისხლისმღვრელ ომში ჩაითრიონ! ისინი მოქმედებენ ყველგან — ქუჩებში, აეროპორტებში, პორტებში და საკონცერტო დარბაზებშიც!

**— ისევ სეგრეგაციის თემას დავუბრუნდეთ. სადამდე შეიძლება მიიყვანოს ერი ყოველივე რუსულის მიმართ სიძულვილის გაღვივებამ?**

— ეს პირდაპირ ფაშიზმია! ამის გამკეთებლებს საშუალება თუ მიეცათ, ჩაიკოვსკის კონცერტსაც ჩაშლიან! პუშკინს და ტოლსტოისაც შეურაცხყოფენ!

**ნახეთ, რა ხდება რუსეთის სოციალურ ქსელებში! როგორი აღშფოთების ტალღა აგორდა ქართველების წინააღმდეგ!** ვის აწყობს ეს? რატომ გვავიწყდება, რომ რუსეთში მილიონამდე საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს და მათ ანალოგიური დევნისთვის ვიმეტებთ, თუ ეროვნების გამო საქართველოში რუსების დევნას მწვანე შუქს ავუნთებთ?

### კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მოკლებული ჩემი ძველი ცხოვრების კომფორტს, **მოვედი იმ იაფფასიან ჩაიმდე,** რომელსაც ვსვამ საავადმყოფოს ოთახში პლასტმასის ჭიქიდან, **სახლში მომზადებულ უბრალო საკვებს, რომელიც დედაჩემს მოაქვს.**

„აიპრესი“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



დღეს ამერიკაში გააფთრებული ბრძოლაა იმისთვის, რომ **რუსეთი არ დაიშალოს.** რუსეთის დაშლა ამერიკისთვის კატასტროფის ტოლფასია. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ ნედლეულს, რომელსაც დღესაც იღებს რუსეთიდან, ამერიკა ვეღარ მიიღებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **რაში აწყობს ამერიკას, რუსეთი დაიშალოს და შორეული აღმოსავლეთი მთლიანად ჩინეთმა წაიღოს?**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**11 წელია,** ხელისუფლებაში არიან, **რა გააკეთეს?**

„კვირის პალიტრა“

**ანა ნათელაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ყველა საპარლამენტო ბერკეტს გამოვიყენებთ, რათა **შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით** კითხვებს პასუხები გაეცეს.

„რეზონანსი“

უადგილო პროტესტის გამომხატველ ახალგაზრდებს დაფიქრებისკენ და სიტუაციის სწორად განსჯისკენ მინდა მოვუწოდო და ვთხოვო — ნუ მოექცევიან ექსტრემისტული, ოდიოზური პოლიტიკური ჯგუფების გავლენის ქვეშ, ნუ შეუწყობენ ხელს ქართველი ერის იზოლაციაში მოქცევას, ნუ დაუშვებენ ფაშიზმის აღორძინებას, რომლის ძლევასაც 350 ათასი თანამემამულის სიცოცხლე შეეწირა!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

# ქვეყნისთვის მოწოდებული და ისრეთ წოდებულები



# მოგელანდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



არა, მართლა მაინტერესებს, რა ყბად აიღეთ და რას მიესიეთ წურბელებივით?

გეკითხებით და მიპასუხეთ, ეგრეთწოდებულებო თუ ისრეთ წოდებულებო:

**1.** მერაბ კოსტავას სკამის გადაჭრილი ფეხით დასდევდა და პალტო შემოახია?

**2.** სანდრო გირგვლიანი ოქროყანაში აათრია, აწამა და შემდეგ ხევში გადააგდო?

**3.** ბუტა რობაქიძე ასფალტზე დაანარცხა, ავტომატი ჩაუდო და შემდეგ შუბლში ტყვია დაახალა?

**4.** ვაზაგაშვილი საკუთარი შვილის საფლავზე ააფეთქა?

**5.** გურამ შარაძე მელიქიშვილის გამზირზე გააგორა?

**6.** სერგო თეთრაძეს ციხეში წამებით სული ამოხადა?

**7.** ციხეში ბუნტი მოაწყო და პატიმრები ჩახოცა?

**8.** ციხეში პატიმრებს აწამებდა და ცოცხით აუპატიურებდა?

**9.** მოქალაქეები ღამის 3 საათზე ნოტარიუს ნუნუ ღინტურთან მიჰყავდა და ქონებას აფორმებინებდა?

**10.** 2004-ში ცხინვალის მისადგომებთან მტერს ქართველი ბიჭები უაზროდ ჩააჴოცინა?

**11.** 2007-ში მშვიდობიანი მიტინგი დაარბია, საკუთარ მოსახლეობას ძვალ-რბილი გაუერთიანა და ,,იმედში“ შევარდა?

**12.** 2008-ში 170 სოფელს ქვების გროვა უწოდა და რუსებს გადაულოცა?

**13.** 2008-ში კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვა და ისიც რუსებს ჩააბარა?

**14.** 2008 წლის 9 აგვისტოს დიდძალი ქონება 1 ლარად საკუთარ დედას გადაუფორმა?

**15.** აგვისტოს ომთან დაკავშირებით უნიჭო ფილმში 20 მილიონი დოლარი გადაიხადა?

**16.** ევროპარლამენტის მიერ მიღებულ მოღალატურ რეზოლუციაზე ხელი მოაწერა და დაამტკიცა, რომ ომი ქართველებმა დაიწყეს?

**17.** 2008 წლის 12 აგვისტოს რუსთაველზე დიდი ზეიმი გამართა და მოსახლეობას გამოუცხადა, ომი მოვიგეთო?

**18.** ცხინვალის ქუჩებში ქართველი ჯარისკაცების ცხედრები დაყარა?

**19.** გორიდან თვითმფრინავის ხმაზე ფორთხვით გამოიქცა და ცხვირით მინდორ-ველები გადახნა?

**20.** საქართველოს მოქალაქეობა მიატოვა და უკრაინაში გაიქცა?

**21.** საქართველოში არაჟნის კონტეინერით შემოიპარა?

**22.** დაპატიმრების შემდეგ კუჭი აემღვრა?

**23.** უკვე მეორე წელიწადია, აფერისტობს და უცხოეთში გაპარვას ცდილობს?

**24.** საქართველოში ომის გასაჩაღებლად შემოეთესლა?

**25.** დედამისმა ყველა ე.წ. ექიმი და ევროპარლამენტარი მოისყიდა?

სხვათაშორის, **კობახიძეს** არც გარეჯი გადაუცია სხვისთვის დიდი ფულის სანაცვლოდ და... არც მშვიდობიანი მომიტინგეებისთვის დაულეწნია თავ-პირი 2011 წლის 26 მაისის ღამეს!

არც ძუძუები მოუჭამნია ქალებისთვის!

არც გოგო-ბიჭებს აკეთებს ყოველ ორღობეში!

არც ცოლებს იცვლის ამინდის მიხედვით!

უბრალოდ თქვენზე ბევრად განათლებულია, ბევრად ნიჭიერი და ეზიზღებით ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, რადგანაც იცის, რამხელა ზიანის მოტანა შეგიძლიათ სამშობლოსათვის!

# წყეული მაწყევრები!

ვატყობ, ბოლო დროს წყევლა მოდაში შემოვიდა... წყევლიან **კახა კალაძეს,** წყევლიან **ბიძინა ივანიშვილს,** წყევლიან **ირაკლი ღარიბაშვილს,** წყევლიან **ირაკლი კობახიძეს,** წყევლიან ყველას, ვინც კი არ ეპიტნავებათ!

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში **მაწყევარის პროფესიაც** გაჩნდა, ამ მხრივ სამუშაო ადგილები შეიქმნა — **მიხვალ, გადაიხდი, ანკეტას შეავსებ, ვინ უნდა დაწყევლონ, რა ვადით უნდა დაწყევლონ და მორჩა, მიდის მძაფრსიუჟეტიანი მიეთ-მოეთი!**

აბა, სხვანაირად როგორ ვიფიქრო?

ქალი, რომელსაც კალთაში თოთო ბავშვი უზის და კალაძის შვილებზე ყოვლად მიუღებელ რაღაცებს წერს, ან დაქირავებულია, ან კიდევ იმდენად კრეტინი, საკუთარ მომავალს აყენებს საფრთხის ქვეშ, ფაქტობრივად, ღუპავს.

**გაიგეთ, წყევლა ბუმერანგია!**

**გაიგეთ, წყევლა მაწყევარისაა!**

**გაიგეთ, როცა ვინმეს წყევლით, საკუთარ თავს იწყევლით, საკუთარ ოჯახს აუბედურებთ!**

ჰოდა, ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ნაცმიდრეკილები დარჩით და მთლა ნუ ამოიწყვეტთ თავს!




# ავსა ხალხსა ავი სიტყვა...

კაცი თურქეთში იყო, ავადმყოფ მამას ადგა თავზე და... არაო, ჰავაის კუნძულებზე ისვენებდაო!

ძალიანაც რომ სდომებოდა, ჰავაიზე ვერ დაისვენებდა, იქ ყველაფერი გადაიბუგა, თუმცა, ამათ ჯერ არ გაუგიათ. რომც გაიგონ, არც ეგ აინტერესებთ, **ვახტანგ გომელაური** მაინც იქ იყო, მორჩა და გათავდა!

გეყურებათ?

**მამის ავადმყოფობას იგონებსო... ეგრეც რომ ყოფილიყო, რა, მაგის მეტს მამა არავის ჰყავსო? რა, შოვში რო დაიღუპნენ, იმათ მამები არ ჰყავდათო? სად მიდიოდა, ეხლა სადმე წასვლის დრო იყო-ვო? მააძრეთ სასწრაფოდ გომელაური, გადააყენეთ, ეგ თანამდებობისთვის შეუფერებელიო!**

☺

**ეროზიული** აზროვნება მინახავს, როგორ არა, **კოროზიულიც** მინახავს, მაგრამ ეგეთი **ამორტიზებული** — ნამდვილად არა.

ჯერ ერთი, ადამიანს მამა ჰყავდა ავად და რასაკვირველია, უნდა მიეხედა, მეორეც — რა, შინაგან საქმეთა სამინისტროში კაცები აღარ დარჩნენ და ტრაგედიის დროს ქვეყანას რამე დააკლეს?

არა, კი იძახიან ვიღაც დუპლეტები, არაფერი გაუკეთებიათ, ფეხი ფეხზე გადაიდესო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, კაცებმა რაც გააკეთეს?

☺

ახლა მაინც რაღაც იტყვით?! იქნებ მამის დასაფლავება მაინც აცალოთ, თქვე ფარჩაკებო!!!

# თევზი ასფალტზე

ამ უბედურებს ვინმემ უთხარით, რომ **პარლამენტის წინ თევზაობა აკრძალულია!** თუ მაინცდამაინც არ იშლიან, მაშინ შეტრიალდნენ და სადაც შადრევნები ჩაედინება, იქ ითევზაონ, **ასფალტზე თევზი ოდეს დაუჭერნიათ?**

ეგენი იმ ჭკუისანი არიან, ცოტა ხანში პარლამენტის წინ ბანაობასაც მაინდომებენ!

მა სხვანაირად როგორ ჩამოირეცხავენ იმას, რასაც მაგათი ბელადი აგორგოლავებს და პალატაში ფანტამს?





# ვენი, ვიდი, ვიცი-ო...

ნახეთ, როგორი მედიდური, როგორი გამარჯვებული, როგორი ამაყი გამომეტყველებით გადაჰყურებს თბილისს... სანაძლეოს ჩამოვალ, ამას თავი უთუოდ გაიუს იულიუს კეისარი ჰგონია. ისე კი, ნამდვილად არის **ფადი ასლის** მანერებსა და გამოხედვაში რაღაც მაკედონისეულიც...

შეიძლება, ვახტანგ გორგასლობასაც იჩემებს და თვლის, რომ თბილისი მან დააარსა!

**ვერაფერს გამოვრიცხავთ, ჩვენ უამრავი დამპყრობელი და სტუმარი გვინახავს, რომლებიც დროთა განმავლობაში მასპინძლებად ქცეულან!**

აგერ, გუშინ თუ გუშინწინაც გამოვიდა და თქვა:

**„მე არ ვარ ისტორიკოსი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ კოლხეთის სამეფოდან დღემდე საქართველოს არასოდეს ჰყოლია ასეთი სამარცხვინო ხელისუფლება!“**

ხედავთ?! — ისტორიკოსი არ არი, მაგრამ მაინც დაუჩემებია, კოლხეთის სამეფოდან დღემდე საქართველოს ასეთი სამარცხვინო ხელისუფლება არასდროს ჰყოლიაო.

**არა, ამ შემოხეტებულს ადრეც ჰქონდა დამრიგებლურ-შეურაცხმყოფელი გამოხტომები, მაგრამ ეს უკვე ნამეტანია...** თანაც ამას გვეუბნება ლიბანელი თუ ფინიკიელი, რომელმაც თავის ქვეყანაში ცხრა წყვილი ცოლ-შვილი დაყარა, ბანანის გასაყიდად ჩამოვიდა, მერე ბარკლებზე გადავიდა, თითქმის 30 წელიწადი აქა გდია და ორი ღერი ქართული ვერ ისწავლა!

შარშან ჩამოსული ჩინელები და ინდუსები ქართულად ისე ლაპარაკობენ, ყურებს არ ვუჯერებთ და ეს კიდე იმნაირი დებილია, გამარჯობასაც ვერ გვეუბნება!

☺

მიდი, ბიჭო, გაიარე, კოჭი გააგორე, საკუთარ ისტორიას და ლიბანში დაყრილ ცოლ-შვილებს მიხედე და ისევ ბანანი გაყიდე. როდის როგორი ხელისუფლება გვყავდა ან დღეს როგორი ხელისუფლება გვყავს, მაგას ჩვენ გავარკვევთ. თორემ ისე მედიდურად გადაჰყურებს თბილისს, სადაცაა იტყვის: veni, vidi, vici... **მოვედი, ვნახე, გავიმარჯვეო.** თანაც მთლა ქართულადაც გამოუვა — **ვენი, ვიდი, ვიციო...** იცის მა არ იცის, რომ ჭიტლაყის ამორტყმა დავუგვიანეთ.

# მწერალთა სახლის თავზე, ტუალეტის მჯღაბნელთა დროშის ნაცვლად, თეთრი ბაირაღი უნდა აფრიალდეს!

***როგორც უკვე იცით, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორის პოსტიდან ნაცლიბერასტული სექტის წარმომადგენლის — ნატა ლომოურის გათავისუფლებამ და მის ადგილას „ქართული ოცნების“ დეპუტატის, დიდი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ქალიშვილის ქეთი დუმბაძის დანიშვნამ ძლიერ აღაშფოთა სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის ლიბერალთანი, რომელსაც საზოგადოება მეორენაირად იცნობს, როგორც მამუკა ხაზარაძის „ტუალეტის მჯღაბნელებს“.***








ჰოდა, **მამუკა ხაზარაძის „ტუალეტის მჯღაბნელთა“** ამქრის ერთ-ერთმა უსტაბაშმა, პრემია „საბას“ ოთხგზის ლაურეატმა და უნიტაზის რაინდმა **ლაშა გიას ძე ბუღაძემ** მწერალთა სახლის დირექტორად **ქეთი დუმბაძის** დანიშვნის შესახებ განაცხადა — **მწერალთა სახლში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სული დაბრუნდაო!**

არადა, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, როცა **გია ბუღაძის შვილი ნოდარ დუმბაძის შვილს** „საბჭოთა გადმონაშთად“ მოიხსენიებს!

სხვა თუ არაფერი, **ქეთი დუმბაძის მამა** — საბჭოთა რეჟიმის მიერ მამადახვრეტილი **ნოდარ დუმბაძე** 18 წლის იყო, როცა საბჭოთა რეჟიმის მიერ დაპატიმრებული დედა გადასახლებიდან დაუბრუნდა, ხოლო **ლაშა ბუღაძის მამა გია ბუღაძე** 18 წლის ასაკში პროლეტარიატის დიდი ბელადის **ვლადიმერ ლენინის** დიდრონი პორტრეტების ხატვით გახლდათ დაკავებული!

სხვა თუ არაფერი, **1974 წელს, როცა ლაშა ბუღაძის მამამ ლენინის პორტრეტი დახატა, ქეთი დუმბაძის მამას „თეთრი ბაირაღები“** ერთი წლის დაწერილი ჰქონდა!

და ახლა **გია ბუღაძის** შვილი **ნოდარ დუმბაძის** შვილის მწერალთა სახლის ხელმძღვანელად დანიშვნას მწერალთა სახლში **„საბჭოთა სულის დაბრუნებად“** მიიჩნევს!

შეიძლება, ზოგჯერ არც ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა, ვინ ვისი მშობელია და ვინ ვისი შვილია, მაგრამ ზოგჯერ ამას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. ტყუილად როდი გვაქვს ქართველებს შესაბამისი ანდაზები თუ ხატოვანი გამოთქმები — **დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე; ხე ნაყოფით იცნობა; ნაყოფი ხისგან შორს არ დავარდება; პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილი** და სხვა ამისთანანი...

ჰოდა, **გია ბუღაძის შვილი ნოდარ დუმბაძის შვილზე** „საბჭოთა გადმონაშთს“ არ უნდა ამბობდეს!

დღევანდელ საქართველოში თუ რამე ჰგავს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მწერალთა კავშირს ან საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას, ეს სწორედ **ლაშა ბუღაძისა და მისი ამფსონების სექტაა,** რომლის წარმომადგენლებიც **მამუკა ხაზარაძის უბორნიაში** გამოკეტილან და ყოველ წელს ერთმანეთს ურიგებენ ლიტერატურულ პრემიას.

თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ **ერთი და იგივე ლიტერატურული პრემია — „საბა“ ერთსა და იმავე კაცს — ლაშა ბუღაძეს ოთხჯერ აქვს აღებული,** თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს მკაცრად იდეოლოგიზებულ და მარგინალიზებულ სექტასთან, რომელიც საკუთარი ნაჭუჭის იქით ლიტერატურის არსებობას არც კი აღიარებს და **ხაზარაძის უბორნიის გარეთ შექმნილ ნებისმიერ ლიტერატურულ პროდუქტს „საბჭოთა გადმონაშთად“ განიხილავს!**



პრემია „საბას“ ოთხგზის ლაურეატი ლაშა ბუღაძე

უკეთ რომ ვთქვათ, **კოლექტიური ბუღაძის ლიტსექტის წევრები** მხოლოდ ერთმანეთს აღიარებენ და მხოლოდ ერთმანეთის შემოქმედებას ცნობენ, ხოლო **ყველა დანარჩენს, ვინც ლექსებს, მოთხრობებს, რომანებსა თუ პიესებს სველ წერტილში უნიტაზზე მჯდომი არ წერს,** მწერლად კი არა, ადამიანადაც არ აგდებენ!

აკი, თქვა კიდეც „საბას“ პრემიის ლაურეატმა და ბუღაძირებული ლიტსექტის ერთ-ერთმა სახემ **რატი ამაღლობელმა — ყველა ლექსის წერა სველ წერტილში მაქვს დაწყებული და მიმაჩნია, რომ ნამდვილი ლიტერატურა სწორედ ტუალეტში იქმნებაო!**

ამიტომაც ტრიალებს **ხაზარაძის მიერ დაფინანსებული პრემია „საბა“** ერთსა და იმავე წრეზე და ტუალეტის ფარგლებს ძალზედ იშვიათად სცდება!

და ესენი სხვას ეძახიან **„საბჭოთა გადმონაშთს“!**

ლიბერალიზმისა და პროგრესის შირმას ამოფარებული **ეს რეინკარნირებული პროლეტკულტელები და ნეოტროცკისტები** ლაპარაკობენ მწერალთა სახლში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სულის“ დაბრუნებაზე!

**ე.ი. ივანე მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე ისტორიული შენობიდან ქართველი მწერლების გამოყრით სააკაშვილის რეჟიმს „საბჭოთა სოციალისტური მწერლობის სულის“ წინააღმდეგ გაულაშქრია, ხოლო**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



გია ბუღაძე სააკაშვილის მხარდამჭერ მიტინგზე



*გია ბუღაძის მიერ 1974 წელს დახატული ლენინის პორტრეტი*

ქეთი დუმბაძის მამა — საბჭოთა რეჟიმის მიერ მამადახვრეტილი ნოდარ დუმბაძე 18 წლის იყო, როცა საბჭოთა რეჟიმის მიერ დაპატიმრებული დედა გადასახლებიდან დაუბრუნდა, ხოლო ლაშა ბუღაძის მამა გია ბუღაძე 18 წლის ასაკში ვლადიმერ ლენინის დიდრონი პორტრეტების ხატვით გახლდათ დაკავებული!

# მწერალთა სახლის თავზე, ტუალეტის მჭლაბნელთა დროშის ნაცვლად, თეთრი ბაირაღი უნდა აფრიალდეს!



დასაწყისი მე–7 გვერდზე

მწერალთა სახლის დირექტორად ნატა ლომოურის დანიშვნით ანტისაბჭოთა და ანტისოციალისტური, დემოკრატიული და პროდასავლური მწერლობის სული ალუზევებია!

**ე.ი. სააკაშვილის რეჟიმმა მწერალთა სახლის დირექტორის პოსტზე მწერლობასთან არავითარი კავშირის მქონე, ისტორიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი ნატა ლომოური რომ გაამწესა, ეს ყოფილა ქართული მწერლობის გადასავლურება და გადარჩენა, ხოლო დღეს**


ნატა ლომოურის 11-წლიანი მარაზმი „მწერალთა სახლში“ დასრულდა!

ნოდარ ლომოური: გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იბრძოდა. მათ შორის მეც ვისროდი... ოღონდ, ჰაერში...

„ასავალ-დასავალი“. 2006 წლის №37

თავდაპირველად იერიში ჩვენზე ზვიად გამსახურდიას მხარემ მოიტანა, მათ პირველებმა დაიწყეს სროლა. ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის მეც ვისროდი, ოღონდ ჰაერში, მიძნელდებოდა ადამიანის მოკვლა...

ნოდარ ლომოური

ჰუმანისტი ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა ავტომატისტ ნოდარ ლომოურის ქალიშვილს უნდა აჯობოს!

ნოდარ დუმბაძე: რადგან არ იცით, როდის მოვა სიკვდილი, დატოვეთ თქვენი წილი სიყვარული ამ ქვეყანაზე. დატოვეთ დღესვე, რადგან ხვალ შეიძლება გვიან

„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №36

**მწერალთა სახლის დირექტორის პოსტზე დიდი ქართველი მწერლის ქალიშვილის, ხელოვნებათმცოდნე ქეთი დუმბაძის დანიშვნა, თურმე, ქართული მწერლობის გასაბჭოებასა და დაღუპვას მოასწავებს!**

ასე ამბობს **ხაზარაძის უბორნიის აბორიგენი** ლაშა ბუღაძე!

ასე ამბობს **ხაზარაძის უბორნიის აბორიგენი** რატი ამაღლობელი!

ასე ამბობს **საქართველოდან გაქცეული, მაგრამ მაინც ხაზარაძის უბორნიის აბორიგენად დარჩენილი ზვიად რატიანი,** რომელსაც „რეჟიმის მიერ რეპრესირებულ პოეტად“ მოაქვს თავი, რადგან რამდენიმე წლის წინათ, პოლიციის განყოფილებაში ერთი-ორი მოსდეს სამართალდამცავთა შეურაცხყოფის გამო, **დაკავებით კი იმიტომ დააკავეს, რომ გალეშილი მთვრალი ქუჩაში უშვერი სიტყვებით აგინებდა 90 წლის მოხუცს — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს!**

**რატის, რატიანსა და სხვა რეტიან ლიბერალ-პროლეტკულტელებს** საქართველოს მწერალთა სახლში **„საბჭოთა სულის“** დაბრუნება კი არა, საქართველოს მწერალთა სახლის ნაცლიბერასტული ოკუპაციისაგან გათავისუფლება აშფოთებთ!

ისე კი, **თუ „საბჭოთა სულზეა“ ლაპარაკი, ის სწორედ საბჭოთა-ბოლშევიკურ სტილში შედგენილ იმ კოლექტი-**


რატი ამაღლობელი


ზვიად რატიანი

**ქეთი დუმბაძის წინააღმდეგ შედგენილ კოლექტიურ განცხადებებზე ხელისმომწერ მწერალთა, მთარგმნელთა და გამომცემელთა დიდი ნაწილი ცოტა ხნის წინათ ასევე კოლექტიური განცხადებით ითხოვდა სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებასა და უცხოეთში სამკურნალოდ გაშვებას!**

**რატის, რატიანსა და სხვა რეტიან ლიბერალ–პროლეტკულტელებს საქართველოს მწერალთა სახლში „საბჭოთა სულის“ დაბრუნება კი არა, საქართველოს მწერალთა სახლის ნაცლიბერასტული ოკუპაციისაგან გათავისუფლება აშფოთებთ!**

## კვირგვინოსნები

**ქეთი დუმბაძე**
*მწერალთა სახლის დირექტორი*



იცით, რა მეწყინა ყველაზე მეტად? თურმე, ასეთი შეკითხვით მომმართა ერთ-ერთმა თანამშრომელმა — **„რა გინდა, რისთვის მოდიხარ მწერალთა სახლში, რომ სოფლის კლუბად გადააქციო?“ რას ნიშნავს სოფლის კლუბი? — სოფლის კლუბებში იზრდებოდნენ უნიჭიერესი ბავშვები, რომლებიც შემდეგ დიდი მწერლები ხდებოდნენ!**

„ახალი თაობა“

**ლაშა ბუღაძე**
*მწერალი, დრამატურგი*



**მწერალთა სახლში,** როგორც იქნა, „დაბრუნდება“ **საქ. სსრ მწერალთა კავშირის სული.**

„ახალი თაობა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**რთულ მდგომარეობაშია ახლა ოპოზიცია** როგორც პოლიტიკურად, ასევე — რეპუტაციულად. ხედავენ, რომ **გამოკითხვის შედეგის მიხედვით, მათი პოლიტიკური რეიტინგი კატასტროფულია.**

„რეზონანსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ისე **ამ ნაძირალა სვავების გამოსწორება არ იქნება!** ზოგი ბუნგალოდან პოსტავს, ზოგი — იახტიდან და ზოგიც — შეზლონგიდან მაშინ, როდესაც **ირაკლი კობახიძეს** ერთი დღე არ დაუტოვებია შოვი და დილიდან საღამომდე მაშველებთან ერთადაა.

„იმედინიუსი“

**ირაკლი კობახიძე**



**ლიტერატურა,** პირველ რიგში, უნდა იყოს აბსოლუტურად დაცლილი **პოლიტიკისგან,** როდესაც ვიღაც ცდილობს, რომ **პოლიტიკა** შეიტანოს **ლიტერატურაში,** ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი.

„ინტერპრესნიუსი“

# დეისაძის მეტამორფოზა,

## ანუ სად – ერეკლე და სად – მამუკა ხაზარაძის უბორნიის ლიბერალ–პროლეტკულტელები!

**ურ განცხადებებში ჰგიებს, რომლებსაც ახლა კოლექტიური ლაშაბულაძე მწერალთა სახლის დირექტორად დანიშნული ქეთი დუმბაძის წინააღმდეგ ავრცელებს!**

ისიც ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ **ქეთი დუმბაძის** წინააღმდეგ შედგენილ კოლექტიურ განცხადებებზე ხელისმომწერ მწერალთა, მთარგმნელთა და გამომცემელთა დიდი ნაწილი ცოტა ხნის წინათ ასევე კოლექტიური განცხადებით ითხოვდა სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებასა და უცხოეთში სამკურნალოდ გაშვებას!

**სწორედ ამ საბჭოთა-ბოლშევიკური სულით გაჟღენთილი კოლექტიური განცხადებების ავტორებს რამდენიმე დღის წინათ სარკასტული ლექსი მიუძღვნა ერეკლე დეისაძემ, რომელიც ერთ დროს თავადაც ხაზარაძის „უბორნიის მჯღაბნელთა“ სექტის წევრი იყო, მაგრამ ბოლო ხანს თვალშისაცემ მეტამორფოზას განიცდის და ხშირად უპირისპირდება კვაზი-ლიბერალებს, რომლებსაც ნამდვილ ლიბერალობასთან ახლოსაც არ გაუვლიათ.**

აი, მისი ლექსიც, რომელიც მწერალთა სახლის დირექტორად **ქეთი დუმბაძის** დანიშვნის გამო ატეხილი აჟიოტაჟისა და კოლექტიური **ლაშაბულაძის** მიერ გავრცელებული კოლექტიური განცხადების ფონზე, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა:

**იყო და არა იყო რა,**
**იყო ოთხასი მწერალი,**
**სუყველას თავი ეგონა**
**პოსტმოდერნიზმის**
**მწვერვალი.**

**და ვისი შრომაც დაფასდა**
**ხუთიათასად — პრემიით,**
**პრემია „საბას“ ჩამოსხმა**
**ხელში ეჭირათ გრემივით.**

**ვარსკვლავებივით**
**ბრწყინავდა**
**თვალზე მომდგარი**
**ცრემლები,**
**წაგებულს ანუგეშებდნენ**
**მდიდარი გამომცემლები.**

**ადგენდნენ პეტიციებს და**
**წერდნენ**
**კრიტიკულ წერილებს,**
**წინა წელს**
**ვინც გამოტოვებს,**
**შემდეგ წელს დააჭერინებს.**

**ასეთი წესი დამკვიდრდა,**
**(ნუ გეგონება ხუმრობა),**
**მწერალს უხდება**
**შიმშილი,**
**პრემიას — პომპეზურობა.**

**ჰოდა, მშიერო მწერალო,**
**აღწერე შენი მხარეო,**
**სამშობლო შეარცხვინე**
**და დონორი გაახარეო.**

**იყო და არა იყო რა,**
**იყო ოთხასი მწერალი,**
**სუყველას თავი ეგონა**
**პოსტმოდერნიზმის**
**მწვერვალი.**

**ერეკლე დეისაძემ,** რომელმაც 13 წლის წინათ, 20 წლის ასაკში, **„საიდუმლო სირობა“** დაწერა და ფართო საზოგადოებას თავი ბილწი და იაფფასიანი ეპატაჟურობით გააცნო, როგორც ჩანს, მოწიფულ ასაკში რაღაც-რაღაცები გადააფასა, შეხედულებები შეიცვალა და დაღვინებული გონების თვალით ბევრი რამ სხვაგვარად დაინახა.

მოკლედ, **თუ ფრანც კაფკას „მეტამორფოზის გმირი“**







**გრეგორ ზამზა ადამიანიდან მწერად გადაიქცა, ერეკლე დეისაძის სულიერ-იდეური მეტამორფოზა პირიქით მოხდა!**

ჰოდა, ახლა უკვე შეიძლება, ითქვას: **სად — ერეკლე და სად — მამუკა ხაზარაძის უბორნიის ლიბერალ-პროლეტკულტელები!**

დიდი ქართველი მწერალი და ჰუმანისტი **ნოდარ დუმბაძე** წერდა:

> **„ერთი დიდი, თეთრი ბაირაღი უნდა ფრიალებდეს ამაყად ჯომოლუნგმაზე, ნიშნად უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა“.**

იმედი გვაქვს, 2023 წლის 4 სექტემბრიდან, როცა **ნოდარ დუმბაძის** ქალიშვილი მწერალთა სახლის დირექტორის პოსტზე მუშაობას ოფიციალურად შეუდგება, ივანე მაჩაბლის ქუჩის 13 ნომერში, მწერალთა სახლის თავზე, ხაზარაძის უბორნიის ლიბერალ-პროლეტკულტელთა დროშის ნაცვლად **სათნოების, სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლო — თეთრი ბაირაღი აფრიალდება!**

***ჯაბა ხუბუა***

---

**გაზეთი „ასავალ-დასავალი“** დროულად და გაბედულად ამხელს ლიტერატურის ანარქისტებს, საკადრის პასუხს სცემს ვაიმწერლებსა და უიპოეტებს. **მადლობა ამისათვის რედაქციას!**



## *ბორის დავითაია*

# ორიოდე სიტყვა ჩუთიზმისა და ჩუთუების შესახებ

ამჯერად მორიგი სიტყვიერი გალაწუნება დაიმსახურეს **„უბორნიის“ წარმომადგენლებმა** იმ უსაფუძვლო ყაყანისათვის, რომელიც უკავშირდება მწერალთა სახლის დირექტორად დიდებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **ნოდარ დუმბაძის** ქალიშვილის **ქეთევან დუმბაძის** დანიშვნას. არადა, მწერალთა სახლი, რომელიც ქართველ მწერლებს ეკუთვნოდათ, უბოროტესმა სააკაშვილმა მათ უსაფუძვლოდ წაართვა და ნაცების თავგადაკლულ მოერთგულეს, ვინმე **ნატა ლომოურს** ჩააბარა.

**უსაფუძვლო ყაყანით არ დაკმაყოფილდნენ. ქეთევან დუმბაძეს მოუგონეს, თითქოს ბაბუამისი „შულავერის კომიტეტის“ წევრი იყო,** მაგრამ ბრძენმა საზოგადოებამ მათგან გადმოფრქვეული ნაცარი თვალებში არ შეიყარა!

სავსებით ვიზიარებ „მწერალთა ეროვნული აკადემიის“ პრეზიდენტის **კობა არაბულის** მოსაზრებას მწერალთა სახლის საქმიანობისა და სააკაშვილის ჯიბის მწერალთა შესახებ. ამ აკადემიის წევრი მეც ვიყავი, როცა მას ჩემთვის ძვირფასი **თამაზ წივწივაძე** ხელმძღვანელობდა. **თხუთმეტ წელზე მეტია, ფეხი არ შემიდგამს მწერალთა სასახლეში, მაგრამ მესმოდა, რომ იქაური კარი ღია იყო ზაზა ბურჭულაძისთვის, ერეკლე დეისაძისთვის, ზვიად რატიანისა და მათნაირებისთვის.** სამწუხაროდ, დღეს უზარმაზარი საკომუნიკაციო-იდეოლოგიური სისტემა ქმნის ნიადაგს, რათა არაჯანსაღი აზროვნებისა და ჰომოსექსუალური მიდრეკილებების მქონე მჯღაბნელებმა გამოაქვეყნონ თავიანთი მდარე ნაწარმოებები, წაბილწონ ლიტერატურული პროცესი. მწერლობის გამოყენება სურვილაშლილი, ავადმყოფური მიდრეკილებების მქონე პიროვნებების სათარეშოდ არნახული უმსგავსობაა და ზნეობის ყოველგვარი ჩარჩოდან არის ამოვარდნილი. აღარაფერს ვამბობ მართლმადიდებლური ეთიკის დარღვევაზე.

ქართულ ლიტერატურაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო განგაშის ზარები არაერთხელ დაარისხა გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“. ხაზგასმით ითქვა, რომ ცურტაველის, შოთას და გალაკტიონის ქვეყანაში საზოგადოება ვერ შეეგუება ბინძურ მჯღაბნელთა აღზევებას, რასაც გარკვეული ლიბერალური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და ცალკეული გამომცემლობები ახალისებენ.

ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ორფეხები შორს არიან საღი აზრისაგან და, როგორც ჩანს, შორს არიან ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობებისაგან. როგორც **ოტია იოსელიანი** იტყოდა, **ბადაირია ეს ხალხი, კაცო! თუ შარვლით დადიხარ და მამაკაცი არ ხარ, გაჩუმდი მაინც!**

გაუკუღმართებული მსოფლმხედველობის აყვავება და გაფურჩქვნა მრავალცოლიანი სააკაშვილის პრეზიდენტობის ზეობის ხანაში დაიწყო, როცა მისმა ჯიბის მწერლებმა ფრთები შეისხეს და შექმნეს თავიანთი უსახელო მიმდინარეობა. მსურს, დავეხმარო მათ და შევთავაზო გაერთიანების თუ დაჯგუფების ორიგინალური დასახელება — „ჩუთიზმი“.

ეს სიტყვა ნაწარმოებია მეგრული სიტყვისაგან **„ჩუთუ“,** რაც **უპოტენციოს** ნიშნავს და ის სავსებით ესადაგება ზემოთ ნახსენები მიმართულების მიმდევართა მოღვაწეობას.

აქვე მადლობა მინდა გამოვხატო კულტურის მინისტრ **თეა წულუკიანის** მიმართ, **რომელმაც მიიღო სწორი გადაწყვეტილება მწერალთა სახლის დირექტორად ქეთევან დუმბაძის დანიშვნის საკითხში.**

***ბორის დავითაია,***
*მწერალი, სენაკის საპატიო მოქალაქე*

---

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**კობახიძე** ტრაგედიის პირველივე საათებიდან **რაჭაშია,** ლეშიჭამიების უდიდესი ნაწილი კი **მსოფლიოს სხვადასხვა საკურორტო ზონებშია** და მათი მხრიდან დაგეშილი ტროლები მოსვენებას არ აძლევენ ხელისუფლების ლიდერებს.

„იმედინიუსი“

**მზია გოგალაძე**
*მოქალაქე*



**თინა ბოკუჩავას ვეკითხები:** 2011 წლის 18 ივნისს **რიკოთზე მოვარდნილმა ღვარცოფმა 6 ადამიანი რომ შეიწირა,** მათ შორის ჩემი რძალი, სიცოცხლით სავსე ადამიანი და მცირეწლოვანი ბავშვი; **ბავშვებით სავსე ავტობუსი რომ გაიტაცა და ჩამარხა ღვარცოფმა,** იქ მყოფმა ადამიანებმა სიცოცხლის რისკის ფასად რომ გადაარჩინეს ეს ბავშვები, **მაშინ რატომ არ შექმენით კომისია, რატომ?** რატომ ვერ მოახდინეთ პრევენცია, მითუმეტეს, იქ მყინვარი არ არის. **რატომ არ გქონდათ გამაფრთხილებელი აპარატურა, რატომ?** რა მორალური უფლება გაქვთ თქვენ, დღეს რამე მოითხოვოთ?

რა გამოდის? **თქვენი მმართველობის პერიოდში ღვარცოფს გატანებული სიცოცხლე სტიქიის ბრალია და ახლაა ხელისუფლების?**

„ფეისბუქი“

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ნაცობა** არამარტო **სირცხვილია,** არამედ **სასჯელია!**

„იმედინიუსი“

**თეა გოდოლაძე**
*სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი*



მდინარე ვერემ თბილისში რა ამბები მოახდინა და **იქ, სადაც ყველაზე დიდი ტრაგედია დატრიალდა, კორპუსებს აშენებენ**! შესაბამისად, წარსულიდან საერთოდ ვერაფერს ვსწავლობთ!

„სარკე“

***თითქმის 20-წლიანი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში, არცერთ რესპონდენტთან არ გამჭირვებია ინტერვიუს ჩაწერა ისე, როგორც ახლა, რადგან არცერთ რესპონდენტს ინტერვიუს დროს იმდენი არ უტირია, რამდენიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახვრეტილი უდანაშაულო ქართველი ვაჟკაცის დათო ცინდელიანის დედამ თამარ არღვლიანმა იტირა, როცა მისი შვილის მკვლელობის 15 წლისთავზე — 2023 წლის 17 აგვისტოს — ჭუბერიდან დამირეკა:***



# თამარ არღვლიანი:

# სატანა ნაცებო,

## ვერ დავიჯერებ, რომ მართლა შეგტკივათ გული შოვში დაღუპულებზე, რადგან თქვენი ხელობა უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა და ზღვაში ჩაძირვაა!



რომან შამათავა

**— ჩემი შვილის დახვრეტის 15 წლისთავზე იმ ადამიანებსაც ვგლოვობ, რომლებიც შოვში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებას შეეწირნენ. სამძიმარს ვუცხადებ თითოეული მათგანის ჭირისუფალს და ღმერთს ვევედრები, ცათა სასუფეველში დაამკვიდროს მათი სულები!**

ამავე დროს, სტიქიური უბედურების ზონაში თავდაუზოგავი მუშაობისა და ასობით ადამიანის გადარჩენისათვის დიდ მადლობას ვეუბნები ჩვენს მთავრობას ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილის** მეთაურობით.

### ძალიან მტკივა გული, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ ნაციონალების მსგავსი უსინდისო და ბოროტი ადამიანები, რომლებიც სტიქიურ მოვლენაშიც კი ხელისუფლებას ადანაშაულებენ და ცდილობენ, უდიდესი ტრაგედია თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ!

სატანა ნაცებო, ვერ დავიჯერებ, რომ მართლა შეგტკივათ გული შოვში დაღუპულებზე, რადგან თქვენი ხელობა უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა და ზღვაში ჩაძირვაა!

**— ვიცით, რომ თქვენთვის ძალიან მძიმეა, მაგრამ იქნებ გაიხსენოთ, როგორ დახვრიტა სააკაშვილის რეჟიმმა თქვენი შვილი დათო ცინდელიანი 2008 წლის 17 აგვისტოს?**

— ჩემი მეუღლე **ზაურ ცინდელიანი** და ვაჟი **დათო ცინდელიანი,** რომლებიც რეინჯერები იყვნენ, დასავლეთ საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა — **ლაშა ჭკადუამ და ბადრი მამინაშვილმა** 2008 წლის 16 აგვისტოს ქუთაისში გაფართოებულ თათბირზე დაიბარეს. დათო და ზაური, ჭუბერის სატყეო სამმართველოს უფროს **ზია ანსიანთან** და კიდევ ერთ რეინჯერთან ერთად, ქუთაისისაკენ ავტომობილით გაემგზავრნენ, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწიეს — ქალაქის შესასვლელთან სპეცრაზმელები გადაუდგნენ და ჩემი შვილი დააკავეს. თავიდან გეზი თბილისისაკენ ჰქონდათ აღებული, მაგრამ სპეცრაზმელებს **კუდ**-ის უფროსმა **დათა ახალაიამ** დაურეკა და უბრძანა, დათო ბათუმში ჩაეყვანათ და აფხაზეთის **კუდ**-ის უფროს **რომან შამათავასათვის** ჩაებარებინათ!

**— რა იყო თქვენი ვაჟის დაკავების მიზეზი?**

— ჩემს შვილს შპიონაჟსა და სამხედრო საიდუმლოების გათქმას აბრალებდნენ — თითქოს თავის ნაცნობ რუს გოგონასთან სატელეფონო საუბარში კოდორის ხეობა და ტანკები ახსენა... არადა, ერთი მტკიცებულება მაინც რომ ჰქონოდათ, სადისტი ნაციონალები მთელ ქვეყანას ზარ-ზეიმით ამცნობდნენ — სამშობლოს მოღალატე დავაპატიმრეთო, დათოს თავიანთ ჯიბის სასამართლოში წარადგენდნენ, საჩვენებელ გასამართლებას მოუწყობდნენ და თავსაც გაიმართლებდნენ — ომი ასეთი მოღალატეების გამო წავაგეთო! მაგრამ არანაირი გამოძიება, არანაირი მტკიცებულება, არანაირი სასამართლო, უდანაშაულო შვილი შუა ზღვაში დამიხვრიტეს და თევზებისა და წყლის ცხოველების ლუკმად მიქციეს! **სადისტი სააკაშვილის რეჟიმს თავის მიერ დახვრეტილი ადამიანების დასასაფლავებლად მიწა არ ეყო და ზღვის ფსკერზეც სასაფლაო გახსნა!**

**— რა მოხდა მას შემდეგ, რაც დაკავებული დათო ცინდელიანი ბათუმში ჩაიყვანეს?**

— ბათუმში ჩაყვანილი, ხელბორკილდადებული ჩემი შვილი აფხაზეთის **კუდ**-ის უფროსმა, სადისტმა და ნარკომანმა **რომან შამათავამ** ჯერ სასტიკად სცემა, ხოლო შემდეგ კატერზე აიყვანა, რომელსაც აჭარის **კუდ**-ის თანამშრომელი **ზიორზი ჩიქოვანი,** მეტსახელად **„მაიმუნა“** მართავდა. მათთან იყო **კუდ**-ის კიდევ ერთი თანამშრომელი **ონისიმე კვაშილავა,** რომელმაც ნაციონალების ხელისუფლების წასვლის შემდეგ გამოძიებასთან ითანამშრომლა და საქმის გახსნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

სასტიკად ნაცემი და გვერდებჩალეწილი ჩემი შვილი, რომელიც გაუსაძლისი ტკივილისაგან კვნესოდა და ოხრავდა, კატერით ზღვაში გაიყვანეს. გარკვეული მანძილი რომ გაიარეს, **სადისტმა შამათავამ** კვაშილავას უბრძანა, დათო წამოეყენებინა და ნავის კიჩოზე დაეყენებინა, მერე კი იარაღი ამოიღო და ტყვია პირდაპირ თავში დაახალა, გვამს ბეტონის ფილა გამოაბა და წყალში გადააგდო. **ჩიქოვანსა და კვაშილავას,** რომლებიც ნანახით დაიზაფრნენ და ხმას ვეღარ იღებდნენ, შამათავამ უთხრა — **რამ შეგაშინათ, ზღვაში გოგირდწყალბადის მაღალი კონცენტრაციაა, გვამს მალე დაშლის და მის კვალს ვერარავინ მიაგნებსო!** გარდა ამისა, **ჯალათმა და ნარკომანმა შამათავამ** ჩიქოვანი და კვაშილავა მკაცრად გააფრთხილა — **რაც ნახეთ, სადმე არ წამოგცდეთ, თორემ თქვენც ცინდელიანის გზას გაგიყენებთო!**

**— რეალურად, რატომ დახვრიტა სააკაშვილის რეჟიმმა დათო ცინდელიანი 2008 წლის აგვისტოს ომიდან სულ რამდენიმე დღეში?**

— ნაციონალებს ჩემი შვილი ისედაც არ მოსდიოდათ თვალში, რადგან ყოველთვის ხმამაღლა გამოხატავდა პროტესტს უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში დახვრეტის, მიტინგების დარბევისა და ყველა იმ უბედურების გამო, რასაც **სადისტი სააკაშვილის რეჟიმი** სჩადიოდა. 2008 წლის აგვისტოში, როცა ნაციონალებმა კოდორის ხეობა უბრძოლველად დათმეს და ქალები და ბავშვები მიატოვეს, დათო განსაკუთრებით გაღიზიანებული და აღშფოთებული იყო. იმ დღეებში ჩვენი ოჯახი კოდორის ხეობიდან დევნილი ადამიანების თავშესაფრად იქცა და ჩემი შვილი ყველანაირად ცდილობდა უდიდეს გასაჭირში ჩავარდნილთათვის ხე-



ნაცმოძრაობის დღევანდელი ფორმალური შეფობა – პეტრე ცისკარიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ლევან ბეჟაშვილი

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**

*პოლიტოლოგი*



მიშას დროს **განადგურდა გეოლოგია, ფიზიკა და მათემატიკა,** 45 სამეცნიერო ინსტიტუტი დაიხურა, ლაბორატორიები აღარ არსებობს. **ახლა რომ ლაპარაკობს ოპოზიცია დარღვევებზე, აქამდე სად იყვნენ?**

„რეზონანსი“

**სოსო შატბერაშვილი**



ვაფრთხილებ ხელისუფლებას: **იგეგმება სახელმწიფო გადატრიალება!** ხალხი უნდა გამოვიდეთ ქუჩაში და **დავიცვათ ხელისუფლება,** თორემ ეს იქნება ჩვენი ქვეყნისთვის ყოფნა-არყოფნის საფრთხე!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ჭიჭინაძე**



გეოლოგიის ინსტიტუტი **სააკაშვილმა** გააუქმა, შენობა მოეწონათ და გასაყიდად გამოიტანეს, **ესენი კი ფულს ყველაფერში ხარჯავენ უსაფრთხოების გარდა** — გამაფრთხილებელი სისტემაც იმიტომ არ გვაქვს, რომ იქ „ატკატს“ ვერ აიღებდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**

*„გირჩის“ წევრი*



ვიდრე არჩევნები არ გაქვს მოგებული, გაყალბება — **დამტკიცებული, არასერიოზულია წინასწარ ფიქრი, როგორ შეიძლება, დაამხო რეჟიმი.** მგონი, ზოგიერთებს არა აქვთ იმედი, რომ არჩევნებში კარგ შედეგს მიიღებენ.

„რეზონანსი“



# „დარწმუნებული ვარ, სადისტმა და ნარკომანმა შამათავამ ჩემი შვილიც და პაატა ქარდავაც სააკაშვილის ბრძანებით დახვრიტა!»

ლის გამართვას... 2008 წლის 10 ან 11 აგვისტო იქნებოდა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები დევნილებთან შესახვედრად და მათი მდგომარეობის გასაცნობად ჭუბერში ამოვიდნენ. ჩვენს ოჯახში შეფარებულ კოდორელებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ჩემი შვილიც გაჰყვა და სწორედ იქ მოუვიდა შელაპარაკება ნაციონალ მაღალჩინოსნებთან, რომლებსაც ხალხის თვალწინ პირში მიახალა — კოდორის ხეობა მტერს უბრძოლველად ჩააბარეთ და ახლა დევნილებისათვის ელემენტარული პირობების შექმნაზეც კი არ ზრუნავთ, თქვენი დღეები დათვლილია და ვნახავ, მერე სად შეძვრებითო!

როგორც ჩანს, ნაციონალებისათვის ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ **დათო ცინდელიანი** რაიონში მოსახლეობის პატივისცემით სარგებლობდა, შეეშინდათ, ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ არ აებუნტებინა და თავიდან მოიშორეს. ჩემი უდანაშაულო, ვაჟკაცი და პატრიოტი შვილი სადისტ ნაციონალებთან დაპირისპირებასა და მათ მხილებას შეეწირა!

თუმცა, სააკაშვილმა შვილი ერთხელ კი არა, სამჯერ დამიხვრიტა!

**— რას გულისხმობთ?**

**– ჯალათი და ნარკომანი რომან შამათავას მიერ კატერზე დახვრეტილი დათო ცინდელიანი მეორედ მაშინ დახვრიტეს, როცა სამშობლოს ღალატი დასწამეს, მესამე დახვრეტა კი ის იყო, გარეწარმა სააკაშვილმა სადისტ შამათავას „ეროვნული გმირი“ რომ უწოდა!**

დამამტკიცებელი საბუთი არ მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, **სადისტმა და ნარკომანმა შამათავამ** ჩემი შვილიც და **პაატა ქარდავაც** სააკაშვილის ბრძანებით დახვრიტა! ამიტომაც არის, რომ სააკაშვილი მას „ეროვნულ გმირს“ ეძახის — ეშინია, **შამათავა** არ ალაპარაკდეს და ხელი არ დაადოს, როგორც ბრძანების გამცემს!

სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ჩემი ოჯახი ამოწყვიტეს და გაანადგურეს! ჩემი მეუღლე **ზაურ ცინდელიანი** სწორედ შვილის დარდს გადაჰყვა. ღამე უცაბედად გაიღვიძებდა, საწოლიდან წამოხტებოდა და მოთქვამდა — დათო მკვლელებს როგორ დავანებე, თავი რატომ არ შევაკალიო! დღეს შვილსა და ქმარს ერთად ვგლოვობ, ორ საფლავს დავსტირი, რომელთაგანაც ერთი ცარიელია, რადგან შვილის ცხედარიც კი არ მაღირსეს **სატანა ნაციონალებმა!**

**— ხართ თუ არა კმაყოფილი იმ განაჩენით, რომელიც რომან შამათავას გამოუტანეს?**

— უზენაესმა სასამართლომ **შამათავას** 16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა, ამნისტიის კანონით 4 წელი გამოაკლდა და, რეალურად, 12-წლიანი სასჯელი შერჩა, რაც მისნაირი სადისტისათვის ძალიან ცოტაა! მიუხედავად ამისა, მადლობელი ვარ **ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის** მთავრობის, რომელმაც საქმე გამოიძია და დამნაშავეს თავისუფლად პარპაშის საშუალება არ მისცა!

**— თქვენი შვილის დახვრეტიდან 15 წლისთავზე რას ეტყოდით სააკაშვილს, რომელიც დღეს პატიმარია!**

**– მკვლელი სააკაშვილი პატიმრობაში კი არა ფუფუნებაშია, ჩუმად ეგდოს და ხმის ამოღებას ნუ ბედავს უამრავი გაუბედურებული დედის წინაშე, რომლებსაც უდანაშაულო შვილები დაუხოცა!**

**სააკაშვილის** დედასაც მინდა, მივმართო — **გიული ალასანიავ,** რა ვქნათ იმ დედებმა, რომლებსაც თქვენმა გაზრდილმა მკვლელმა შვილები წაგვართვა?! **მე ჩემი შვილის ცარიელ საფლავს დავსტირი, თქვენ კი ისიც არ გინდათ, თქვენმა შვილმა კანონის წინაშე აგოს პასუხი!** თუ ღვთის წინაშე მართალი ხარ, ღმერთმა შენი შვილი ხვალვე დაგიბრუნოს სახლში, თუ არადა, ჩემი და ჩემნაირად გამწარებული დედების ბედი გეწიოს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



დათო ცინდელიანი



პაატა ქარდავა



## «გიული ალასანიავ,

## რა ვქნათ იმ დედებმა, რომლებსაც თქვენმა გაზრდილმა მკვლელმა შვილები წაგვართვა?!“

## კვირგვინოსნები

**ზურა ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი*



ამათი **ხელისუფლებიდან გაშვების ერთი გზაა რიგგარეშე არჩევნები,** მეორეა, რეგულარულ არჩევნებზე უგებ და თუ მაინც არ გაძლევენ საშუალებას, **ისევ ქუჩიდან გაყარო,** ყველაზე რეალისტური სცენარი ეს არის.

„TV ფორმულა“

**რომან გოცირიძე**
*დამოუკიდებელი ოპოზიციონერი პარლამენტარი*



სისულელეა ვინმესადმი საყვედური, **რატომ დადის კონცერტებზე.** ამ ხელისუფლების მომხრე მწერლების წიგნებიც არ წავიკითხოთ, მაგალითად, **ჭაბუა ამირეჯიბის?**

„აიპრესი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**რიგგარეშე არჩევნები ვერ ჩატარდება,** რადგან რიგითი არჩევნები ახლოვდება, ოპოზიციამ იცის, **როგორი მცირეა მათი საარჩევნო რესურსი და რევოლუციას ეპოტინებიან.**

ოპოზიცია ცდილობს, **ტრაგედიიდან** რამენაირად მისი **პოლიტიკური ხვალინდელი დღე** გამოადნოს.

„რეზონანსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი*



რა ჯანდაბას უკეთებს ხალხს ეს **ძალაუფლება და სკამზე ჩაბღაუჭება,** ამაზრზენი საყურებელია.

„აიპრესი“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი*



„ქართული ოცნება“ **ან კოლექტიური ფსიქოზის ფაზაში შევიდა, ან ვადამდელ არჩევნებს ჩალიჩობს,** ან — გუნდში „განხეთქილების“ მიზეზს.

„აიპრესი“

***ნაცოპოზიცია, რომელმაც შოვში სტიქიური უბედურების დატრიალების პირველი წუთებიდანვე მთავარ დამნაშავედ ხელისუფლება გამოაცხადა, პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს, „ქართული ოცნება“ კი აცხადებს, რომ ნაცებს საგამოძიებო კომისია მხოლოდ პოლიტიკური სცენების დასადგმელად სჭირდებათ. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე უპარტიო პოლიტიკოსს, აღმოსავლეთმცოდნე გიგლა ბარამიძეს ვესაუბრებით:***



# გიგლა ბარამიძე:

# საქართველო აღმოჩნდა სრულიად ახალ და უნიკალურ რეალობაში, როცა ევროკავშირი და ამერიკა აქეთ უნდა გვეხვეწონ!

— ახალი ამბავი არ არის, რომ ნაცბანდა ყველა უბედურებასა და ტრაგედიას საკუთარი მიზნებისათვის იყენებს, რის გამოც მათ **საქართველოს პატენტირებული მტრები** დავარქვი! ესენი — ეს ლეშითა და სისხლით გაუმაძღარი სვავები — მხოლოდ მაშინ არიან ბედნიერი, როცა ქართველი ხალხი გასაჭირში აღმოჩნდება ხოლმე. ასე რომ, ხვალ საქართველომ ოკუპირებული ტერიტორიები რომ დაიბრუნოს და გამთლიანდეს, გარწმუნებთ, ნაცბანდისათვის ნამდვილი ტრაგედია იქნება!

**— ნაცებს შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნაც პოლიტიკური შოუს მოსაწყობად სჭირდებათ?**

— ნაცბანდის უმრავლესობას, მათ შორის, ნაცტელეარხების ჟურნალისტთა ნაწილს, გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ შოვში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებას თავიანთ პოლიტიკურ წისქვილზე წყლის დასხმად განიხილავდნენ!

ისიც გაიხსენეთ, როგორ ეწყინათ ნაცბანდის პარტიული ტელევიზიების ე.წ. ჟურნალისტებს, როცა ხელისუფლებამ ბორჯომის ტყეში ხანძრის ჩაქრობა მოახერხა... მაშინ პირდაპირ ეთერშიც კი გაეპარათ კორესპონდენტის ხმა — **„ჩაქრა ეს დედამო...ული!“** აი, ასეთი ზნეობის ხალხია ნაცები, რომლებიც დღესაც **„ორი გვამი მჭირდება“-ს** პრინციპით ცხოვრობენ და მოქმედებენ!

**— და მაინც, უნდა შეიქმნას თუ არა საკანონმდებლო ორგანოში საგამოძიებო კომისია, რომელიც შოვში სტიქიის გამომწვევ მიზეზებსა და სამაშველო ოპერაციის დროს ხელისუფლების მოქმედებებს შეისწავლის?**

— **თუ რამე გამოსაძიებელია, ამას შესაბამისი სტრუქტურები გააკეთებენ და პარლამენტში კომისიის შექმნის არავითარი საჭიროება არ არსებობს! ის კი არა, მმართველი ძალა ნაცბანდის ღვარძლიან განცხადებებზე პასუხების გაცემასაც უნდა შეეშვას და კაცთმოძულე სექტის წარმომადგენლებთან პოლემიკაზე დრო და ენერგია აღარ დახარჯოს!**

**— შოვის ტრაგედიაზე პოლიტიკური სპეკულაციების პარალელურად, ნაცოპოზიცია ანტიჩინურ რიტორიკასაც ავითარებს და საქართველოს ხელისუფლებას, პრორუსულობასთან ერთად, უკვე პროჩინურობაშიც ადანაშაულებს! როგორც პოლიტიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე, რას იტყვით ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავების თაობაზე?**

— პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** ჩინეთში მართლაც უმაღლესი დონისა და ისტორიული მნიშვნელობის ვიზიტი ჰქონდა. პრეზიდენტმა **სი ძინპინმა** საქართველოს მთავრობის მეთაური დიდი პატივითა და ზარ-ზეიმით მიიღო მაშინ, როცა აშშ-ისა და ევროკავშირის ლიდერები ჩინეთის მმართველთან შესახვედრად რიგში დგანან და მასთან ურთიერთობის დალაგებაზე ოცნებობენ! **როცა მილიარდნახევრიანი ჩინეთი 4-მილიონიან საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობას ამყარებს, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და პოლიტიკური ფასი საერთაშორისო ასპარეზზე ერთიორად გაიზარდა!** ყველა სიკეთესთან ერთად, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების კუთხითაც, რადგან გვეყოლება უზარმაზარი და უძლიერესი მეგობარი, რომელიც საერთაშორისო დიპლომატიურ პანელებზე ყოველთვის მხარს დაგვიჭერს და ჩვენი ინტერესების დაცვაში დაგვეხმარება!

მოკლედ, საქართველო, რომელსაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიც კი სახვეწარი გაუხადეს, ახლა აღმოჩნდა სრულიად ახალ და უნიკალურ რეალობაში, როცა იგივე ევროკავშირი და ამერიკა აქეთ უნდა გვეხვეწონ!

**— დააკონკრეტეთ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— როცა ჩინეთი რიგში აყენებს მასთან ურთიერთობის დალაგების მსურველ ამერიკელ და ევროპელ ლიდერებს, როცა პრეზიდენტი **ძინპინი** მათ ცივად ხვდება, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის პირველ პირს საერთოდ უარს ეუბნება შეხვედრაზე, საქართველოს შეუძლია, შუამავლის როლი შეასრულოს ჩინეთსა და ამერიკას, ჩინეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის! დიახ, **ეს არის უნიკალური კოზირი, რომელიც საქართველოს ხელში აღმოჩნდა და რომლითაც ჩვენს ხელისუფლებას ნებისმიერი „კარტის გაჭრა“ შეუძლია!**

ასე რომ, ახლა აშშ და ევროკავშირი საქართველოს უნდა ეფერონ და ელოლიავონ, რათა ქართული სახელმწიფო მათ ჩინეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სავაჭრო ურთიერთობების აწყობაში დაეხმაროს!

წესით, **საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ყველა ტელეეთერში სწორედ ამაზე უნდა საუბრობდნენ და მოსახლეობას უხსნიდნენ, რამხელა წარმატება და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გარღვევაა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება,** მაგრამ ამის ნაცვლად ნაცბანდის ბრიყვულ განცხადებებზე პასუხის გაცემით არიან დაკავებული და „მეხუთე კოლონის“ მიერ შემოგდებულ დღის წესრიგს მიჰყვებიან!



> **„პრეზიდენტმა სი ძინპინმა საქართველოს მთავრობის მეთაური დიდი პატივითა და ზარ-ზეიმით მიიღო მაშინ, როცა აშშ-ისა და ევროკავშირის ლიდერები ჩინეთის მმართველთან შესახვედრად რიგში დგანან!“**

**— რამდენიმე დღის წინათ ნატოს გენერალური მდივნის ოფისის დირექტორმა სტიან იანსენმა განაცხადა, რომ უკრაინა ალიანსის წევრი შეიძლება, გახდეს იმ შემთხვევაში, თუ თავისი ტერიტორიის ნაწილს რუსეთს დაუთმობს! როგორ ფიქრობთ, ეს ნატოს წარმომადგენლის კერძო მოსაზრებაა თუ კოლექტიური დასავლეთი მართლაც განიხილავს მსგავს სცენარს?**

— ნატოს გენმდივნის ოფისის ხელმძღვანელის ეს განცხადება უნდა განვიხილოთ ერთგვარ ტესტად, რომლითაც ამოწმებენ, იქნება თუ არა უკრაინელი ხალხი თანახმა, ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაწევრიანების სანაცვლოდ საკუთარი მიწა-წყლის ნაწილს შეელიოს? ასეთი ტესტი ქართველ ხალხთან მიმართებაშიც რამდენჯერმე გამოიყენეს... მაგალითად, ლიტვის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **რასა იუკნევიჩიენემ,** რომელიც ახლა ევროპარლამენტარი და ნაცბანდის აქტიური მხარდამჭერია, 7-8 წლის წინათ განაცხადა — **საქართველოს ნატოში მაშინ მიიღებენ, როცა აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარს იტყვისო!**

მსგავსი განცხადებები არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან გლობალური ომის პარტიის წარმომადგენლებს არც უკრაინის და არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ ანაღვლებთ, მათთვის საკმარისია, უკრაინაშიც და საქართველოშიც გააკონტროლონ იმდენი ტერიტორია, რამდენიც სამხედრო ბაზების განსათავსებლად და რუსეთისათვის რაკეტების დასამიზნებლად ეყოფათ!

**— როგორ ფიქრობთ, როდის და რა შედეგით დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი?**

— ფაქტია, რომ უკრაინის კონტრშეტევის პირველი და მეორე ფაზაც ჩაფლავდა, არადა, ზელენსკის ხელისუფლებამ კონტრშეტევისთვის უკანასკნელი რეზერვიც კი გამოიყენა 82-ე არმიის სახით, რომელიც ყირიმის ასაღებად ჰყავდა გამზადებული. ახლა რუსეთი თავდაცვის რეჟიმიდან სერიოზულ შეტევაზე გადასასვლელად და კიდევ უფრო მეტი ტერიტორიის დასაუფლებლად ემზადება.

**— აქვს კი რუსეთს შერჩენილი საამისო რესურსი?**

— **პროპაგანდა გვეუბნებოდა,** რომ საერთაშორისო სანქციები რუსეთის ეკონომიკას ჩამოანგრევდა, მაგრამ რუსეთში წარმოება 150 პროცენტით გაიზარდა და თითქმის ყველა ქარხანა სამ ცვლაში მუშაობს; **პროპაგანდა გვეუბნებოდა,** რომ მაღალი ინფლაციისა და რუბლის გაუფასურების გამო რუსი ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა და საკუთარ ხელისუფლებას დაამხობდა, მაგრამ ვხედავთ, რომ მსგავსი არაფერი ხდება; **პროპაგანდა გვეუბნებოდა,** რომ რუსეთს ტანკები გაუთავდებოდა, მაგრამ რუსეთი ერთ თვეში იმდენ ტანკს უშვებს, რამდენის გამოშვებასაც მთელი ევროკავშირი 6 თვეში ვერ ახერხებს... მოკლედ, ერთია, რა სურათს ხატავენ კოლექტიური დასავლეთის ლიბერალური მედიაპროპაგანდისტები და მათ ფეხის ხმას აყოლილი ქართული ნაცტელევიზიები და მეორეა რეალობა, რომელთან თვალის გასწორებაც უკვე ამერიკასაც უწევს და ევროპასაც!

**— თუმცა, ევროპელი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი კვლავ სააკაშვილზე ჭმუნვით არის დაკავებული... მაგალითად, ევროპარლამენტარებმა — ფოტიგამ და ლექსმანმა რამდენიმე დღის წინათაც განაცხადეს — სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვება აუცილებელიაო!**

— **ეს ფოტიგა-კუბილიუსები,** რომლებიც, კორუმპირებული სააკაშვილისა და მისი სისხლიანი ბანდის მრავალწლიანი მხარდაჭერით, თავადვე თელავენ ფეხქვეშ ნამდვილ ევროპულ ღირებულებებს, სრული პოლიტიკური არარაობები არიან, მათ სიტყვას ევროპაში ჩალის ფასიც არა აქვს და ევროპარლამენტშიც კი არაფრად აგდებენ! ერთადერთი ადგილი, სადაც ამ პოლიტიკურ არარაობათა ჩლიფინს ყურადღებას ჯერ კიდევ აქცევენ, საქართველოა და დროა, ამას წერტილი დაესვას!

> **„ნაცები დღესაც „ორი გვამი მჭირდება“-ს პრინციპით ცხოვრობენ და მოქმედებენ!“**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

№47-48 (215-216) ★ 2023 წლის 21 აგვისტო ★ გამოდის 2003 წლიდან

## მამუკა კარტოზია:

# ნებისმიერი ქართველი, რომელიც იტყვის, რომ საქართველო ნატოში აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე უნდა შევიდეს, ქვეყნის მოღალატე იქნება!



***ნატოს გენერალური მდივნის ოფისის ხელმძღვანელის იენსენის სკანდალურ განცხადებას — თუ უკრაინა სადავო ტერიტორიებს დათმობს, ნატოში გაწევრიანდებაო, — მთელ მსოფლიოში დიდი აურზაური მოჰყვა. დიმიტრი მედვედევმა იენსენს ასე უპასუხა — უკრაინელებს ყველა ტერიტორია სადავო აქვთ და ურჩევნიათ, კიევი დათმონ და დედაქალაქი ლვოვში გადაიტანონო! მოგეხსენებათ, ზემოხსენებული არაკებით ამერიკელების ხელისბიჭები ჩვენც გვიხედნიდნენ ყურს — თუ აფხაზეთსა და ცხინვალს დათმობთ, ნატოში სულ ტაშ-ფანდურით მიგიღებენო. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამუკა კარტოზია მიიჩნევს, რომ ამერიკამ ძალიან კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა, მაგრამ გაწირა უკრაინელები, რომელიც ძველ საზღვრებში ვეღარასოდეს აღდგება:***

— ნატოს დაარსების დღიდან, ანუ 1949 წლის 4 აპრილიდან, სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ცხრაჯერ გაფართოვდა და აქედან სამჯერ საბჭოთა კავშირის დაშლამდე. 1952 წელს ალიანსში მიიღეს საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წელს — მაშინდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო 1982 წელს — ესპანეთი. სხვათაშორის, სანამ **გენერალი ფრანკო** ცოცხალი იყო, ესპანეთი ნატოს წევრი გამიზნულად არ ხდებოდა. საერთოდ კი, ნატოში ვინც შევიდა, იქიდან ვეღარ გამოვიდა. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ საფრანგეთია, რომელმაც **დე გოლის** პრეზიდენტობის დროს, 1966 წელს, დატოვა ალიანსი და ქვეყნიდან ნატოს ბაზები გააყვანინა. **დე გოლი** აცხადებდა, რომ საფრანგეთისა და ნატოს გეგმები ერთმანეთს ასცდა, მაგრამ ამერიკელებმა იმდენი ქნეს, რომ 1999 წელს იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაში საფრანგეთიც ჩართეს, ხოლო 2009 წლიდან ისევ დააბრუნეს ნატოში და დღეს ევროპის ეს უდიდესი ქვეყანა სრულად არის ინტეგრირებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის უკლებლივ ყველა სტრუქტურაში.

**— ბატონო მამუკა, იენსენის განცხადებას — უკრაინამ სადავო ტერიტორიები დათმოს და ნატოში მივიღებთო! — ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელმა — მიხაილო პოდოლიაკმა „პუტინის ტრიუმფი“ უწოდა... რა ხდება, ამერიკელები და რუსები უკრაინას იყოფენ?**

— აშკარაა, რომ საქმე აქეთკენ მიდის და ასეც მოხდება. რუსები, დიდი ალბათობით, მიიერთებენ იმ ტერიტორიებს, რომლებიც რახანია, დაკავებული აქვთ. უკრაინას სერიოზული პრობლემები ელის პოლონეთთანაც, რომელიც უკვე ღიად ითხოვს 1945 წელს სტალინის მიერ უკრაინისთვის გადაცემულ პოლონურ მიწებს — **ლვოვის, ტერნოპოლის, როვნოს, ვოლინისა და ივანო-ფრანკოვსკის** ოლქებს. შვეიცარულმა გაზეთმა „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგმა“ სულ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთსა და უკრაინას შესთავაზა ომის დასრულება არსებული შედეგების დონეზე. შუამავალი რუსებსა და ამერიკელებს შორის იყო ამერიკული „ცერეუს“ შეფი **უილიამ ბერნსი,** რომელიც ჯერ მოსკოვში ჩავიდა და შემდეგ — კიევში. გამაოგნებელი გახლდათ ვილნიუსის სამიტის წინ ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის **ანდრეს ფონ რასმუსენის** განცხადება — **„მოდით, უკრაინა ნატოში ნაწილ-ნაწილ მივიღოთ ისე, როგორც თავის დროზე გერმანია მივიღეთ!“** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ **იენსენის** განცხადება არ იყო შემთხვევითი და ამერიკელებმა ნიადაგი მოსინჯეს, თუ რას იტყოდნენ თავად უკრაინელები უკრაინის გაყოფის შესახებ.

**— როგორ ფიქრობთ, რა გეგმები აქვთ რუსებს და რა სურთ უკრაინელებს?**

— პუტინის გეგმა უკრაინის საბოლოოდ დათრგუნვაა, ხოლო უკრაინას ძალიან სჭირდება სტრატეგიული პაუზა, რადგან მისი ყბადაღებული კონტრშეტევა ჩავარდა. **თუ რუსეთმა ომი შეწყვიტა, ამას პუტინი გადაჰყვება, ამიტომ რუსეთი არ გაჩერდება!**

**— იმ პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, როცა ნატოს მაღალჩინოსნები უკრაინას ალიანსში გაწევრიანების სანაცვლოდ სადავო ტერიტორიების დათმობას ურჩევენ, საქართველოს ნატოში შესასვლელად რა პერსპექტივა აქვს? მოგეხსენებათ, იგივე ტექსტი საქართველოსთან მიმართებაში ამერიკელებმა ქათმის ბარკლების გამყიდველ ფადი ასლისაც გააჟღერებინეს...**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს! რაც შეეხება შეკითხვის სხვა ნაწილს, ეს თემა მართლაც ამერიკელებმა „შემოგვიგდეს“ — **ანუ საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე მივიღოთ ნატოშიო!** თუ ეს მოხდა, მაშინ საქართველო სამუდამოდ დაკარგავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ვაცხადებ პირდაპირ: ნებისმიერი ქართველი, რომელიც იტყვის, რომ საქართველო ნატოში აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე უნდა შევიდეს, ქვეყნის მოღალატე იქნება!

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამერიკის ინტერესებში შედის თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

— **ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ შედის!** ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ოცდაათი წლის განმავლობაში, ვაშინგტონი საქართველოში რეალურ შედეგს დადებდა. **ბჟეზინსკისეული გათვლით,** როგორც პაიკი ეწირება დიდ საჭადრაკო ჩანაფიქრს, დღემდე საქართველოც ისე ეწირებოდა ამერიკის პოლიტიკურ მიზნებს. **ჩვენ ამერიკელებს ვჭირდებით ტერიტორიად, სადაც განათავსებენ სამხედრო ბაზებს, ვის ახსოვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ანდა ქართველთა მოდგმა ვის როდის მოუსაკლისებია?!** 2008 წლის აგვისტოს ომიც ამერიკის თანხმობის გარეშე არ დაწყებულა, სააკაშვილი ამას ვერ გაბედავდა! სააკაშვილი დღეს პოლიტიკაში არც ნაცებს უნდათ, რადგან შარლატანია და ნებისმიერი პარტიის რეიტინგს დააზიანებს. სხვათაშორის, **ნიკანორ მელია** პოლიტიკურად სწორად მოქმედებდა, როცა ნაცმოძრაობის სააკაშვილისგან გამიჯვნას ცდილობდა... მელია სწორედ ამას გადააყოლეს.

## პროფესორის პოლიტიკა ★






ჯო ბაიდენი და ენტონი ბლინკენი



ჯეიკ სალივანი

**— გამოუშვებენ თუ არა სააკაშვილს?**

— ფაქტია, რომ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხში ამერიკის შეერთებული შტატები სახელმწიფო დონეზე არ ერევა. აშკარაა, მას ამ ეტაპზე სააკაშვილი, როგორც კორუმპირებული, თაღლითი და მოღალატე ლიდერი არ სჭირდება, მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვალა, მაშინვე აამუშავებს უმძლავრეს პიარ-მანქანას, გაზრდის ზეწოლას და საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის გამოშვებას აიძულებს. **არსებობს სამი ადამიანი, რომელსაც სააკაშვილის გათავისუფლება შეუძლია — პრეზიდენტი ბაიდენი, სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და ბაიდენის მრჩევ ჯეიკ სალივანი!** არცერთი ეს პიროვნება სააკაშვილის გათავისუფლების საკითხში დღემდე არ ჩარეულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით ამერიკას სააკაშვილი არ სჭირდება!

**— როდის შეწყდება უკრაინის ომი?**

— მოვლენათა განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ 2024 წლის რუსეთისა და ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე უკრაინის ომი დასრულებული იქნება. დასავლეთმა ისევ ვერ გათვალა რუსეთის სპეციფიკა და შესაძლებლობები. ვერც **კარლოს მეთორმეტემ,** ვერც **ნაპოლეონმა** და ვერც **ჰიტლერმა** რუსეთის დამარცხება ვერ მოახერხეს, რადგან მისი სიდიადე ტერიტორიაშია. ამ ფონზე მართლაცდა უსუსურად გამოიყურება ამერიკის განცხადება — ომი უკრაინაში რუსეთის სრულ დამარცხებამდე უნდა გაგრძელდესო!

სანამ ევროპა ამერიკის უღელს არ გადაიგდებს, რუსეთის პირისპირ დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე ვერასოდეს გახდება. შესაბამისად, რუსეთის მიერ ვერც ევროპის პოლიტიკური რუკის შეცვლას შეეწინააღმდეგება ვინმე!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „არსებობს სამი ადამიანი, რომელსაც სააკაშვილის გათავისუფლება შეუძლია –

**პრეზიდენტი ბაიდენი, სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და ბაიდენის მრჩეველი უშიშროების საკითხებში ჯეიკ სალივანი!“**

## ისტორიკოსის თვალით ★



*პროფესორი*
***სვიმონ მასხარაშვილი***
***ედუარდ შევარდნაძის კარიერული აღმასვლის უაღრესად საინტერესო და გარდამტეხ მომენტს — ლაზიშვილების განადგურების ისტორიას იხსენებს და აცხადებს, რომ საქართველოს დიდ კულტურულ-ეკონომიკურ აღორძინებას ეროვნული მუხტი სწორედ ოთარ ლაზიშვილმა, გიორგი გეგეშიძემ და ვასილ მჟავანაძემ მისცეს:***

# *სვიმონ მასხარაშვილი:*

# შევარდნაძის თვითმიზანი იყო, რომ ოთარ ლაზიშვილს ჩვენება მიეცა და ვასილ მჟავანაძისა და გიორგი გეგეშიძისთვის ხელი დაედო!

## „1966 წლიდან შევარდნაძის ცხოვრების მიზანი ორი კაცის განადგურება იყო — გიორგი გეგეშიძისა და როინ მეტრეველის!“

— ყველა აქტსა და საბუთზე **ოთარ ლაზიშვილის** დირექტორებს, საწარმოს უფროსებს, მთავარ სპეციალისტებს ხელი მოწერილი ჰქონდათ, მაგრამ გამოძიება დაიწყო თუ არა, ვერცერთ ისეთ დოკუმენტს ვერ მიაკვლიეს, სადაც ოთარის ხელმოწერა იქნებოდა. უფრო მეტიც, საქმეში ლაზიშვილის ჩვენებაც კი არ არის, მას არასოდეს არაფერი უღიარებია და ბევრი თანამეინახისგან განსხვავებით, არავინ „ჩაუშვია“... **ლაზიშვილი, რომელმაც, ფაქტობრივად, ფინანსური იმპერია შექმნა და მთელ საქართველოს ეხმარებოდა, ბოლომდე რიგით სპეციალისტად დარჩა.** სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ:

**ლაზიშვილს ამერიკაში ან რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში რომ ეცხოვრა, დღეს როკფელერების, მორგანებისა და რიტშილდების უახლოეს გარემოცვაში იტრიალებდა**

და მათი ტოლი და სწორი მაგნატი იქნებოდა.

**— თუ ლაზიშვილებსა და მათ წრეს მჟავანაძე და გეგეშიძე მფარველობდნენ, როგორ მოხდა, რომ შევარდნაძემ ოთარ ლაზიშვილი სწორედ ვასილ პავლოვიჩის მმართველობის დროს დააპატიმრა?**

— შევარდნაძეს ძალიან გაუმართლა, რადგან 1966 წელს **ლეონიდ ბრეჟნევმა ნიკოლაი შჩოლოკოვი** არამხოლოდ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად გაამწესა და არმიის გენერლობა მიანიჭა, არამედ საბჭოთა „კაგებეს“ დაქვემდებარებიდან გამოაცალკევა ეკონომიკური დანაშაულის სფერო და ე.წ. **„ობეხეესის“** სახით შექმნილი უზარმაზარი სისტემა, რომელიც „ცეხავიკებს“ შიშის ზარს სცემდა. **სწორედ გაძლიერებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარეს „ობეხეესი“.** ასე და ამრიგად, შინაგან საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის მოადგილედ დაინიშნა კრიმინალების ნამდვილი რისხვა, გენერალი **ვარლამ შადური,** რომელიც მანამდე **ალექსი ინაურის** მოადგილე იყო. მოკლედ, სრულიად უმწეო და უუფლებო მართლწესრიგის მინისტრის მოადგილეობიდან ედუარდ შევარდნაძე 1965-1966 წლიდან გადაიქცა ნამდვილ მონსტრად, რომელსაც უკვე სრული კონსტიტუციური უფლება და, რაც მთავარია, ვალდებულება ჰქონდა, ე.წ. „ცეხავიკებს“ დარეოდა... ერთი სიტყვით, ედუარდი, რომელიც კრემლს თავს აწონებდა და მხოლოდ და მხოლოდ კარიერაზე ფიქრობდა, გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და ლაზიშვილებსა და მათ წრეს დაერია...

**— შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრი როგორ გახდა?**

— შევარდნაძემ **ოთარ ქავთარაძე** მოსკოვის მხარდაჭერით ჩაანაცვლა. მან კრემლს თავი მოაწონა როგორც პრინციპულმა, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლმა მტკიცე კომუნისტმა. ცხადია, ეს ყველაფერი იყო მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი, რომლის უკანაც იმალებოდა ჩამოყალიბებული კარიერისტის სახე. შევარდნაძე **ლაზიშვილებს** იმიტომ კი არ დაერია, რომ ე.წ. „ჩრდილოვან ეკონომიკას“ ებრძოდა, არამედ მოსკოვის კეთილგანწყობის მოპოვება სურდა, რათა კრემლში შეედგა ფეხი. ჯერ მართლწესრიგისა და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის დაკავებაში, როგორც წინა ინტერვიუში მოგახსენეთ, მოსკოვის გარდა შევარდნაძეს მხარი დაუჭირეს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა **აარონ ტაკიძემ** და „კაგებეს“ შეფმა **ალექსი ინაურმა.**

სტალინგრადში ნაომარი კავალერისტი, გენერალი ალექსი ინაური, რომელიც გერმანელების წინააღმდეგ ცხენებით მიდიოდა შეტევაზე, ცხადია, „ცეხავიკების“ თავგასულობით და განსაკუთრებით **აბესალომ ხაინდრავას** ხუმრობებით, რომელიც **ხრუშჩოვის** თვალწინ ქალებით სავსე აუზში კოსტიუმით ჩახტა, ცხადია, ძალიან გაღიზიანებული იყო. **შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ერთადერთი კაცი, რომელიც ამ ბაქანალიას აღკვეთდა, იყო სწორედ შევარდნაძე. თან ყველამ იცოდა, რომ ედუარდს პატრონი ჰყავდა...**






გიორგი გეგეშიძე
და ვასილ მჟავანაძე

კერძოდ, მისი ძმა **ჰიპოკრატე შევარდნაძე** რაიკომის მდივანიც იყო, ცეკას წევრიც და პროფტექნიკური განათლების მინისტრიც. პაპაჩემი, რომელიც ედუარდს ძალიან ახლოს იცნობდა, სულ მეუბნებოდა — შევარდნაძე სტალინისტი იყოო!

**— რაში გამოიხატებოდა მისი სტალინისტობა?**

— ცხადია, საქმეში არამც და არამც არ გამოიხატებოდა, მაგრამ, როგორც პაპა მიამბობდა, არ არსებობდა, შევარდნაძეს სტალინის სადღეგრძელო არ დაელია, მასზე თვალებაციმციმებულს არ ელაპარაკა და კეთილი სიტყვა არ ეთქვა! საქართველოს ძალოვანი უწყებების როგორც რიგით, ისე მაღალჩინოსან წევრებს შორის ადამიანის სტალინისტობა დაახლოებით იმას ნიშნავდა, რასაც მასონთა შორის ფარული მინიშნებები... შევარდნაძის სადღეგრძელოებისა და სტალინზე წარმოთქმული კეთილი სიტყვების შესახებ ხმები ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა, რაც ძალოვან უწყებებში დიდ აღფრთოვანებას იწვევდა. შევარდნაძის შესახებ ჩუმად ყველა ამას ამბობდა — **„ჩვენი კაცია!“** მოკლედ, 1966 წლიდან, როგორც კი შევარდნაძე გაძლიერდა და არაფრის მაქნისი მართლწესრიგის დაცვის მინისტრობიდან უმძლავრესი ბერკეტებით აღჭურვილ შინაგან საქმეთა მინისტრად „გადაკეთდა“, პირდაპირ გავიდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრ **ნიკოლაი შჩოლოკოვზე** და შეძლო მისი მოხიბვლა.

**— როგორც ცნობილია, შევარდნაძე შჩოლოკოვს ხშირად სტუმრობდა!**

— დიახ, შევარდნაძე შჩოლოკოვის ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. ის შჩოლოკოვის ცოლშვილს საქართველოში მასპინძლობდა და თითოეულ მათგანს ძვირფასი საჩუქრებითა და ათასგვარი ძღვენით ავსებდა... მოკლედ, 1966 წლიდან შევარდნაძის ცხოვრების მიზანი ორი



როინ მეტრეველი



„არ არსებობდა, შევარდნაძეს სტალინის სადღეგრძელო არ დაელია, მასზე თვალებაციმციმებულს არ ელაპარაკა და კეთილი სიტყვა არ ეთქვა!“

კაცის განადგურება იყო — **გიორგი გეგეშიძისა და როინ მეტრეველის!** შევარდნაძეს აქაც საოცრად გაუმართლა... **გეგეშიძის მძღოლმა** კაცი გაიტანა, რასაც ეს უდიდესი პატრიოტი და საქართველოს მართლაცდა აშენებელი გადაჰყვა. მომხდარის გამო **გიორგი გეგეშიძე** მოხსნეს... ნერვიულობის ნიადაგზე 47 წლის კაცს სიმსივნე დაემართა და 1971 წელს, ჯერ კიდევ შევრდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, **გიორგი გეგეშიძე** გარდაიცვალა. დარჩა **როინ მეტრეველი,** რომელსაც ინტელიგენციის დიდი ნაწილი უჭერდა მხარს და **ვასილ მჟავანაძის** ნომერ პირველ მემკვიდრედ ითვლებოდა. ცხადია, **ოთარ ლაზიშვილის** განადგურების გარეშე ედუარდ შევარდნაძის კარიერულ წინსვლას ვერავითარი პერსპექტივა ვერ ექნებოდა... ამიტომაც ეს კარიერისტი კაცი საქართველოს ეკონომიკისა და კულტურული აღმასვლის შეგნებულ დაქცევასა და განადგურებაზე წავიდა და **ოთარ ლაზიშვილისა და მისი წრის** წინააღმდეგ ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყო!

რაც შეეხება **ვასილ მჟავანაძეს,** მას შევარდნაძემ სულ სხვა მეთოდითა და ხერხით მოუღო ბოლო, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

ახლა რომ ამბობენ — შევარდნაძის დროს **გურამ დოჩანაშვილის, ჭაბუა ამირეჯიბისა და ოთარ ჭილაძის** გენიალური ნაწარმოებები გამოჩნდაო! — კი, ბატონო, გამოჩნდა, მაგრამ **თითოეული ეს ნაწარმოები იქმნებოდა სწორედ ვასილ მჟავანაძის, გიორგი გეგეშიძისა და ლაზიშვილების მიერ აყვავებულ და აღორძინებულ საქართველოში.** საქართველოს დიდ კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებას უმძლავრესი ეროვნული მუხტი **გიორგი გეგეშიძემ, ოთარ ლაზიშვილმა და ვასილ მჟავანაძემ** მისცეს!

**— მათ გარშემო წრე რომ ვიწროვდებოდა, ლაზიშვილებმა ვერ დაინახეს და ვერ იგრძნეს? რა საწინააღმდეგო ზომები მიიღეს, რათა შევარდნაძე გაენეიტრალებინათ?**

— ცხადია, მათ საფრთხე იგრძნეს და სერიოზული მოძრაობებიც დაიწყეს!

**— მაინც?!**

— ეს ძალიან საინტერესო თემაა, რომელიც დაკავშირებულია პაპაჩემთანაც! შევარდნაძე **ლაზიშვილების** გარშემო მგელივით ტრიალებდა და ოთარს პარტნიორებს უნადგურებდა. მაგალითად, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი ფალავანი **გივი კარტოზია,** რომელიც **ოთარ ლაზიშვილის** საახლობლო წრეს ეკუთვნოდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ დაიბარა და ულტიმატუმი წაუყენა — **შეწყვიტე ბიზნესი, თორემ დაგიჭერო!** გივი კარტოზიას სერიოზული „ცეხები“ ჰქონდა... გივი კარტოზიამ შევარდნაძეს სთხოვა — **რამდენიმე თვე მომეცი და საწარმოებს დავხურავო!** — ააა, საქმეში გინდა, გამიყვანო? — მიუგო ედუარდმა და კარტოზიას ბიზნესიც იმავე დღესვე განადგურდა! აი, სწორედ ასე, ამ მეთოდით იბარებდა შევარდნაძე თავისთან ბიზნესმენებს, რომლებიც **ოთარ ლაზიშვილთან** მეგობრობდნენ და უკლებლივ ყველას ანადგურებდა.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები **მიხეილ ბაბუნაშვილთან** მიმართებაში, რომელიც „მაუდკამვოლის“ ფაბრიკის დირექტორი იყო. **ბაბუნაშვილმა შევარდნაძეს ქრთამის სახით 10 ათასი მანეთი გაუგზავნა, რაც მაშინ ძალიან დიდი ფული იყო.** მაგალითისთვის გეტყვით, რომ ავტომანქანა „ვოლგა“ 9 ათასი მანეთი ღირდა. შევარდნაძემ ეს ქრთამი მიიღო, მაგრამ **მიხეილ**







**გურამ დოჩანაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე**

# „ახლა რომ ამბობენ — შევარდნაძის დროს გურამ დოჩანაშვილის, ჭაბუა ამირეჯიბისა და ოთარ ჭილაძის გენიალური ნაწარმოებები გამოჩნდაო! —

## კი, ბატონო, გამოჩნდა, მაგრამ თითოეული ეს ნაწარმოები იქმნებოდა სწორედ ვასილ მჟავანაძის, გიორგი გეგეშიძისა და ლაზიშვილების მიერ აყვავებულ და აღორძინებულ საქართველოში!“

**ბაბუნაშვილის** დევნა-შევიწროება მაინც არ შეუწყვეტია... ბაბუნაშვილმა, რომელიც ქუთაისელი კაცი იყო, კალათბურთელი და განათლებული, შევარდნაძეს ისევ გაუგზავნა ქრთამი... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, 1966 წლიდან მოყოლებული, **მიხეილ ბაბუნაშვილი შევარდნაძეს თითქმის ყოველთვიურად უგზავნიდა 15 ან 20 ათას მანეთს.** როდესაც შევარდნაძემ მიხეილ ბაბუნაშვილი დაიჭირა, პატიმარმა პირდაპირ შევარდნაძესთან მოითხოვა შეხვედრა. ედუარდი დათანხმდა... პაპაჩემისგან ვიცი, რომ ამ შეხვედრაზე, რომელსაც ხალხიც ესწრებოდა, მიხეილ ბაბუნაშვილმა შევარდნაძეს უთხრა — **ახლა რომ მიჭერ, ამდენი წლის განმავლობაში ჩემგან ფულს რომ იღებდი, კარგი იყო?**

— კი, მართალია, ფულს მიგზავნიდი! მაგრამ აბა, ჩამომითვალე, როდის რამდენი გამომიგზავნე! — უპასუხა შევარდნაძემ. ბაბუნაშვილმა ჩამოუთვალა ათი შემთხვევა მაინც... — არ არის საკმარისი, კიდევ გააგრძელე ჩამოთვლა, რადგან უფრო მეტი გაქვს ჩემთვის მოცემული! — განაცხადა შევარდნაძემ და გარშემო მყოფებს გაკვირვებისგან პირი დააღებინა. ჩამოვარდა სიჩუმე... **ამ სიჩუმეში წამოდგა შევარდნაძე, გახსნა სეიფი და გამოიტანა აურაცხელი ქვითრები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მიხეილ ბაბუნაშვილის მიერ ქრთამის სახით გამოგზავნილი ფული შევარდნაძეს ხან ლენინის ფონდში ჰქონდა გადარიცხული, ხან — მშვიდობის დაცვის ფონდში, ხან — ბავშვთა ფონდში და ა.შ.**

მოკლედ, ამ ოპერაციით შევარდნაძემ რამდენიმე კურდღელი ერთად დაიჭირა — **მიხეილ ბაბუნაშვილის** ყურადღება მოადუნა, კაცი „გააფუჭა“ და ფსიქიატრიულში გაუშვა, ხოლო თანამშრომლებში ავტორიტეტი მოიხვეჭა და ყველას ათქმევინა — **„ვაა, შევარდნაძე რა მაგარი კაცია, დახე, ბაბუნაშვილს როგორ შეუსრულა!“**

პარალელურ რეჟიმში შევარდნაძის მოადგილე, უშიშროების გენერალი **ვარლამ შადური,** რომელიც „ობეხესს“ კურირებდა, ლაზიშვილების საწარმოებს აწიოკებდა და იკლებდა. **ოთარ ლაზიშვილი** ბიზნესების სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გადატანის საკითხს სერიოზულად განიხილავდა, რადგან **ალექსეი კოსიგინის** პროექტი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ხოლო ოთარს ყველა რესპუბლიკაში მოგვარებული ჰქონდა საკითხი. აი, ასეთ სიტუაციაში, როცა სასწორი ქანაობდა და კაცმა არ იცის, საბოლოო გამარჯვება ვის დარჩებოდა, **ოთარ ლაზიშვილი** ჩავიდა მოსკოვში თავის ძმასთან, რომელიც მეცნიერი იყო და მოახერხა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის **რომან რუდენკოს** ვაჟის გაცნობა და მასთან დაახლოება...

**— რომან რუდენკო, თუ არ ვცდები, ბერიას დახვრეტაში მონაწილეობდა!**

— დიახ, **რომან რუდენკომ** საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორობა **ნიკიტა ხრუშჩოვისგან** სწორედ ფეშქაშად მიიღო, რადგან **კირილ მოსკალენკოსთან, ივან ბატიცკისთან** და დანარჩენ უკრაინელებთან ერთად, 1953 წლის 26 ივნისს ბერიას ლიკვიდაციაში მონაწილეობდა! მოკლედ, მოხდა ასეთი რამ: პაპაჩემს საცხენისში, მუხროვანთან, ჰქონდა დიდებული ვილა, სადაც ზაფხულობით, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას, ედუარდ შევარდნაძე თავის ცოლ-შვილთან ერთად ჩამოდიოდა. ამ ვილაში შევარდნაძე ხან **ვასილ მჟავანაძეს** მოიყვანდა, ხან — **შოთა ჭანუყვაძეს,** ხან — **ირაკლი აბაშიძეს,** ხან — მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმრებს და ა.შ. ეს ვილა იყო ერთგვარი შტაბ-ბინა, ფანტასტიკურად მოწყობილი სახლი... პარასკევი იყო, საღამო, როცა პაპაჩემი შევიდა შევარდნაძესთან და ჰკითხა — **ედუარდ, ხვალ დაგელოდო, ნანულისა და ბავშვებს საცხენისში ჩამოიყვან?** — კი, კი, აუცილებლად ჩამოვალთ! — მიუგო შევარდნაძემ. სწორედ ამ დროს მოსკოვიდან დარეკა „ვერჩ“... პაპაჩემმა ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ შევარდნაძემ ხელით ანიშნა — დარჩი, დაჯექიო! მთელი 45 წუთის განმავლობაში შევარდნაძე ვიღაცას ტელეფონით უსმენდა და მხოლოდ ამას გაიძახოდა — **„და!“ „და!“ „პონიატნო!“** საუბრის დასასრულს მხოლოდ ეგ სთქვა — **„ახლავე მოვფრინავ!“** ამის შემდეგ ფერდაკარგულმა შევარდნაძემ პაპაჩემს უთხრა — **სვიმონ, ხვალ საცხენისში ჩამოსვლა კი არა, სასწრაფოდ მოსკოვში მივფრინავ და ოდესმე გნახავ თუ არა, ეგეც არ ვიცი!** დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში შევარდნაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში არ გამოჩენილა, მოსკოვში იყო...

**— მაინც რა მოხდა?**

— ამ ამბიდან გავიდა თვე-ნახევარი და 1970 წლის 3 ივლისს მოსკოვში დააპატიმრეს **ოთარ ლაზიშვილი.** აქედან ზუსტად ერთ კვირაში, ანუ 1970 წლის 10 ივლისს, პაპაჩემმა **სვიმონ მასხარაშვილმა** შევარდნაძეს სამსახურში შეუარა, რომელსაც ედუარდმა უთხრა — ხვალ, საცხენისში მოვდივარო! მეორე დღეს ნანულისთან და ბავშვებთან ერთად შევარდნაძე პაპას საცხენისში მართლაც ეწვია... ქეიფის შემდეგ ედუარდმა პაპაჩემს მდინარის პირას გასეირნება შესთავაზა... კარგა მანძილი რომ გაიარეს, ედუარდი მოუტრიალდა და პაპაჩემს ეუბნება — **რატომ არ გაინტერესებს, მაშინ ვინ დამირეკა და მთელი ამ ხნის განმავლობაში საერთოდ რა მოხდა?** — კი მაინტერესებს, მაგრამ... — მიუგო პაპამ. — სვიმონ, საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა **რომან რუდენკომ** დამირეკა და თავზე გადამიარა — **შენ დევნი ოთარ ლაზიშვილს, რომელმაც მთელი საბჭოთა ეკონომიკა უნდა ააყვავოს და ამას მხოლოდ შენი კარიერისტული ზრახვებიდან გამომდინარე სჩადიხარო!** ამას რომ მელაპარაკებოდა, **ოთარ ლაზიშვილიც** იქ იყო... წავიღე მთელი დოკუმენტაცია და რუდენკოს ყველაფერი წინ დავულაგე. ოთარ ლაზიშვილს არავითარი დანაშაული არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ ძაფი, რომელიც თურქმენეთში უნდა წასულიყო, ჩამოიტანა თბილისში, ხოლო მანქანა-დანადგარი, რომელიც კიევში უნდა ჩაეტანათ, ჩამოიტანეს თბილისში! ლაზიშვილი არღვევდა შრომის კანონმდებლობას და როგორც არალეგალური ბოსი, ანგრევდა საბჭოთა საგეგმო კომიტეტის ინსტრუქციებსა და საბჭოთა მენტალიტეტს! რუდენკოს ბოლოს ვუთხარი — **ჩვენ ოთარ ლაზიშვილის დასაპატიმრებლად სანქციას ვერ ვცემთ, რადგან საკმარისი სამხილები არ გვაქვს!** რომან რუდენკო წამოენთო — როგორ, კაცი საბჭოთა სისტემას ანგრევს და ვერ იჭერთ?! სწორედ იქ გადაწყდა მათი ბედი და **რომან რუდენკომ** გასცა ოთარ ლაზიშვილის დაპატიმრების სანქცია!

**— ანუ შევარდნაძემ რუდენკოსაც შეუტრიალა ტვინი?**

— დიახ, ბერიასა და ნიურნბერგის ჯალათ **რუდენკოს,** რომელსაც ქართველები ეზიზღებოდა, შევარდნაძემ ტვინი ადვილად შეუტრიალა და დააჯერა, რომ **ლაზიშვილები** წარმოადგენდნენ ქართველ ნაციონალისტებს, რომლებიც საბჭოთა სისტემის ხარჯზე მილიარდებს აკეთებდნენ! აი, ამის შემდეგ შევარდნაძის თვითმიზანი იყო, **ოთარ ლაზიშვილს** ჩვენება მიეცა და **ვასილ მჟავანაძისა და გიორგი გეგეშიძისთვის** ხელი დაედო, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ლაზიშვილის საქმის გამომძიებელი **კოსტავა** კინაღამ გალოთდა, რადგან ოთარი ჩვენებას არ იძლეოდა... **ოთარ ლაზიშვილს არავისზე ხელი არ დაუდია და არც არაფერი ულიარებია. სანამ შევარდნაძე მოსკოვში არ წავიდა, ოთარ ლაზიშვილს ციხესა და ფსიქიატრიულში ტანჯავდნენ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



გივი კარტოზია

## „გივი კარტოზიამ შევარდნაძეს სთხოვა – რამდენიმე თვე მომეცი და საწარმოებს დავხურავო! – ააა, საქმეში გინდა, გამიყვანო? – მიუგო ედუარდმა და კარტოზიას ბიზნესიც იმავე დღესვე განადგურდა!“

დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, № 39-40, 41-42, 43-44, 45-46

# თავი მეცხრე

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულების საფუძველი და მისწრაფებათა შეურიგებლობა



ივ. ჯავახიშვილი

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში.

ქართული კლუბის გამოცემა.

თბილისი.
სახელმწიფო სტამბა
1919.



**ისტორია, როგორიც იგი არის!**

უნებლიეთ საკითხი იბადება, თუ რა მიზეზი იყო, რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა საქართველოს ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს ისე მოჯადოებას, რომ რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდგომ მაინც „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო?

პირველი საკითხის გადაწყვეტა ყველა ზემომოთხრობილის შემდგომ ძნელი არ არის.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებებითგან და მიწერ-მოწერითგან, აგრეთვე სხვა ყველა იმდროინდელი საბუთებითგან და თვით მოქმედებითგანაც, სრულის სიცხადით ირკვევა, რომ **რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსულ პოლიტიკურ ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნიღაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო.**

მაშინ რუსეთს ამიერ-კავკასიაში და სპარსეთში იმდენად პოლიტიკური ინტერესები არა ჰქონდა, რამდენადაც ეკონომიური. ის განსაკუთრებით, რუსული აღებმიცემობის სპარსეთში გავრცელებაზე ზრუნავდა, რითაც მას ინდოეთის მდიდარი ვაჭრობის ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ უკვე საკომერციო ინტერესები რეალურ გეგმას წარმოშვამდენ, რომელიც ინდოეთის დაპყრობის გამამართლებელ საბუთად გამოდგებოდა. მაგრამ რუსებს ეს მხოლოდ შორეულ, მომხიბლავ მომავლად ეხატებოდათ. მათ ხალხურ ზღაპრებშიაც თვალწარმტაცის მიმზიდველობითა და სიმდიდრით იყო მოსილი ინდოეთი და თვით რუსეთის მთავრობაც უფრო ოცნებისა და სიზმარეთის სამეფოში დანავარდობდა, ვიდრე ცხოვრების სინამდვილეში იმიტომ, რომ მისი გეგმების სივრცე და სიუხვე ოდნავადაც არ შეეფერებოდა იმდროინდელი რუსეთის ეკონომიურ ძალას და წარმოებას.

**რუსეთის მთავრობის გულის სიღრმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დაწინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ.**

ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს ცინიკური, გულახდილობით გამოთქმული გრაფი **ნ. პანინის** პირით ერთს საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ **ტოტლებენს** გამოუგზავნა: **უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს“, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთ მთავრობის განკარგულებას ასრულებდენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმ ნაირად კი, რომ „სული აქაური** (ე. ი. რუსული) **იყოს, სხეული კი ქართული“-ო.** მაშასადამე რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავის პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად.

**მაშინდელი ქართველობა კარგა ხანს ამ გარემოებას ვერ ამჩნევდა და გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკიოდა და მის მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ.**

ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულის კვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა.

**რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო დამყარებული.** „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინეობა სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუს ხალხისადმი“-ო, ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი, — და ამ ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდენ და ახერხებდენ კიდეც ქართველების იმედად მოჯადოვებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

**როცა რუსეთისთვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ და მაჰმადიან ძლიერი სახელმწიფოების მძლავრობისაგან უკიდურესად შევიწროებულნი იყვნენ. ამ დროს, ის ვითომცდა კაცთმოყვარეობის გრძნობით აღსავსე არწმუნებდა საქართველოს, რომ მუდამ მის დახმარებაზე ოცნებობს და მისთვის ზრუნავს.**

ასე იყო ხოლმე, სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმისდა მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც იგი განიზრახავდა, არ ჩარევდა. **მაგრამ რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწეულად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც.** ასეთს შემთხვევებში ის იმაზეც კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მის წყალობითა და მის მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე.

გარეგნულად რუსეთის მთავრობა ვითომც სწუხდა რომ საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული სახელმწიფო იყო და თითქოს ცდილობდა, რომ მისი სამხედრო ძლიერება გაზრდილიყო და საერთაშორისო მდგომარეობა გამტკიცებულიყო. **რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მაგ., თავის წარმომადგენელს საქართველოში კოვალენსკის სწერდა, რომ მას საქართველოს მეფისთვის ერჩია, მუდმივი ლაშქარი დაეარსებინა და ხეირიანი არტილერია შეექმნა, რომ ამგვარად მეფეს საშუალება ჰქონოდა, საჭიროებისამებრ პატარა სამხედრო ძალითაც სპარსთა მრავალრიცხოვანი, თავზეხელაღებული ბრბოებისათვის წინააღმდეგობა გაეწია.** ამ საქმის განსახორციელებლად რუსეთის ხელმწიფე საქართველოს მეფეს ნებას აძლევდა საქართველოში დანიშნული იეგერთა პოლკის უფროსი და ოფიცრები ხელმძღვანელად გამოეყენებინა (Инструк. Иностр. Коллегiи Коваленскому. АКАГК. I. გვ. 95, § 11). **მაგრამ ეს 1799 წელს იწერებოდა, როდესაც უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი თვით რუსთავე წყალობით გადაწყვეტილი იყო, ისე რომ ამ რჩევას მაშინ აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.**

განსაკუთრებით საყურადღებო კი სწორედ ის გარემოებაა, რომ თვით საქართველოს მთავრობა მუდამ ცდილობდა დაწინაურებული სამხედრო ტეხნიკა და მეტადრე ზარბაზნების ჩამოსხმა-მოხმარება შეესწავლა, ხოლო **რუსეთის მთავრობა იდუმალად ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ საქართველოს თავის ეს წადილი ვერ განეხორციელებინა. ისე რომ თუ საქართველოს მე-XVIII საუკუნის დასასრულს, როდესაც რუსეთის მთავრობის ზემომოყვანილი რჩევა იყო შედგენილი, შესაფერისი არტილერია არ ებადა, ამაში უმთავრესად თვით რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს უძევთ ბრალი.**

საქართველოში ძალიან კარგად ესმოდათ კარგი არტილერიის უაღრესი მნიშვნელობა ქვეყნის გარეშე მტრისგან უზრუნველყოფისათვის და სწორედ ამიტომაც არის რომ **ერეკლე მეფე** სულ იმის ცდაში იყო, რომ ვისგანმე ზარბაზნების გაკეთება და ხმარება შეესწავლა.

მან ისარგებლა კიდეც შემთხვევით რომ რუსთა ჯარში, რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მაშინ საქართველოში იყო გამოგზავნილი, არტილერიის საქმის მცოდნე პირები ქართველები იყვნენ და მათ მიჰმართა, რომ თავისი დიდი ხნის ნატვრა აესრულებინა. არტილერიის პოდპოლკოვნიკს **ჩოლოყაშვილს** და თავად **თარხან-მოურავს** სიხარულით უკისრიათ ეს საქმე. ისინი თურმე **ერეკლე მეფეს** ზარბაზნების მორტირების და ჰაუბიცების გაკეთებასა და დადგმას ასწავლიდნენ.

**მოულოდნელად ამის გამო მთელი აურზაური ატყდა. თუმცა მაშინ ეს ქართველებს ეუცნაურათ, მაგრამ რუსეთის ჯარის უფროსმა ტოტლებენმა რომ ეს გარემოება შეიტყო, მაშინვე ჩოლოყაშვილსაცა და თარხან-მოურავსაც სასტიკად აუკრძალა, რომ მათ მეფე ერეკლესთვის საარტილერიო ხელოვნება ესწავლებინათ.**

ამ ორს ქართველს არტილერისტს, როგორც სჩანს, ტოტლებენის ამგვარი ბრძანება უკანონოდ მიაჩნდათ და, ეტყობა, გულწრფელად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთისათვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, თუ კი საქართველოს მეფეს, ვითარცა რუსეთის ერთგულ მოკავშირეს და მის მფარველობის ქვეშ მყოფს, სამხედრო საქმე კარგად შესწავლილი ექმნებოდა. ამიტომ ორივენი ისევ ტფილისში დარჩნენ და წინანდებურად **ერეკლე მეფეს** ასწავლიდენ. მაშინ **ტოტლებენმა** 6 თებერვალს 1770 წელს რუსეთის მთავრობას ფრანგულად დაწერილი საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებდა, რომ **ჩოლოყაშვილი და თარხან-მოურავი** ერეკლე მეფეს ზარბაზნების ჩამოსხმასა და დადგმას ასწავლიანო. თუმცა საქართველოს მეფე, სწერდა **ტოტლებენი** მთავრობას, **რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის ინტერესებისათვის სასურველი არაა, საქართველოში რუსეთის ხელმწიფის ზარბაზნებს გარდა სხვისი ვისიმე ზარბაზნები იყოსო.** ამიტომ **ტოტლებენი** მთავრობას სთხოვდა, რომ ყველა ქართველი ოფიცრები და **თავადი თარხან-მოურავი** საქართველოთგან ისევ რუსეთში წაეყვანათ (წერილი იხ. А. Цагарели. Грамоты I, შედ. 198-199).

ქართველი ოფიცრები თავის მამულიშვილური გრძნობისა და პოლიტიკური სიბეცისათვის სასტიკად დაისაჯნენ. იძულებით რუსეთში წაყვანილნი და დაპატიმრებულნი საქმის გამოძიებას უცდიდენ, სანამ მათი უდანაშაულობა ყველასთვის ცხადი არ შეიქნა.

ამ საიდუმლო მოხსენებითგან ცხადად სჩანს, რომ

**რუსეთის მთავრობისათვის საზოგადოდ საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლივ მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო.**



IX თავი.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულების საფუძველი და მისწრაფებათა შეურიგებლობა

უნებლიეთ საკითხი იბადება, თუ რა მიზეზი იყო, რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა საქართველოს ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს ისე მოჯადოებას, რომ იგი რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდგომაც მაინც „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო?

პირველი საკითხის გადაწყვეტა ყველა ზემომოთხრობილის შემდგომ ძნელი არ არის.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებებითგან და მიწერ-მოწერითგან, აგრეთვე სხვა ყველა იმდროინდელი საბუთებითგან და თვით მოქმედებითგანაც, სრულის სიცხადით ირკვევა, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსულ პოლიტიკურ ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ

**სტალინისეული «უმცირესი ბოროტება» –**

X თავი.

**საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა რუსეთის მთავრობის მიერ და რუსეთთან შეერთება**

სამეფო ტახტზე ასულს გიორგი მეფეს არც მამის ნიჭი და პირადი სიქველე ჰქონდა, არც საიმისო გავლენა მოეპოვებონა ხალხში, რომ ესოდენ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობითგან ბრძნულის შორსმჭვრეტელობითა და სიფრთხილით საქართველო სამშვიდობოს გამოეყვანა. პირიქით შინაური უწესობა გაძლიერდა, გარეშე მტრები უფრო გათამამდენ, გულწრფელი მეგობრული გრძნობითა და უანგარო კეთილმოსურნეობით გამსჭვალული ძლიერი მოკავშირის მფარველობა და დახმარება-კი არა სჩანდა.

ასეთ გარემოებაში მყოფს გიორგი მეფეს რუსეთის მხრივ შველის იმედი აღარა ჰქონდა და ამის გამო მან გადასწყვიტა დარიალის კარი ჩაეკეტა და სამხრეთისაკენ გზა რუსებისათვის სამუდამოდ დაეხშა. მას ეგონა, რომ ისევ ოსმალეთთან პოლიტიკური შეთანხმება და მისი მოკავშირეობა მიანიჭებდა ღონემიხდილს საქართველოს მშვიდობიანობას. მეფემ უკვე დესპანიც-კი გაგზავნა ახალციხის ფაშასთან. რომ იქითგან სტამბოლში წასულიყო ამ საქმის მოსაწყობად. მაგრამ დეს-



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

მაშასადამე ყოველთვის ისე იყო ხოლმე, რომ რუსეთის „დახმარებას" დასაწყისში გარეგნულად საქვეყნოდ დიდი სახელი და რიხი ჰქონდა, შედეგი-კი მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით შემორტყმული ქვეყნისა და ერისათვის. **რუსეთის უპირობა და საქართველოს უმწეოდ მიტოვება მტრებთან ბრძოლის დროს ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას-კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, მეფისა და მთავრობის პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას ხალხის თვალში ხელს უწყობდა.** ბევრნი ხედავდნენ, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უმზადებდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ წრეებს, რომელნიც რუსეთის მფარველობისა და მოკავშირეობის მომხრენი და მოთავენი იყვნენ. ეს შინაური უთანხმოება და ქიშპობა ძირს უთხრიდა ისედაც დაუსრულებელი ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულს სახელმწიფოს.

**ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲔ** ღრმად მოხუცებული მოუსვენარ ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მის მამის **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲔ-II-ᲘᲡᲐ** და მის პირად დაუღალავ შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მის სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა.

**ერეკლე მეფეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია... 11 იანვარს 1798 წ. ქ. თელავში გარდაიცვალა 78 წლის მოხუცი გმირი პატარა-კახი.**

## ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲐᲗᲔ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ

სამეფო ტახტზე ასულს **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲔᲡ** არც მამის ნიჭი და პირადი სიქველე ჰქონდა, არც საიმისო გავლენა მოეპოვებოდა ხალხში, რომ ესოდენ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობითგან ბრძნულის შორსმჭვრეტელობითა და სიფრთხილით საქართველო სამშვიდობოს გამოეყვანა. პირიქით, **შინაური უწესობა გაძლიერდა, გარეშე მტრები უფრო გათამამდნენ, გულწრფელი მეგობრული გრძნობითა და უანგარო კეთილმოსურნეობით გამსჭვალული ძლიერი მოკავშირის მფარველობა და დახმარება-კი არა სჩანდა.**

ასეთ გარემოებაში მყოფს **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲔᲡ** რუსეთის მხრივ შველის იმედი აღარა ჰქონდა და ამის გამო მან გადასწყვიტა, დარიალის კარი ჩაეკეტა და სამხრეთისაკენ გზა რუსებისათვის სამუდამოდ დაეხშა. **მას ეგონა, რომ ისევ ოსმალეთთან პოლიტიკური შეთანხმება და მისი მოკავშირეობა მიანიჭებდა ღონემიხდილს საქართველოს მშვიდობიანობას. მეფემ უკვე დესპანიც-კი გაგზავნა ახალციხის ფაშასთან, რომ იქითგან სტამბოლში წასულიყო ამ საქმის მოსაწყობად. მაგრამ დესპანი ჯერ ახალციხეს არ გასცილებოდა, რომ რუსეთითგან ტახტის მემკვიდრე ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ჩამოვიდა, რომელმაც რუსეთის ხელმწიფეს ᲞᲐᲕᲚᲔᲡ საქართველოსადმი კეთილ განწყობილების ამბავი ჩამოიტანა.** მაშინვე კვლავ „ქრისტეს მოყვარე" რუსეთის მხრით უანგარო დახმარების იმედი დაიბადა და საქართველოს ელჩი ახალციხითგან სწრაფად უკან დაბრუნებულ-იქმნა (Бутковъ. Матеріалы II, 446).

როდესაც **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲔᲛ** რუსეთის ხელმწიფეს **ᲞᲐᲕᲚᲔᲡ** თავის სამეფო ტახტზე ასვლა აცნობა, **ᲞᲐᲕᲚᲔᲛ** მოლოცვასთან ერთად მოსწერა, რომ **1783 წ. ხელშეკრულების ძალით იგი მოვალეა, რუსეთის იმპერატორს დამტკიცება სთხოვოს** (იქვე II, 448). **თითონ მას კი ავიწყდებოდა, რომ ამ ხელშეკრულებამ მარტო საქართველოს არ დააკისრა მოვალეობა, არამედ რუსთის სახელმწიფოსაც და რომ თვით რუსეთს არც ერთი ეს მოვალეობათაგანი ჯერ ასრულებული არ ჰქონდა.**

16 აპრ. 1799 წ. საქართველოში რუსეთის ელჩი დაინიშნა და 2 ბატალიონი ჯარიც გამოიგზავნა ვითომც საქართველოს დასაცავად (Бутковъ. Матеріалы II, 449). ერთმაცა და მეორემაც საქართველოს მხოლოდ ამავე წლის დასასრულს მოაღწიეს (იქვე II, 451). **რუსეთის მთავრობამ თავის ელჩს დაავალა, რომ მას მეფისათვის საიდუმლოდ თვალყური ედევნებინა. მაშასადამე თვით მეფეც კი საეჭვოდ მიაჩნდათ და მის ერთგულებას არ ენდობოდენ, თუმცა საქართველოს მთავრობამ რუსეთისადმი განუსაზღვრელი და გადამეტებული ნდობა არა ერთხელ დაამტკიცა და ამის წყალობით ძალიანაც იზარალა.**

ყველაფერი მოწმობდა, რომ რუსეთი ეხლა კი თითქოს მართლაც დაინტერესებული იყო საქართველოს მდგომარეობით და ჩვენ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის დაჭერას ცდილობდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც რუსეთს საქართველოსთვის არ შეუწუხებია თავი, არამედ მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელმძღვანელობდა იგი და თავის საიდუმლო გეგმის განხორციელებაზე ზრუნავდა.

კამერჰერმა გრაფმა **ᲛᲣᲡᲘᲜ-ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲛᲐ იმპერატორ პავლეს** წინაშე იშუამდგომლა, რომ მას ნება და საშუალება მისცემოდა საქართველოში გასამგზავრებლად და იქაურ მთების მდიდარ მადნეულობის გამოსაკვლევად. 17 ოქტ. 1799 წ. მან ნებართვა მიიღო და გამოემგზავრა კიდეც. **როდესაც საქართველოს ადგილობრივ სიმდიდრის შესწავლამ მას თვალწინ გადაუშალა ჩვენი ქვეყნის მთელი საუნჯე, ბუნების მშვენიერება და „სამოთხის მსგავსი ჰავა", მან 1800 წ. თავის ხელმწიფეს მოხსენებაში საქართველოს ყველა ზემოაღნიშნული ღირსებანი აუწერა და ის მნიშვნელობაც გაუთვალისწინა, რომელიც ჩვენს სამშობლოს რუსეთისათვის ექმნებოდა, საქართველო რომ რუსეთს დაეპყრო. მაშინ რუსეთი მდიდარ ქვეყანას შეიძენდა და კავკასიის მთიელთა თავდასხმისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქმნებდაო იმიტომ, რომ ორთავე მხრივ ჩაჭერილნი ისინი ვეღარას გაბედავდენ. ოსმალეთთან, ან სპარსეთთან ომის დროსაც რუსეთს დიდი სამხედრო უპირატესობა ექმნებოდა.** მაგრამ ამას გარდა რუსეთს სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობის ფართო ასპარეზიც გაეხსნებოდაო (Бутковъ. Матеріалы II, 463, 464). მაშასადამე ჩვეულებრივს ეკონომიურ ინტერესებს გარდა, ზღაპრულ ინდოეთზე ოცნებასთან ერთად, აქ უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაცაა გათვალისწინებული.

ეს აზრი პეტერბურგში მოწონებულ იქმნა. **18 დეკემბრ. 1800 წ. ᲞᲐᲕᲚᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და შემდეგ კი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲔᲡ წინდაწინვე დამზადებული გაუგზავნეს ხელმოსაწერად, რომელშიაც ვითომ თვით მეფე სთხოვდა** რუსეთის ხელმწიფეს, რომ მას საქართველო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთთან შეეერთებინა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ მთელი ეს შეთხზული გეგმა ჩაიფუშა: **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲔ გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წ. ისე, რომ ხელმოსაწერი ქაღალდი მას თვალითაც არ უნახავს, რათგან მისი მომტანნი ამ დროს ჯერ საქართველოში ჩამოსული არც კი იყვნენ** (Бутковъ. Матеріалы II, 465).

ასეთი შესაძლებლობა რუსეთის მთავრობას წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა და ამისთანა შემთხვევისათვისაც მას უკვე 15 ნოემბერს თავის წარმომადგენლისათვის საქართველოში ნაბრძანები ჰქონდა, რომ რა წამს **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲔ** გარდაიცვლებოდა, საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის ნება არავისთვის მიეცათ. ეს გარემოება **ᲒᲔᲜ. ᲙᲜᲝᲠᲘᲜᲒᲛᲐ გიორგი მეფის** გარდაცვალებისთანავე აცნობა საქართველოს მცხოვრებთ და თანაც იმ ოთხ ბატალიონ ჯარის გარდა, რომელიც რუსებს ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში მოეპოვებოდათ, საჩქაროდ კიდევ ერთი ბატალიონი დაიბარა (იქვე II, 465-466).

**1783 წ. დადებული ხელშეკრულების მე-12-ე მუხლში ნათქვამია, რომ ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან შევსება მხოლოდ ორთავე მხრის თანხმობით შეიძლებოდა. რათგან 1783 წ. შემდგომ აღარავითარი სხვა ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთს შორის არ დადებულა და არც რაიმე ცვლილება ყოფილა შეტანილი ორთავე მხარის თანხმობით, ამიტომ რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ მას რაიმე საბუთი ჰქონოდა იმის დასამტკიცებლად, ვითომც თვით საქართველოს ჰსურდა თავისი სახელმწიფოს მოსპობა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა.** რაკი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ** სიკვდილის გამო ეს მათი გეგმა ფიზიკურადაც განუხორციელებელი იყო, ამიტომ რუსეთის მთავრობამ აღარც ხელშეკრულების ცხადს დარღვევას და არც საჯარო სიცრუეს მოერიდა და **რაწამს მან გიორგი მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო, მაშინვე 18 იან. 1801 წ. ᲞᲐᲕᲚᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც თვით მეფე გიორგისა, მოწინავე წრეებისა და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა** (Бутковъ. Матеріалы II, 466-467). არც მეფე გიორგის, არც მით უმეტეს ქართველ ხალხს ეს არც სდომებია და არც უთხოვია.

**ᲞᲐᲕᲚᲔ I-ს** გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველო ერთბაშად რუსეთის გუბერნიად ექცია და სენატისა და სინოდისათვის დაემორჩილებინა (იქვე II, 469). **12 მარტს 1801 წ. ᲞᲐᲕᲚᲔ გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ I-მა იგრძნო საქართველოს შეერთების მთელი უკანონობა და ამიტომ გადაწყვიტა, გამოერკვია, რამდენად მართალია, რომ მთელ საქართველოს თავის ნებით მოესურვოს რუსეთთან განუყოფლად შეერთება და რომ მას თავის თავის დაცვა გარეშე და შინაურ მტრებისგან არ ძალუძს.** ამ საკითხების გამორკვევა მან **ᲒᲔᲜ. ᲙᲜᲝᲠᲘᲜᲒᲡ** მიანდო, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე გააუქმა ყველაფერი, რაც ტახტის მემკვიდრის **ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ** ბრძანებით იყო შემოღებული, და ტფილისში **საქართველოს უზენაესი მთავრობა** დააარსა (Бутковъ. Матеріалы II, 473-475). უკვე ეს მისი ნაბიჯი ცხადჰყოფს, თუ როგორი მიუდგომლობით გამოარკვევდა და სინამდვილით აუწერდა იგი ჩვენი ხალხის გულის ნადებს და მისწრაფებას. ხოლო, რომ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ დახმარება ესაჭიროებოდა, ეს გარემოება თვით საქართველოსაც არ დაუმალავს, **1783 წ. ხელშეკრულებაც ხომ სწორედ ამ მიზნით იყო რუსეთთან დადებული.**

როგორც რუსეთის მთავრობას საქართველოს შეერთება თავის სახელწიფოსთვის სასურველად და სასარგებლოდ მიაჩნდა (იქვე II, 473-4), **ᲒᲔᲜ. ᲙᲜᲝᲠᲘᲜᲒᲛᲐᲪ** ისე წარუდგინა **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ I-ᲔᲡ,** თუმცა არ შეეძლო,



ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲞᲐᲕᲚᲔ I



ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ I



ᲒᲠᲐᲤᲘ ᲛᲣᲡᲘᲜ-ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ



ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

# «ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ» 240 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ!

# სტალინისეული „უმცირესი ბოროტება“ – „გეორგიევსკის ტრაქტატი“ 240 წლისაა!

*დასაწყისი მე–4 გვერდზე*

დაემალა, რომ საქართველოს უმაღლეს წრეების ყველა წარმომადგენელნი ამ შეერთების მომხრენი ყოფილიყვნენ. მისი სიტყვითაც ნახევარ თავადაზნაურობისას საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება ჰსურდა (იქვე II, 475-484, განსაკ. 482). **ბრაფ. მუსინ-პუშკინმა,** რომელმაც **პავლე I-ს** ჩააგონა საქართველოს რუსეთთან შეერთების უაღრესი სარგებლობა, ეხლაც ამ გვარივე შინაარსის მოხსენება მიართვა **ალექსანდრე I-ს** (იქვე II, 484 შენ. 1).

**რამდენად გულწრფელი უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის სურვილი ვითომც მას საქართველოს პოლიტიკურ ზრახვის უტყუარი ხმის გაგონება ნდომებოდეს, იქითგანაც სჩანს, რომ მთელ ამ ამბავს საქართველოს სრულუფლებიან დესპანს უმალავდენ და მთელ ამ საქმეს საქართველოს შეერთების შესახებ ფარულად აწარმოებდენ** (იქვე II, 485) **იმიტომ, რომ კარგათ იცოდენ, რომ საქართველოს დესპანები მათთვის სასიამოვნოს არას იტყოდნენ და ცხადჰყოფდენ, რომ საქართველოს რუსეთის მხოლოდ კავშირი და მფარველობა ჰსურდა და სხვა არაფერი** (Акты Кавк. Археогр. Ком. II, 304).

საქართველოში რომ არც ხალხი და არც თვით **გიორგი მეფე** თვის სახელმწიფოს დამოუკიდებელ არსებობის მოსპობაზე სრულებითაც არა ფიქრობდა, ამას ის გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, რომ მაშინ ჩვენს სამშობლოში მოწინავე წრეებში ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებდა და მტკიცე სამზადისი იყო როგორც სახელმწიფო წეს-წყობილების გასაუმჯობესებლად და ევროპიულის მსგავსად გადასაქმნელად, ისევე ევროპიული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადმოსანერგავად. საუკეთესო თხზულებები და სახელმძღვანელოები, რომელიც ფილოსოფიაში, ფიზიკაში და სამათემატიკო მეცნიერებაში და ბუნების მეტყველებაში, აგრეთვე სამხედრო ხელოვნებაში ევროპაში გამოდიოდა, ქართულადაც იყო ნათარგმნი. სასწავლებლებში სახმარებლად და წასაკითხავი წიგნები მზადდებოდა. **იოანე ბატონიშვილმა** ვრცელი მოხსენება წარუდგინა გიორგი მეფეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილება, რომელშიაც სხვათა შორის სამი ლიცეუმის მსგავსი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა იყო გათვალისწინებული. მეფე გიორგიმ 1799 წ. დაამტკიცა ეს პროექტი და მისი განხორციელება უნდა დაეწყოთ.

**ასეთს სამზადისში მყოფ საქართველოს მოწინავე წრეებისათვის ცხადი იყო, რომ ძლიერი მოკავშირეს მფარველობითა და დახმარებით, ჩვენი ქვეყანა მოღონიერდებოდა, გარეშე მტრებს მოიგერიებდა და მყუდრო ცხოვრების შემდგომ მტკიცე და ჩქარი ნაბიჯით წარმატების გზას დაადგებოდა.**

მაგრამ 12 ენკენისთვეს 1801 წ. პეტერბურგში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ **ალექსანდრე I-ის** მანიფესტი იყო გამოცხადებული, რომელშიაც ფარისევლურად ნათქვამი იყო, **ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი.** ლამაზს სიტყვებს რასაკვირველია არ შეეძლოთ მაინც გაექარწყლებინათ ის შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობის საქციელი შემაძრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი.

**ადვილი წარმოსადგენელია, რაოდენ თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი ქართველ მოწინავე, შეგნებულ წრეებისა და მთავრობისათვის. რაკი რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ საქართველო ამის გამო აღშფოთებული იქმნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდა. ხოლო როდესაც მეტი დამალვა აღარ შეიძლებოდა და მისი გამოქვეყნება და ხალხის დაფიცება აუცილებელი შეიქმნა, მაშინ ბენ. კნორინგს იმედი არა ჰქონდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით საკუთარ დამოუკიდებლობის მოსპობაზე თანხმობას განაცხადებდენ და რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცს მიიღებდენ.** ამიტომ გადასწყვიტა, ეს საქმე მოტყუებითა და მუქარით მოეხერხებინა. მან დაჰპატიჟა გავლენიანი წრეები, თავად-აზნაურობა და ქ. ტფილისის მოქალაქენი და როდესაც ყველამ თავი მოიყარა, მან ბრძანება გასცა, რომ მათთვის საიერიშოდ გამზადებული („аки штурмомъ“) რუსის ჯარი შემოერტყათ. მაშინდელი ერთი რუსული ცნობის მიხედვით **„ლომების ხახასავით გახსნილი იყო“** თურმე, იქ ზარბაზნების პირი. **ბენ. კნორინგმა** ამის მნახველს ხალხს წინადადება მისცა, რუსეთის ქვეშევრდომობისა და ერთგულობის ფიცი მიეღოთ. **ქართველობა გაოცებული და აღშფოთებული იყო ასეთი უმსგავსო საქციელით. მოწინავე წრითგან მრავალმა იმოდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ შემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა.** მაშინვე **ბენ. კნორინგმა** ბრძანება გასცა, რომ უკმაყოფილონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ (Дубровинъ. Исторія войны... на Кавказе III, 444).

**მაინც ბევრისათვის იმდენად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის ხელმწიფეებს ფიცისა და ხელშეკრულების დარღვევა შეეძლოთ და პატარა საქართველო „მფარველს“ მოკავშირეს ძალმომრეობით დაეპყრათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში გამოგზავნილ რუს მოხელეთა პირადი თვითნებობა და მეტიჩრობა ეგონათ.** ეს ქართველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველოს შელახულ უფლებათა და დამოუკიდებლობის აღსადგენად საკმარისი იყო მხოლოდ რუს ხელმწიფისათვის საქმის ნამდვილი ვითარება ეცნობებინათ (იქვე 446). **თვით პეტერბურგში მყოფი საქართველოს ელჩი ბარს. ჭავჭავაძეც თუმცა აღშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ მეფე გიორგის არც ერთი მონდობილობა და სურვილი ასრულებული არ იყო, პირიქით, მეფობა მოსპეს და საქართველო საშინლად დაამცირეს, მაგრამ მასაც ეგონა, რომ ეს ბენ. კნორინგის ცრუ ცნობებით სავსე მოხსენების წყალობით მოხდა და ვითომც საკმარისი იყო ქართველ ხალხს რუსეთის ხელმწიფისათვის თავისი ნამდვილი გულისწადილი ეცნობებინა, რომ მაშინვე ყველაფერი გამოსწორებულიყო** (АКАКГ II, 304).


ივ. ჯავახიშვილი

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში.

ქართული კლუბის გამოცემა.

თბილისი.
სახელმწიფო სტამბა
1919.

## ისტორია, როგორიც იგი არის! ★

გამოცდილებამ და რუსეთის მთავრობის პოლიტიკამ საქართველოში ნათლად დაამტკიცა ამ განუსაზღვრელი ნდობისა და გულუბრყვილობის სრული უსაფუძვლობა!..

*დასასრული*

## როგორ მზადდებოდა ილიას მკვლელობა ★

# ილია სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა და ხშირად იმეორებდა სიტყვას – «უმადურობა»

***ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში გამორჩეულია დიმიტრი ჯაშის პერსონა, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და, დიდი ალბათობით, მეფის „ოხრანკის“ აგენტი იყო!***

1907 წლის 30 აგვისტოს საგურამოსა და წიწამურში განვითარებული მოვლენები და **დიმიტრი ჯაშის** ქცევა მხოლოდ ერთ რამეს გვაფიქრებინებს — **იმ გეგმის თანახმად, რომელსაც საბოლოო ჯამში წიწამურთან ილია ჭავჭავაძის მკვლელობა უნდა მოჰყოლოდა, ჯაში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო და მკვლელებს შორის, სავარაუდოდ, მეკავშირის ფუნქციას ასრულებდა!**

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ **დიმიტრი ჯაში,** რომელიც გარეგნულად საოცრად ჰგავდა **სერგო ორჯონიკიძეს,** საგურამოს ტერიტორიაზე მოქმედი ე.წ. „წითელი რაზმის“ წევრებსა და პროფესიონალ მკვლელებს — **გიგოლა ბერბიჭაშვილს, პავლე ფშავლიშვილ-აფციაურს, ვანო ინაშვილსა და გიორგი ხიზანიშვილს** არ იცნობდა.

ჯაშის „ოხრანკის“ აგენტობა სავარაუდოა, მაგრამ მისი სოციალ-დემოკრატობა უტყუარი ფაქტია. თვით მისმა მეუღლემ **დარია ჯაშმაც** კი, რომელიც 1941-1942 წლის დეკემბერ-იანვარში **ისიდორე ოდიშვილის** თავმჯდომარეობით საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ დაჰკითხა, პროცესზე განაცხადა — **ნოე რამიშვილმა რომ გაიგო, ჩემი ქმარი ილიას მოურავად იწყებდა მუშაობას, დიმიტრის დაემუქრა — პარტიიდან გაგრიცხავთო!**

სასამართლო პროცესზე **დარია ჯაშმა** ესეც თქვა — **დიმიტრიმ ცოლად რომ შემირთო, მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ილიკო იმერლიშვილთან და ალექსანდრე ობოლაძესთან ერთად ჩემი ქმარი, თურმე, ბანკებს ძარცვავდაო!**

25-26 წლის **დიმიტრი ჯაში,** რომელიც პროფესიით ასოთამწყობი გახლდათ, გაზეთ „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ სტამბაში მუშაობდა და სოფლის მეურნეობასთან არავითარი შეხება არ ჰქონდა. ხანდახან ის ჟურნალისტურ საქმიანობასაც ითავსებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საგურამოში მოქმედ იმ გაუთლელ და ხეპრე ე.წ. „წითელრაზმელებისგან“ განსხვავებით, ჯაში განათლებული ახალგაზრდა იყო. 1907 წლის ივნისის ბოლოს, ილიას მკვლელობამდე ორი თვით ადრე, ჟურნალისტი და ასოთამწყობი **დიმიტრი ჯაში** დაინიშნა საქართველოს უგვირგვინო მეფის მოურავად, რომელსაც ილიას საგურამოს მამულის მოვლა-პატრონობა და გაძღოლა ევალებოდა. **ბუნებრივია, ისეთი მეურნე და ჭკვიანი კაცი, როგორიც ილია იყო, ასოთამწყობ და სოფლის მეურნეობაში აბსოლუტურად გაუცნობიერებელ დიმიტრი ჯაშს თავის მამულის მეთვალყურედ და წინამძღოლად არაფრის დიდებით არ დანიშნავდა, მაგრამ დადგენილი ფაქტია, რომ ჯაშს ილიასთან უშუამდგომლეს.** დღეს დაზუსტებით ვიცით, რომ ეს მისია იტვირთა ილიას ქვრივმა დამ **ელისაბედ საგინაშვილმა,** რომელსაც ახალგაზრდა და სიმპათიური ჯაში იცნობდა. დადგენილია ისიც, რომ ელისაბედს დიმიტრი ჯაში აშანტაჟებდა — **გინდა თუ არა, შენს ძმასთან მოურავად მომაწყვეო!**

თუ რით აშანტაჟებდა დიმიტრი ჯაში **ელისაბედ საგინაშვილს,** ესეც გარკვეულია, მაგრამ ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ!

დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსის, ილიას უახლოესი მეგობრის **ყარამან ფაღავას** მოგონებების თანახმად ილიას მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, როცა საგურამოში ილიას სტუმრობდა და მასპინძელთან ერთად ვახშმობდა, მოულოდნელად ოთახის კარი უნებართვოდ შემოაღო მოურავმა **დიმიტრი ჯაშმა.** ილიას ხელში ჩანგალი სჭერია, რომელზეც ქათმის ხორცი ყოფილა წამოგებული... დიმიტრი ჯაშის დანახვაზე ილიას ეს ხორციანი ჩანგალი ხელიდან გავარდნია და ნირწამხდარსა და გაფით-


დიმიტრი ჯაში


სერგო ორჯონიკიძე

## ილიას მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი დიმიტრი ჯაში საოცრად ჰგავდა სერგო ორჯონიკიძეს!

რებულს ჯაშისთვის მკაცრად უკითხავს — **კი მაგრამ, თქვენში კარზე დაკაკუნება არ იციან?!**

დაბნეულ **დიმიტრი ჯაშს** თავისი საქციელის გამო სასწრაფოდ მოუბოდიშებია, კარი გამოუხურავს და ოთახიდან შავი გველივით გასრიალებულა.

**ჯაში** რომ თვალს მოფარებულა, ილიას **ყარამან ფაღავასთვის** უთქვამს — **ჩემმა დამ ელისაბედმა ეს რა მიყო, ოჯახში შავი გველი შემომისახლაო!**

1907 წლის ივნისში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, იმის შემდეგ მთელი ზაფხული საგურამოში ცხოვრობდა. **ილია უბედურების მოახლოებას გრძნობდა და შებინდდებოდა თუ არა, საგურამოს ტყესთან არათუ მიახლოებას, არამედ იქითკენ გახედვასაც კი ერიდებოდა...**


ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან – ოლღა გურამიშვილთან ერთად. საგურამო, 1896 წელი

ილია განსაკუთრებით მას შემდეგ ფრთხილობდა, რაც 1907 წლის 7 ივნისს **პავლე ფშავლიშვილ-აფციაურმა და ბიბოლა ბერბიჭაშვილმა** ერთგული მოურავი **მოსე მემანიშვილი** ცოლთან ერთად მოუკლეს. მკვლელობის მოტივიც ცნობილია — **მოსე მემანიშვილმა პავლე ფშავლიშვილ-აფციაურს ხელი დაადო — გიცანი, ილიას ხბო საგურამოში სწორედ შენ მოიპარეო!** ფშავლიშვილი დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს და **ბიბოლა ბერბიჭაშვილთან** ერთად **მოსე მემანიშვილსა** და მის ცოლზე შური იძია — ცილი რად დამწამეთო! ამ მკვლელობიდან დაახლოებით ორთვენახევარში **პავლე ფშავლიშვილი-აფციაური** და მენახშირე **ბიბოლა ბერბიჭაშვილი** სოფელ ახატანიდან, რომელიც განთქმული მონადირე და მსროლელი იყო, **ვანო ინაშვილთან, დიმიტრი ჯაშთან, გიორგი ხიზანიშვილთან, თედო ლაბაურთან** და **„ვინმე იმერელთან“** ერთად მონაწილეობას მიიღებენ საუკუნის მკვლელობაში, როცა 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან ილიას „ბერდენკის“ ტყვიას დაახლიან და მაღალ და ნათელ შუბლს იმავე „ბერდენკის“ კონდახით ჩაუმსხვრევენ...

**დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის ფაქტიც, რომ 1907 წელს საგურამოს ტერიტორიაზე მოქმედებდა ე.წ. „წითელი რაზმი“ ცნობილი ტერორისტის ილიკო იმერლიშვილის ხელმძღვანელობით. ბიბოლა ბერბიჭაშვილმა** სასამართლო პროცესზეც არ დამალა და **დიმიტრი ჯაშს,** რომელიც უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, ხელი დაადო — **საგურამოს ტყეში „წითელი რაზმის“ თათბირზე ძალით წამიყვანეს, სადაც ილიას მოურავი დიმიტრი ჯაში სიტყვით გამოვიდა და მოგვიწოდა — მე აქაური არ ვარ, მაგრამ ილია, როგორც გლეხების მჩაგვრელი და მტერი, უნდა აილაგმოს, მოკვდეს და ეს საქმე სწორედ თქვენ, ადგილობრივებმა უნდა ითავოთო!**

როდის და სად დაიგეგმა ილიას მკვლელობა, ეს სადავო საკითხია. ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა არა სოფელ ბახვში გამართულ ცნობილ თათბირზე, არამედ 1907 წლის თებერვლის ბოლოს ბოლშევიკურ **გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში“** გამოქვეყნებული იმ უბინძურესი პასკვილის ფონზე უნდა დაგეგმილიყო, რომელიც **პოეტმა**


თუ რით აშანტაჟებდა დიმიტრი ჯაში ელისაბედ საგინაშვილს, ესეც გარკვეულია...

ილია ჭავჭავაძის და ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა


დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა

# ილიას ყარამან ფაღავასთვის უთქვამს — ჩემმა დამ ელისაბედმა ეს რა მიყო, ოჯახში შავი გველი შემომისახლაო!

**იროდიონ ევდოშვილმა** დაწერა.

მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ, 1907 წლის 21 აგვისტოს, ილიას საგურამოში უახლოესი მეგობარი, გერმანელი **არტურ ლაისტი** ესტუმრა. როგორც ლაისტი იხსენებს, ილია საშინლად გულჩათხრობილი, გულნატკენი ჩანდა და იმ ექვსი დღის განმავლობაში, რაც საგურამოში დაჰყო, მასპინძლის სახეზე ღიმილი არ უნახავს!

ილია სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა და ხშირად იმეორებდა სიტყვას — **„უმადურობა“...**

**საქართველოს უგვირგვინო მეფე ქართველების უმადურობით მართლაცდა გაოგნებული და საშინლად იმედგაცრუებული იყო...**

ერის დიდმა მოჭირნახულემ ჩვენი ერის შესახებ ავიც ბევრი იცოდა და კარგიც, მაგრამ ალბათ, ცოცხალი თავით არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ საქართველოში შინაურ მღვდელს შენდობა არც ჰქონია და არც არასდროს ექნება!

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟიტაძის პასუხები მკითხველს ★

## რუსულ პრესაში არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს მარშალ ჟუკოვის სამხედრო დამსახურებას. არადა, იგივე გამოცემები მას გამარჯვების მარშალს უწოდებდნენ. მოსკოვის ცენტრში სწორედ მისი ძეგლი აღმართეს. სტალინიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით აფასებდა მარშალ ჟუკოვს, რამეთუ სწორედ მას დაავალა გამარჯვების აღლუმის მიღება





მართალია, დამოკიდებულება ჟუკოვის მიმართ, რომელსაც რუსეთის პრესა ერთხმად განადიდებდა, შეიცვალა, თანაც მხედართმთავრისთვის არასასურველი მიმართულებით. უნდა ითქვას, რომ ამის საფუძველი არსებობს. **საუბარი არ გვაქვს იმაზე, რომ დამარცხებული გერმანიის მძარცველ მაროდიორებს შორის ჟუკოვს სამართლიანად უკავია პირველი ადგილი;** არც მის მორალურ სახეზე, რადგან მისი სალაშქრო **„ჭარამხანები“** საყოველთაოდ ცნობილია. მხედველობაში გვაქვს მხედართმთავრის სამხედრო ოსტატობა. იყო კი იგი გამარჯვებათა ისეთი უცვლელი ორგანიზატორი, როგორადაც მისი ბიოგრაფები და მისივე წიგნი **„მოგონებები და ფიქრები“** წარმოგვიჩენენ? **ისტორიიდან ვერ ამოშლი 1941 წლის ივლისში მის მიერ სამხრეთში ჩაგდებულ სატანკო ოპერაციას, ელნის გათავისუფლების წარუმატებელ ოპერაციას, ლენინგრადის დებლოკადის ვერჩატარებას. ჟუკოვის** როლი სტალინგრადის ბრძოლაში, რბილად რომ ვთქვათ, გაზვიადებულია, პრაქტიკულად, ის მასში არც კი მონაწილეობდა, ხოლო **ჟუკოვის** მოქმედება ბერლინის შტურმის დროს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, იქ წარმატებას უზარმაზარი დანაკარგის ფასად მიაღწიეს. საერთოდ, **ჟუკოვს,** როგორც მხედართმთავარს, ახასიათებს პრინციპი — გამარჯვება ნებისმიერ ფასად. მის უხეშობაზე, ულმობლობაზე, თვითნებობაზე ლეგენდები დადის, მისი ეს თვისებები მთელი არმიისათვის იყო ცნობილი. ლენინგრადის ფრონტთან დაკავშირებული მისი ბრძანებების წინაშე (ტყვედ ჩავარდნილ სამხედრო მოსამსახურეთა ნათესავების რეპრესირების შესახებ) უმაღლესი მთავარსარდლის ნებისმიერი ბრძანება უფერულდება, თვით ისეთი მკაცრი, როგორიც № 270 და № 227 იყო. **სტალინის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მყისვე გააუქმა ეს ბრძანებები, როგორც კი მათ შესახებ შეიტყო. კონფლიქტური სიტუაცია ხშირად წარმოიშობოდა **ჟუკოვსა** და **სტალინის** სხვა მხედართმთავრებს — **კონევს, ვასილევსკის, როკოსოვსკისა** და სხვებს შორის.

რაც შეეხება **სტალინის** დამოკიდებულებას **ჟუკოვთან,** ცნობილია, რომ უმაღლესი მთავარსარდალი უპირატესობას ისეთ მხედართმთავრებს ანიჭებდა, როგორიც იყო **ვასილევსკი,** მითუმეტეს — **როკოსოვსკი** და მათ **ჟუკოვზე** ბევრად მაღლა აყენებდა. თუმცა, **ჟუკოვსაც** კარგად იყენებდა საგანგებო სიტუაციებში, როდესაც ამა თუ იმ ბრძოლის შედეგს სტრატეგიული ტალანტი კი არა, შეუპოვრობა, ჯიქურ მოქმედება, ხელქვეითებთან უხეშობა წყვეტდა, რაც განსაკუთრებით ახასიათებდა **ჟუკოვს.** ამასთან, **სტალინი** არ ინდობდა თავის მარშალს, მკაცრად სჯიდა მას მხედართმთავრის წოდებასთან შეუთავსებელი შეცდომებისათვის, აქვეითებდა. გამარჯვების აღლუმთან დაკავშირებით, რომელიც მოსკოვში წითელ მოედანზე, 1945 წლის 24 ივნისს გაიმართა, სტალინმა თავიდანვე განსაზღვრა, რომ მას მისი საყვარელი მარშალი, მხედართმთავრებს შორის ყველაზე ღირსეული — **როკოსოვსკი** უხელმძღვანელებდა. აღლუმის მიღებაზე **სტალინმა** უარი თქვა — გამოვიდოდა, რომ აღლუმს პოლონელი ხელმძღვანელობდა, ქართველი კი — იღებდა. **ვასილევსკი** ამ როლისათვის არ გამოდგებოდა, ის, ძირითადად, შტაბის მუშაკი იყო. აღლუმი, **სტალინის** ჩანაფიქრით, რუსს უნდა მიეღო, რადგან **„ომში გამარჯვების მთელი სიმძიმე რუს ხალხს დააწვა მხრებზე.“** ასე შეჩერდა საბოლოოდ მისი არჩევანი ჟუკოვზე. ვფიქრობ, მოსკოვის ცენტრში **ჟუკოვის** ძეგლიც ამავე მიზეზით აღმართეს.



## საიდან არის წარმოშობით ადოლფ ჰიტლერი და რატომ აქვს მას ორი გვარი?









კლარა და ალოიზ ჰიტლერები

**ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის მომავალი რაიხსკანცლერი და გერმანელი ხალხის მომავალი ფიურერი, 1889 წლის 20 აპრილს დაიბადა ავსტრიის ქალაქ ინის ბრაუნაუში,** რომელიც ზედ გერმანიის საზღვარზე მდებარეობს. **22 აპრილს** ის იქვე მონათლეს კათოლიკური წესით. მშობლები — საბაჟოს მოხელე **ალოიზ ჰიტლერი** (1837-1903) და **კლარა პელცლი** (1860-1907). მათი ქორწინება **1885 წლის 7 იანვარს** გაფორმდა **ქ. ბრაუნაუში. ჰიტლერის** მამისთვის ეს მესამე ქორწინება იყო კათოლიკური ეკლესიის საგანგებო ნებართვით.

მომავალი ფიურერის წინაპრები როგორც მამის, ისე დედის მხრიდან გლეხები იყვნენ. თავად გვარი **ჰიტლერი** სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იწერებოდა — **ჰიუტლერი, ხიდლერი,** ვიდრე მე-19 საუკუნის შუა წლებში საბოლოო დაწერილობა — **ჰიტლერი** არ შეიძინა. სავარაუდოდ, ეს გვარი წარმოიშვა ქალის სახელის— ბრიგიტას შემოკლებული ფორმებისაგან — **ხიუტლი, ჰიდლი, ჰიტლი.**

თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებთ, რომ გერმანიის მომავალ ფიურერს ორი გვარი არ ჰქონია. ის **ჰიტლერის** გვარით დაიბადა და ასევე იქნა რეგისტრირებული. საქმე ის არის, რომ მამამისი **ალოიზი,** რომელიც **ანა მარია შიკლგრუბერის** და, სავარაუდოდ, **იოჰან ნეპომუკ ჰიუტლერის** უკანონო შვილი იყო, **1876 წლამდე,** ანუ თითქმის **40 წლის** ასაკამდე დედის გვარზე — **შიკლგრუბერზე** იწერებოდა. **1842 წელს ანა მარია** კანონიერად დაქორწინდა **იოჰან გეორგ ხიდლერზე** და **ალოიზმა** მამინაცვლის გვარი მიიღო (რომელიც, ფაქტობრივად, მისი სავარაუდო მამის — ჰიუტლერის გვარის ვარიანტს წარმოადგენდა).

მაგრამ ზოგი ბიოგრაფი ეჭვქვეშ აყენებს **იოჰან ჰიუტლერის** მამობას და ნიურნბერგის პროცესზე ერთ-ერთი მთავარი სამხედრო დამნაშავის **ფრანკის** განცხადებაზე დაყრდნობით თვლის, რომ **ალოიზი** დაიბადა **ანა მარიას** კავშირის შედეგად მდიდარ ებრაელ **ფრენკენბერგერთან,** რომლის სახლშიც ქალი გარკვეულ ხანს მოსამსახურედ მუშაობდა. ამ ვერსიას დოკუმენტური დადასტურება არ მიუღია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვარი **ჰიტლერი** (მისი ნაირგვარი ვარიანტებით) გავრცელებული იყო ავსტრიის, გერმანიის და სხვა ევროპული ქვეყნების ებრაულ მოსახლეობაშიც. ასე, მაგალითად, **მე-20 საუკუნის 30-იან წლებში** კვაჭმა დასავლელმა ჟურნალისტებმა ბუქარესტის ებრაულ სასაფლაოზე აღმოაჩინეს ვინმე **ადოლფ ჰიტლერის** საფლავი (გერმანული და ებრაულენოვანი წარწერებით), **რომელიც 1832 წელს დაიბადა და 1892 წელს გარდაიცვალა.** საფლავის ფოტო პრესაში გამოქვეყნდა სენსაციური სათაურით **„აღმოჩენილია გერმანელი ფიურერის მამის საფლავი“,** რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ საგაზეთო ჭორი გახლდათ.

ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას. **ჰიტლერის** ერთ-ერთმა ბიოგრაფმა ვერნერ მაზერმა, რომელმაც ფიურერის შვიდი თაობის შემცველი გენეალოგიური ხე შეადგინა, ამ გვარში სისხლის აღრევის ხშირი შემთხვევები აღნიშნა. ბევრი მისი წარმომადგენელი, ახლო ნათესავიც კი, ერთმანეთზე ქორწინდებოდა. სისხლის აღრევისკენ მიდრეკილება ფიურერის ცხოვრებაშიც შეიმჩნევა. ძალიან დიდხანს მას საყვარლად ღვიძლი დისშვილი — **ანგელა (ჰელი) რაუბალი** ჰყავდა. **ჰელიმ 1931 წელს** თავი მოიკლა — ეს ტრავმა ფიურერმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოინელა.

## როგორც ცნობილია, რევოლუციამდე ფინეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მან, პოლონეთის მსგავსად, დამოუკიდებლობა მიიღო. მაგრამ შემდგომში მისი „გასაბჭოების“ მცდელობა არ ყოფილა, განსხვავებით პოლონეთისგან, ფინეთი ბოლომდე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩა. რით ახსნით ამ ყველაფერს?

**დავიწყოთ იქიდან, რომ ფინეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების ინიციატორი ი. სტალინი** იყო. და, თუმცა, ბოლშევიკები ძალაუფლების ხელში აღებისთანავე გამოვიდნენ დეკლარაციით თვითგამორკვევაზე ხალხის უფლების შესახებ, ამ საკითხის რეალურად გადაწყვეტას არ ჩქარობდნენ. პირველმა საბჭოთა ხელმძღვანელობას დამოუკიდებლობის მინიჭების მოთხოვნით ფინეთმა მიმართა. **ლენინი** ყოყმანობდა. **სტალინი,** რომელსაც იმ დროს ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი ეკავა, მაშინვე გამოვიდა საბჭოების ყრილობაზე განცხადებით, რომ **„რადგან ფინელი ხალხი თავისი წარმომადგენლების საშუალებით ამას მოითხოვს, მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა შეუწყოს ხელი.“** მისი დაჟინების შედეგად, **1917 წლის დეკემბერშივე,** ფინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ოდნავ მოგვიანებით (1919 წლის აგვისტოში) ამგვარადვე და ისევ ნაციონალურ საქმეთა სახკომის ხელშეწყობით, დამოუკიდებლობას **პოლონეთი** იღებს. რაც შეეხება „გასაბჭოების“ მცდელობას, მას ადგილი მხოლოდ პოლონეთთან კი არა, ფინეთთან დაკავშირებითაც ჰქონდა. პოლონეთის წინააღმდეგ **1920 წელს** ომი გაჩაღდა. **„ვარშავაზე ლაშქრობას“** სათავეში მომავალი მარშალი **ტუხაჩევსკი** ჩაუდგა. მაგრამ ეს ლაშქრობა სამარცხვინოდ ჩაფლავდა. **პოლონელებმა — როგორც „თეთრებმა“, ისე „წითლებმა“ — შეძლეს საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა.** და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოხვდა პოლონეთი კვლავ „იმპერიის ორბიტაზე“, თუმცა, ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა.

ახლა ფინეთზე ვისაუბროთ. ამ ქვეყნის „გასაბჭოება“ გაცილებით უფრო გვიან, **30-იანი წლების** დასაწყისში სცადეს. საკითხი აქაც სამხედრო ოპერაციის დახმარებით წყდებოდა, რადგან ე. წ. **„ზამთრის ომის“** (1939-1940 წ.) ძირითადი მიზანი **„იმპერიის წიაღში“ ფინეთის** დაბრუნება იყო. მოსკოვში უკვე ჩამოყალიბებული იყო **„მუშურ-გლეხური, დემოკრატიული“** ფინეთის მთავრობა სტალინის ერთ-ერთი თანამოსაგრის ოტო კუუსინენის მეთაურობით. და, თუმცა, წითელმა არმიამ ეს ომი, პრინციპში, მოიგო (ფინეთის ტერიტორიის ნაწილი სსრკ-ს მიუერთდა), ვაჟკაცურად მებრძოლი ფინელების სრულ განადგურებას ვერ მიაღწიეს. ფინეთმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

იბადება კითხვა — რატომ არ განახორციელა **სტალინმა** კიდევ ერთი მცდელობა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ, მითუმეტეს, რომ ფინეთი გერმანიის მოკავშირე იყო?

საქმე ის არის, რომ **ბელადმა** კარდინალურად გადახედა თავის შეხედულებებს ფინეთთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, მეზობლად ბურჟუაზიული, მაგრამ მშვიდობიანი და ნეიტრალური სახელმწიფო ჰყოლოდა. 1945 წლის შემოდგომაზე ფინეთის დელეგაციის წევრებთან საუბარში მან ამ ქვეყანასთან დაკავშირებით თავის ახალ „რბილ“ პოლიტიკას „დიდსულოვნება ანგარიშით“ უწოდა და დასძინა: **„როდესაც სხვებს კარგად ვეპყრობით, ისინიც კარგად გვექცევიან“.**

გენერალისიმუსი
2023 წლის 21 აგვისტო. № 47-48 (215-216)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# იგორ კვესელავა:

# ვფიქრობ, ადმირალ ედუარდ ბალტინისთვის გადასახდელი 250 მილიონი დოლარი ედუარდ შევარდნაძეს ამერიკელებმა მისცეს!



*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ***იგორ კვესელავა*** ***დარწმუნებულია, რომ რუსი ადმირალი ედუარდ ბალტინი ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში ამერიკელების დასტურის გარეშე არ შემოუყვანია:***

— როცა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ვსაუბრობთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ და სულ უნდა გვახსოვდეს ის ე.წ. **ფროიდისეული წამოცდენა,** რომელიც 1998 წლის 10 ნოემბერს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე **ედუარდ შევარდნაძეს** მოუვიდა. მე თუ მკითხავთ, ამ „წამოცდენით" მან პირდაპირ აღიარა, რომ ზვიად გამსახურდია სწორედ თავად მოაკვლევინა. კერძოდ, შევარდნაძემ განაცხადა: *„იმისათვის, რომ ეკონომიკურად აყვავებული ჩილე მიეღო, პინოჩეტს უნდა მოეკლა პრეზიდენტი ალიენდე და მისი დემოკრატია!"* მოგეხსენებათ, პინოჩეტმა, რომელიც, შევარდნაძის მსგავსად, სისხლით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ჩილე მართლაც ააყვავა, მაგრამ ედუარდმა ესეც ვერ შეძლო. აყვავების ნაცვლად, შევარდნაძემ საქართველო „დააყვავა" და ქვეყანა ბანდიტებისა და მართლაცდა ყვავ-ყორნების საჯიჯგნად გადააქცია!

**— თუ ზვიად გამსახურდიას გროზნოდან საქართველოში ჩამოსვლა ედუარდისა და მისი ხროვის ინტერესებში შედიოდა, გამსახურდიას დასამარცხებლად ბალტინის ჯარის შემოყვანა რისთვისღა დასჭირდათ?**

— შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას გროზნოდან ჩამოსვლა სწორედ იმისთვის სჭირდებოდა, რათა სოხუმი სასწრაფოდ ჩაებარებინა, თავი დამარცხებულად ჯერ კიდევ მაშინ გამოეცხადებინა, როცა გულრიფშში, ოჩამჩირესა და გალში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრენი იდგნენ, ხოლო საქართველოს კატასტროფული მარცხი ზვიადისა და ე.წ. „ზვიადისტებისთვის" გადაებრალებინა. ბალტინის მოწვევაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

საერთოდ, ედუარდი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მონაგარსა და თავისუფალ საქართველოს მიზანმიმართულად კლავდა და ანადგურებდა. გამსახურდია თავის პოლიტიკურ კრედოს ასე აყალიბებდა: *„არ შეიძლება საკუთარი თავისა და ხალხის მოტყუება. ამაზე მწარე ხვედრი, ამაზე შემზარავი დანაშაული არ არსებობს!"* ზვიადის შემდეგ ქართველი ხალხის მოტყუებას მეტ-ნაკლები წარმატებით ყველა ხელისუფლება აგრძელებდა და აგრძელებს. ზვიადს ქართველი ხალხის წინაშე ტყუილი არ უთქვამს და არც საკუთარი თავი მოუტყუებია... რაც შეეხება ზვიადის რადიკალური ოპოზიციის პოლიტიკურ კრედოს, ამ მხრივ, ალბათ, სიმბოლურია **გიორგი ჭანტურიას** მიერ 1991 წელს ციხიდან გამოგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: *„ვინც დღეს საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციისკენ გადადგამს ნაბიჯს, პარტიის გარეთ დააყენებს თავს. ზვიად გამსახურდიას არსებობის რამდენიმე კვირაღა თუ დარჩენია!"*

ედუარდ შევარდნაძის მითითებით, სწორედ **გიორგი ჭანტურიასა და ირაკლი წერეთლის** ე.წ. **„ეროვნულმა კონგრესმა"** მიიღო 1992 წლის 18-20 იანვარს ე.წ. რეზოლუცია ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების **„უკანონოდ გამოცხადების შესახებ".**

**ირაკლი წერეთელი** უფრო შორს წავიდა და მოითხოვა, მიეღოთ საკანონმდებლო აქტი საქართველოში მომხდარი „დემოკრატიული რევოლუციის შესახებ", გაეუქმებინათ პრეზიდენტის ინსტიტუტი, უზენაესი საბჭო და ზვიად გამსახურდია, როგორც „არაკანონიერი მმართველი", დაეპატიმრებინათ! ხოლო 1992 წლის თებერვალში ე.წ. ეროვნულმა ყრილობამ, რომელსაც არავითარი ლეგიტიმაცია არ ჰქონდა, მიიღო გადაწყვეტილება 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს გაუბედურება...

**— ეს ყველაფერი შევარდნაძის ინსტრუქციებით ხდებოდა?**

— ყველაფრის უკან **შევარდნაძე და მისი ბანდა** იდგნენ. ბანდაში, უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძის ამერიკელ პატრონებს ვგულისხმობ, რომელთა გარეშეც მას ნაბიჯი არ გადაუდგამს! გაიხსენეთ შევარდნაძის ცნობილი სიტყვები სოხუმის დაცემის შემდეგ: **„მწარედ მომატყუეს!"** როგორ ფიქრობთ, ვის გულისხმობდა ედუარდი? ცხადია, რუსეთის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს და პრეზიდენტ **ბორის ელცინს,** მაგრამ ყველაზე უფრო ეს სიტყვები ეკუთვნოდა იმ ამერიკელ მაღალჩინოსნებს, რომლებთანაც ედუარდმა აფხაზეთში ომის გაჩაღება და ზვიად გამსახურდიას მკვლელობა შეათანხმა. ეს სიტყვები ეკუთვნოდა შევარდნაძის უშუალო კურატორსა და მეგობარს, ამერიკის სახელმწიფო მდივან **ჯეიმს ბეიკერს,** რომელიც ედუარდმა ყველაფრის საქმის კურსში ჩააყენა.

**— საიდან ჩანს, რომ შევარდნაძეს ბეიკერთან მსგავსი საუბრები ჰქონდა?**

— **აფხაზეთში ომის გაჩაღების შესახებ** შევარდნაძემ და ბეიკერმა 1992 წლის 26 მაისს მოილაპარაკეს, როცა ბეიკერი თბილისში ჩამოვიდა და ხუნტა აკურთხა. რაც შეეხება **ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციას,** მასალები ამის შესახებ, ფაქტობრივად, არ არსებობს, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, ამ საკითხზე შევარდნაძესა და ბეიკერს შორის საიდუმლო შეხვედრა შედგა.

**— კი მაგრამ, ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში ზვიად გამსახურდიას მეგობარი და მხარდამჭერი არავინ ჰყავდა?**

— ზვიად გამსახურდიას ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში მეგობრები და მხარდამჭერები ჰყავდა, მაგრამ მაშინ ეს ჯგუფი ოპოზიციაში იყო და საერთაშორისო პოლიტიკაში ამინდს ვერ ქმნიდა. ვგულისხმობ სენატორ **ჯონ მაკ-კეინსა** და მის ჯგუფს. 1993 წლის 24 სექტემბერს, როცა ზვიადი გროზნოდან საქართველოში ჩამოვიდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაპიტოლიუმის შენობის თავზე, **მაკ-კეინმა და მისმა თანამოაზრეებმა** ზვიადის პატივსაცემად დროშა აღმართეს. შევარდნაძემ, იმისათვის, რათა სამეგრელოს ეგზეკუციები გაემართლებინა, ზვიად გამსახურდიას კანონიერი შეიარაღებული ფორმირებები „ბანდიტურ-ტერორისტულ ორგანიზაციებად" გამოაცხადა და მათ წინააღმდეგ ომი „წმინდა ომად" შერაცხა... **დოდო გუგეშაშვილი,** რომელმაც დარჩელი და ბედია გადაწვა, 1995 წელს დააპატიმრეს, მაგრამ შევარდნაძემ ხუთ წელიწადში შეიწყალა... სამეგრელოს დარბევაში შევარდნაძის ბანდებთან ერთად რუსის ჯარი და მათი ხუთი ვერტმფრენი ჯერ კიდევ მაშინ მონაწილეობდნენ, ვიდრე ბალტინის ჯარი ფოთში შემოვიდოდა. შევარდნაძის მიერ სამეგრელოს აოხრებას მხარს უჭერდა რუსეთის სახელმწიფო ტელეკომპანია „ოსტანკინო", რომელიც აცხადებდა, რომ ეს იყო „ლოკალური კონფლიქტი!" ნებსით თუ უნებლიეთ, გვახსენდება **გიორგი ჭანტურიას** პატაკი შევარდნაძისადმი, რომელიც მან მოსკოვში 1992 წლის იანვარში გაგზავნა: **„ცხენისწყალი გადავლახეთ და მალე ზუგდიდსაც ავიღებთ!"**

**— ხუნტის ბანდების მიერ სამეგრელოს აოხრებას თავად შევარდნაძე როგორ აფასებდა?**

— ხუნტის მიერ სამეგრელოს აოხრებას შევარდნაძე ამართლებდა და პირდაპირ აცხადებდა: *„ეს ჩვენ ადრე უნდა გაგვეკეთებინა! ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციული ფაშიზმი და განვახორციელებთ კიდევაც ამას. როდესაც ბოროტ ძალას ებრძვი, ზედმეტია წუწუნი გაუპატიურებასა და მსხვერპლზე. მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც სამეგრელოს ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო!"*

აი, ამას რომ სახელმწიფო მეთაური იტყვის, იქ რაზე უნდა ვილაპარაკოთ? სწორედ შევარდნაძის მიერ იყო სანქცირებული ის საშინელება, როცა ხობის მილიციონერმა გამგებელმა მხედრიონელებს მხატვარი **ვახტანგ ნოდია** შეაპყრობინა და სასტიკად აწამებინა. ნოდიას ზვიადის დახატვის გამო მარჯვენა მოაჭრეს და ნაწამები ცხედარი ხობის საცურაო აუზში ჩააგდეს. საქვეყნოდ ცნობილია, რომ **შოთა კვირაიამ,** რომელიც ალკოჰოლიკი იყო, შევარდნაძის თვალწინ ექვსი ხელფეხშეკრული ახალგაზრდა დახვრიტა. ეს მოხდა 1993 წლის 7 ნოემბერს, როცა ბალტინის ჯარებთან ერთად შევარდნაძე ზუგდიდში შევიდა. 1997 წელს, როცა შოთა კვირაიას შევარდნაძემ **ნოდარ გრიგალაშვილის** სატელეფონო საუბრების მოსმენა დაავალა, ხოლო მერე ეს ფაქტი **ირინა სარიშვილს** გაახმაურებინა და კვირაიას წყალი შეუყენა, მთელი ე.წ. „ინტელიგენცია" შოთა კვირაიას გადასარჩენად დაირაზმა... თავის მხრივ, შევარდნაძეც გამოვიდა და განაცხადა: *„არ არსებობს იმაზე უფრო ამაზრზენი მოვლენა, ვიდრე სატელეფონო საუბრების მოსმენაა!"* ახლა დაგისახელებთ რამდენიმე ცნობილ პიროვნებას, რომლებიც შოთა კვირაიას თავგადაკლული იცავდნენ და ხელმოწერებს აგროვებდნენ, რათა შევარდნაძეს მინისტრობიდან არ მოეხსნა. ესენი იყვნენ: **ჯანსუღ ჩარკვიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, კახი ასათიანი, ვაჟა აზარაშვილი, ნანი ბრეგვაძე, სოფიკო ჭიაურელი, ნოდარ მგალობლიშვილი, გურანდა გაბუნია, არჩილ სულაკაური, შოთა ნიშნიანიძე, კოტე მახარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გოგი ქავთარაძე, მერაბ ჟორდანია, დავით ყიფიანი.** თითოეული ეს პიროვნება ვალდებული იყო შოთა კვირაიას წინაშე, რადგან კვირაია მათ თხოვნას ანგარიშს უწევდა და პოლიციის განყოფილებების უფროსებად, სამმართველოს უფროსებად ან მოადგილეებად ნიშნავდა ამ ე.წ. „ინტელიგენტების" კადრებს, რომლებიც მერე ვალდებულებას იღებდნენ, რათა ერჩინათ და კმაყოფაზე ჰყოლოდათ თავიანთი მფარველები. თავის მხრივ, ეს „ინტელიგენტები" ამ დანიშვნებით, როგორც წესი, ყოველთვის ვაჭრობდნენ და ფულს აკეთებდნენ... ეს ის ხალხია, რომელიც შევარდნაძის ჩამოსაყვანად ფულს აგროვებდა... არ ვიცი, მათ მიერ შეგროვებული ფუ-

გაგრძელება 22-ე გვერდზე




# რა „წამოცდენა" მოუვიდა 1998 წლის 10 ნოემბერს შევარდნაძეს?



## ედუარდ შევარდნაძე:

## მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც სამეგრელოს ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო!

# რა „წამოცდენა“ მოუვიდა 1998 წლის 10 ნოემბერს შევარდნაძეს?

დასაწყისი 21-ე გვერდზე

ლი შედიოდა თუ არა იმ 65 მილიონ რუსულ რუბლში, რომლის შესახებაც გენადი ბურბულისმა ბრძანა — საქართველოში ზვიად გამსახურდიას დამხობა 65 მილიონი დაგვიჯდაო!

**შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ შევარდნაძემ 1993 წლის ოქტომბერში საქართველოს არამარტო ბალტინის ჯარი, არამედ სომხეთის ჯარიც შემოუსია...**

**— სომხებიც?**

— დიახ, სომხებიც! ადმირალ ედუარდ ბალტინის არმადაში შედიოდა სამი ფრეგატი — ფლოტის ფლაგმანი **„ვოლჟანსკი“, „კულიკოვი“ და „69“.** გარდა ამისა, იქ იყო მოიერიშე ხომალდი **„ტეპლოვი“** და ორი **„ესმინეცი“,** 40 ერთეული ჯავშანტექნიკა, საზღვაო ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი. გარდა ამისა, რუსეთმა საქართველოში გადმოისროლა ძერჟინსკის სახელობის პოლკი 1200 კაცის შემადგენლობით.

**— იცოდა თუ არა ამის შესახებ ამერიკამ?**

— შევარდნაძე საქართველოში **ბეიკერისა და ელცინის** თანხმობის გარეშე არ ჩამოსულა! აქედან გამომდინარე, მე გამოვრიცხავ, რომ შევარდნაძემ ბალტინის ჯარი საქართველოში ამერიკის, კერძოდ, სახელმწიფო მდივან **ბეიკერის** თანხმობის გარეშე შემოიყვანა. მეათასედ ვიმეორებ და კვლავ ვიტყვი, რომ ამერიკისა და რუსეთის ინტერესები მაშინ ერთმანეთს დაემთხვა და ამერიკაც და რუსეთიც ესწრაფვოდნენ, რათა საქართველო ზვიად გამსახურდიასგან გაეთავისუფლებინათ. არსებობს **ადმირალ ბალტინის** ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ *„სევასტოპოლში ჩამოსული შევარდნაძის წარმომადგენელი ლეონარდო დევდარიანი გამსახურდიასგან საქართველოს გათავისუფლებას ითხოვდა!“* ბალტინმა პატაკი გაუგზავნა უკრაინის პრეზიდენტ **ლეონიდ კრავჩუკსა** და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ **პაველ გრაჩოვს.** ბალტინი პირდაპირ წერს — *„არმადით 4 ნოემბერს გამოვცხადდი ფოთში... 30 წუთში დავიკავე ფოთი, ერთ კვირაში მივედით ენგურამდე, ყველგან ცხადდებოდა შევარდნაძის ხელისუფლება!“*

**— რა თანხა აიღო ამ საქმეში ედუარდ ბალტინმა?**

— სხვადასხვა თანხას ასახელებენ, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, **შევარდნაძემ ბალტინს ამ დახმარების სანაცვლოდ 250 მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადა!**

**— მერედა, ამერიკის სპეცსამსახურებს 1993 წელს ამოდენა ფულის მოძრაობა მხედველობიდან გამორჩებოდათ?**

— გამორიცხულია! უფრო მეტსაც გეტყვით, ვფიქრობ, **ადმირალ ედუარდ ბალტინისთვის** გადასახდელი 250 მილიონი დოლარი ედუარდ შევარდნაძეს სწორედ ამერიკელებმა მისცეს!

ესაუბრა
*დიტო ჩუბინიძე*

*გაგრძელება იქნება*


ადმირალი ედუარდ ბალტინი



**ედუარდ ბალტინი: სევასტოპოლში ჩამოსული შევარდნაძის წარმომადგენელი ლეონარდო დევდარიანი გამსახურდიასგან საქართველოს გათავისუფლებას ითხოვდა!**



***გასულ კვირას ლიბერასტულმა ტელევიზიებმა ტყუპისცალებივით მსგავსი, ერთმანეთისგან გადაწერილი ტექსტებით ამცნეს ქართველ საზოგადოებას მოსალოდნელი „ახალი ეპიდემიის“ შესახებ:***

*„კოვიდის ახალმა შტამმა EG-5-მა, რომელიც მსოფლიოს 50 ქვეყანაში დაფიქსირდა, უკვე საქართველოშიც შემოაღწია. 28 დღის განმავლობაში მსოფლიოში ამ შტამით დასნეულების მილიონი შემთხვევა გამოვლინდა, აქედან 3 ათასი სიკვდილით დასრულდა. EG-5 გახლავთ „ომიკრონის“ ერთ-ერთი ქვეშტამი, ახასიათებს იგივე სიმპტომები: ყელის, თავის, სახსრების და კუნთების ტკივილი, მშრალი ხველა, საერთო სისუსტე. ავადობის საშუალო ხანგრძლივობა 5 დღეა; საშიშია ასაკობრივი რისკ-ჯგუფის და ქრონიკულად დაავადებული ადამიანებისთვის. საქართველოში კოვიდვირუსის ახალი შტამით დაინფიცირებულები უკვე გამოვლენილები არიან. მედიცინის სფეროს წარმომადგენლები ამბობენ, რომ შესაძლო გართულების თავიდან ასაცილებლად ძალიან კარგი იქნებოდა „ბუსტერ დოზის“ გაკეთება, თუმცა, ამ ეტაპზე საქართველოში ჯერ არ არის შემოსული „ფაიზერის“ ვივალენტური ვაქცინა, რომელიც ბოლო დროს გამოვლენილ შტამებს ყველაზე მეტი წარმატებით ებრძვის. როგორც ინფექციონისტები ამბობენ, ე.წ. სწრაფი ტესტი ძირითადად ვერ ავლენს დაინფიცირების შემთხვევას, ამიტომ ექიმები მოსახლეობას „პისიარ“ ტესტის გაკეთებას ურჩევენ, რაც გაცილებით სანდოა. დაავადებათა კონტროლის ცენტრში გვითხრეს, რომ ისინი აღარ აღრიცხავენ ინფიცირების შემთხვევებს და, შესაბამისად, სტატისტიკაც არ არსებობს... არადა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსულტანტი **გიორგი ფხაკაძე** სოციალურ ქსელში წერს, რომ მსოფლიო და, მათ შორის, საქართველო — კოვიდის ახალი ტალღისთვის უნდა მოემზადოს და ეს საკმაოდ რეალური საფრთხეა!“*

***რას გვპირებენ და რა გვემუქრება სინამდვილეში? ვესაუბრებით***



# კობა კუპრაშვილი: ფრთხილად,

***კოვიდაფერის ერთ-ერთ თვალსაჩინო მამხილებელს, გერმანიაში მოღვაწე ქართველ პოლიტოლოგსა და გერმანისტს, „საერთაშორისო ურთიერთობათა გერმანულ-ქართული ცენტრის“ მდივანს კობა კუპრაშვილს:***

— ერთი კვირის წინ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მართლაც გამოაცხადა ახალი ქვეშტამის გავრცელების შესახებ, რაც მაშინვე მოექცა მასმედიის ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია, რომ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მსოფლიომ საერთოდ დაივიწყა პანდემია, თითქოს არც კი გადაეტანოს! თითქოს უკვე აღარავინ ავადდებოდა და, შესაბამისად, აღარც კვდებოდა, რასაც 2 წლის განმავლობაში ყოველწამიერად ჩაგვჩიჩინებდნენ. უფრო მეტიც, ჯანმომ უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში ოფიციალურად გამოაცხადა „კოვიდ-19“-ის დასრულების შესახებ!

**— ამ ახალი შტამის გამოჩენა ვინმეს ინტერესებში იყო?**

— ვირუსი უკვალოდ არ გამქრალა, უბრალოდ, მასზე საუბარი შეწყდა — ასე ინებეს მავანმა ძალებმა. არც ის იქნება გასაკვირი, თუ ახალ შტამს იგივე სიმპტომები ექნება, რაც „ომიკრონს“ გააჩნდა. ახალი შტამიც, უპირველესად, გახლავთ ადამიანების ცნობიერებაზე მორიგი ინფორმაციული შეტევა, რისთვისაც აუცილებელი გახდა ახალი სახელის გამოგონება.

**— და რაზე მეტყველებს ეს**

## ვიკიპედია

თავისუფალი ენციკლოპედია

**ერისი** (ბერძ. Ἔρις — „ბრძოლა, შერკინება, ჩხუბი“) — ბერძნულ მითოლოგიაში უთანხმოების ქალღმერთი, ნიქტის ქალიშვილი, ქაოსის შვილიშვილი.

## კვირგვინოსნები

**გიორგი ბოიჩენკო**
*დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი*



**ღვარცოფულად და მეწყრულად საშიში ადგილები** საქართველოში ბევრია, მათ შორის **დურუჯი (კახეთში), მთელი კახეთის კავკასიონი სვანეთამდე, აფხაზეთიც და მთელი კავკასიონის ზონა.** გარდა ამისა, **აჭარა, გურია,** სადაც ხშირია მეწყრული და ღვარცოფული შემთხვევები, **აჭარა-თრიალეთის ქედზე** კი ნალექის პრობლემა გვაქვს. უკვე საკმარისად დაგვიგროვდა ასეთი ფაქტები, მაგალითად, **ახალდაბის მეწყერი** — იქ მყინვარი და განსხვავებული რელიეფი არ არის, მაგრამ ბუნებრივი სტიქია კატასტროფაში გადაიზარდა. **კავკასიონზე, მთელ ქედზე, რისკის შემცველი ხეობებია.**

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ჯაავახიშვილი**
*სეისმური მონიტორინგის ცენტრის დამფუძნებელი, პროფესორი*



შოვის სასტუმროში რომ ყოფილიყო **გამაფრთხილებელი განგაში,** თვალსაჩინო ადგილას რომ ყოფილიყო გაკრული ბანერი, მაგალითად, **„განგაში თუ ჩაირთო, უნდა ახვიდეთ ბორცვზე, შემაღლებულ ადგილას“,** სადაც უსაფრთხოდ იქნებოდნენ, **3 წუთიც** საკმარისი იქნებოდა, გაესწროთ. ასეთი სისტემების წყალობით **8-10 წუთი** სრულიად საკმარისია. **8 წუთში** ადამიანი ნელი სიარულითაც კი 500 მეტრს გაივლის. შოვში სტიქიის ზონიდან მაქსიმუმ 50 მეტრში, უკვე უხიფათო ადგილებია, ფერდობები.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



**ხელისუფლებასთან არის მთავარი კითხვა** — რატომ არ შეიქმნა მონიტორინგის სისტემები, მით უფრო, თუ დაპირებაც გაცემული იყო? **მაგრამ მე ნაციონალურ მოძრაობასთანაც მაქვს კითხვა** — მათ რა გააკეთეს, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ? მაგალითად, ყველას გვახსოვს **რიკოთის ტრაგედია,** რომელიც სწორედ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა. **გვიპასუხონ, ამის მერე რა გააკეთეს უსაფრთხოებისთვის?** როგორც ნაციონალური მოძრაობის, ისე „ქართული ოცნების“ ელიტა, **როდესაც საქმე შეეხება ბიზნესს და დიდი ფულის შოვნას,** მშვენივრად პოულობენ საერთო ენას.

„კვირის პალიტრა“

**ახალი სახელი?**

— ახალი სახელი EG-5, ლეონარდო და ვინჩის პრინციპით, უკუღმა რომ წავიკითხოთ, გამოვა **5 ჯი.** ალბათ, შემთხვევითი, მაგრამ საინტერესო დამთხვევაა!

ამ შტამის მეორე სახელი **„ერისიც“** სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს. **ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ერისი** (ბერძ. Ερις — „ბრძოლა, შერკინება, ჩხუბი“) **უთანხმოების ქალღმერთია.** ერიდას გაჩენილია შიმშილი, გლოვა, ქიშპი, მკვლელობა, უთანხმოება, უკანონობა. ის გახლავთ არესის — ომის ღმერთის და. აქ სიმბოლურად შესაძლოა, გავიაზროთ უკრაინის ომიც.... არა მგონია, შტამის ორთავე დასახელება შემთხვევით იყოს შერჩეული. ვფიქრობ, ამ ორ სახელს შორის კავშირი იმით გამოვლინდება, რომ ადამიანების ადგილსამყოფლის დადგენას და მათი გადაადგილების მასობრივ კონტროლს დასჭირდება გაცილებით სწრაფი მართვის მექანიზმი, რომელიც **5 ჯი** ინტერნეტით გახდება უზრუნველყოფილი.

**— რამდენად შეეფერება სიმართლეს, რომ მსოფლიოში ახალი შტამით უკვე 3 ათასი ადამიანია გარდაცვლილი, რასაც მედია იუწყება?**

— საინტერესოა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში მედიას საერთოდ არ აინტერესებდა და მხოლოდ ახლაღა გაახსენდა, შემცირდა თუ გაიზარდა კოვიდით გარდაცვლილთა პროცენტული მაჩვენებელი. სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში სიკვდილიანობის მაჩვენებელი კატასტროფულად არის გაზრდილი, მაგრამ ამას სულაც არ უკავშირებდნენ კოვიდს ან მის რომელიმე ქვეშტამს. მედიკოსების მხრიდან შეთავაზებული იყო მხოლოდ განმაპირობებელი ჰიპოთეზა — კლიმატის გლობალური ცვლილება... აი, ასეთ ფონზე საკმაოდ ცინიკურად ჟღერს მსოფლიოში სიკვდილიანობის რაოდენობის გამალებული მატების დაკავშირება კოვიდის ახალ შტამთან, მითუმეტეს, რომ კაცობრიობას აქვს საკმარისი გამოცდილება, როგორ მიაწერეს კოვიდპანდემიას სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევებიც!

დაე, მკითხველი იმაზეც დაფიქრდეს, ვაქცინაციის ეგიდით, რა ექსპერიმენტი ჩაატარეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით! ვაქცინას, წესით, მოსახლეობა უნდა დაეცვა სიკვდილისგან. არადა, საპირისპირო შედეგს ვღებულობთ — **2022 წელს სიკვდილიანობის მაჩვენებელმა კიდევ უფრო მოიმატა!**




# მსოფლიოში ჯანმოს აბსოლუტური დიქტატურა მყარდება!




**— ნუთუ მოსახლეობას ისევ გამოკეტავენ სახლებში? აკრძალვებისა და სანქციების ახალ ვარიანტებს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

**– ჯერჯერობით, საქმე გვაქვს მხოლოდ ადამიანთა ტვინების პროპაგანდისტული დამუშავების ფაზასთან და ემსახურება საზოგადოებაში პანდემიური განწყობის დაბრუნებას.**

ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური შეტევისა და ტერორის პირველი ეტაპი. სამომავლო განზრახვები გაისად, მაისის თვეში გამოვლინდება, როდესაც ჯანმოს მორიგი, 77-ე ყრილობა ჩატარდება. მანამდე მზადდება შესაბამისი, „პანდემიური“ ხელშეკრულება, რომელიც ჯანმოს წევრი სახელმწიფოების მიერ უნდა იქნეს რატიფიცირებული. ამ ხელშეკრულების პარალელურად გადახალისდება ჯანმოს ეგიდით შემუშავებული, „პანდემიასთან ბრძოლის“ ახალი წესები და ვალდებულებები. **შეიძლება, პანდემიის საფუძველი გახდეს არა EG-5, არამედ სულ სხვა ვირუსი, რომლის ვარიანტი საიდუმლო ლაბორატორიებში შესაძლოა, სწორედ ამჟამად მუშავდება.** რაც ყველაზე მთავარია, მსოფლიოში აქამდე ჯერ არ მომხდარა უკვე ჩავლილი პროცესების შეფასება, თუ რა გაკეთდა სწორად და რა — არასწორად. იყო თუ არა შეცდომა მასობრივი ლოქდაუნები და ადამიანთა ტერორიზება პირბადის გაკეთების, ტესტირების თუ ვაქცინაციის მიზნით? არსებობს კვლევები, რომ პირბადის ტარების დაძალებამ ინფექციის გავრცელებას ხელი ვერ შეუშალა!

**— დღეს, როდესაც მსოფლიო ხმამაღლა ალაპარაკდა და კვლევებითაც დადასტურდა, რომ „ასტრაზენეკა“ იყო შხამი, ხოლო „ფაიზერი“ — თაღლითობაში არაერთხელ მხილებული კორპორაცია, რას უნდა ველოდოთ?**

**– მომავალში ახალ ღონისძიებებს, მათ შორის, აცრებს – რეკომენდაციის დონეზე აღარ შემოგვთავაზებენ და სავალდებულოს გახდიან! ჯანმო მსოფლიოს სახელმწიფოებს ამ ღონისძიებების გატარებას დაავალდებულებს და წინააღმდეგობის შემთხვევაში, სანქციებსაც დააკისრებს!**

**ჩვენი მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე ის არის, ხომ ხალხს მაქსიმალურად გავაცნოთ იმ კაბალური ტექსტების შინაარსი, რასაც ჯანმო შეიმუშავებს სახელმწიფოებისთვის ხელმოსაწერად.** თუკი ჯანმო მიიღებს უპრეცედენტო უფლებამოსილებას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას არღვევს, ადამიანებს აღარანაირი მექანიზმი აღარ დარჩებათ, უარი თქვან აცრაზე, რადგან აეკრძალებათ სიტყვის, გამოხატვის, გადაადგილების თავისუფლება!

**გავიხსენოთ, როგორ გვიზღუდავდა „ფეისბუქი“ პანდემიასთან დაკავშირებული ალტერნატიული ინფორმაციების გავრცელებას!** ამჯერად, ალბათ, პირდაპირ ქუჩებსა და მოედნებზე დააპატიმრებენ იმ ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები ექნებათ.

**— როგორ ავირიდოთ ასეთი განუკითხაობა?**

— უნდა დაჟინებით ჩავეძიოთ ხელისუფლებას, რა შინაარსის დოკუმენტები უდევთ განსახილველად? სასწრაფოდ დავიწყოთ დებატები, თორემ ჯანმოს, როცა მოესურვება, მაშინ გამოაცხადებს პანდემიას! შეიძლება ვირუსის კი არა, კლიმატის ცვლილებით ან რაიმე სხვა მიზეზით დაუწესოს კაცობრიობას წინასწარ შემუშავებული აკრძალვები, მათ შორის, „კომენდანტის საათი“ მთელი პლანეტის მასშტაბით!

**გაითვალისწინეთ: მსოფლიოში მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, რაც შეიძლება, ხალხების მასობრივ უკმაყოფილებაში გადაიზარდოს და ამის წინააღმდეგ საუკეთესო ზომას სწორედ მოსახლეობის შინაპატიმრობაში მოქცევა წარმოადგენს!**

**ეს გაცილებით ადვილი გახდება ელექტრონული ფულის დანერგვის შემთხვევაში, რაც უკვე მიმდინარეობს. წარმოიდგინეთ, ადამიანებს ხელთ აღარ ექნებათ რეალური ბანკნოტი საარსებო პროდუქტის შესაძენად...** ლოქდაუნის და სახლიდან გაუსვლელი რეჟიმის შემოღების შემთხვევაში დაუმორჩილებლებს ფინანსური სანქცია დაუწესდებათ, ელექტრონული საფულით სარგებლობა შეეზღუდებათ, ხოლო პროდუქტის მოპოვების ერთადერთი საშუალება გახდება ელექტრონული საფულით ამ პროდუქტის დისტანციურად, სახლიდან შეკვეთა. ამიტომ იძულებულნი გახდებიან, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, თავს მოხვეულ რეჟიმს დანებდნენ. ასეთია **„პლანეტის მოსახლეობის რაოდენობის გადატვირთვის“** მზაკვრული გეგმა, რომელიც ჩვენ თვალწინ ხორცს ისხამს!

**— ხომ არ დგება დრო, მსოფლიო დიქტატურისგან თავის დაღწევის მსურველებმა მთებში გასახიზნი გზები მოვიძიოთ?**

— თუ 2024 წლის მაისში ჯანმოს მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებას სახელმწიფოები ხელს მოაწერენ, მსოფლიოს ხალხები რეალურად აღმოჩნდებიან ჯანმოს სასტიკი დიქტატურის ქვეშ. მსოფლიოს გადატვირთვის პროგრამის ავტორები აქტიურად იყენებენ ბიბლიის ცოდნასაც — ცდილობენ, კაცობრიობა თავიანთ უძლეველობაში დაარწმუნონ, დაუკარგონ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. ჩვენი ვალია, ვამხილოთ ეს პროცესი და ხელისუფლებას მოვთხოვოთ, არ დაუშვას ჩვენს სამშობლოში მსგავსი პროცესის განვითარება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**თამაზ გამყრელიძე**
*აკადემიკოსი*



სტიქიის დროში **ზუსტი პროგნოზირების საშუალება** არცერთ ქვეყანაში არ არსებობს.

„რეზონანსი“

**ამირან არაბული**
*მწერალი, ფოლკლორისტი*



ამ ტრაგედიის შემხედვარეთ **აღარ უნდა გვეცალოს ერთმანეთის საჯიჯგნად** და ანგარიშების გასარკვევად.

„კვირის პალიტრა“

**თენგიზ დიხამინჯია**
*უზენაესი საბჭოს დეპუტატი*



თუ უნდათ, **ჰირისუფლებს ღირსება დაუბრუნონ,** შოვის ტრაგედია **მიუკერძოებლად გამოიძიონ.**

„ახალი თაობა“

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი საკვები პროდუქტების შენახვის ვადების შესახებ საუბრობს და საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავეკაროთ თოხლო კვერცხსა და გოგლი-მოგლს, რადგან ერთიც და მეორეც სალმონელას პოტენციური ბუდეა:*



## კახა საბახტარიშვილი:

# თაფლი ერთადერთი ბუნებრივი პროდუქტია, რომელსაც შენახვის ვადა არა აქვს!



— საკვების ვარგისიანობა და ხარისხი პირდაპირ კავშირშია მის ვადასთან, რომელიც პროდუქტის ეტიკეტზეა მითითებული. ნებისმიერ შეფუთულ საკვებს თუ დააკვირდებით, აუცილებლად შეამჩნევთ ორ რიცხვს — ერთი მისი დამზადების თარიღია, ხოლო მეორე — ის დრო, რომლის შემდეგაც საქონლის მოხმარება და გაყიდვა იკრძალება! საკვების ვარგისიანობის ვადა დროის ის ინტერვალია, როცა სწორად შენახვის შემთხვევაში პროდუქტი ინარჩუნებს სუნს, გემოს, სასაქონლო სახესა და საკვებ ღირებულებას.

ვადის ხანგრძლივობის მიხედვით, საკვები პროდუქტები ორ ჯგუფად იყოფა — მალფუჭებადი და დიდხანს შენახვადი. მალფუჭებადია ყველა ის პროდუქტი, რომელიც თავის თვისებებს მხოლოდ და მხოლოდ მაცივარში ან, ზოგადად, ცივ გარემოში ინარჩუნებს. ასეთია: ხორცი, თევზი, რძე, კვერცხი, საკონდიტრო ნაწარმი, ახალი ბოსტნეული და ხილი. რაც შეეხება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენახვად საკვებს, ისინი ოთახის ტემპერატურაზეც ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად თვისებებს. ეს პროდუქტებია: ფქვილი, მაკარონი, ბურღულეული, შაქარი, თაფლი, მარილი, ჩაი, ყავა, შებოლილი პროდუქტები, კონსერვები, მურაბები და კომპოტების უმრავლესობა, ვაკუუმის პაკეტებში მოთავსებული პროდუქტები და ხილისა თუ ბოსტნეულის წვენები.

**— საკვებ პროდუქტებს შეფუთვისას საგანგებო ქიმიური ხსნარებით ამუშავებენ?**

— რა თქმა უნდა, ამუშავებენ! ყველა საკვები პროდუქტი, რომელიც უცხოეთიდან შემოდის და შეფუთულია, ქიმიურად გახლავთ დამუშავებული, რაც მისი შენახვის ვადას განსაზღვრავს. მაგალითად, ბანანი, რომელიც ბავშვებს ძალიან უყვართ და საქართველოში აფრიკიდან და ეგზოტიკური ქვეყნებიდან შემოდის, სწორედ ქიმიური ხსნარებით არის დამუშავებული, რათა დიდხანს გაძლოს და არ გაფუჭდეს. ამდენად, **ჩვენ რომ ბანანს ვჭამთ, ზემოქიმიკატებით არის გაჯერებული და სულ სხვა გემური თვისებები აქვს, ვიდრე იქ, სადაც მის მოსავალს იღებენ.**

## „თხუთმეტი დღის გასვლის შემდეგ ქათმის კვერცხი დიეტურ თვისებებსა და ღირებულებას კარგავს!“



## „კვერცხი, მინიმუმ, 7 წუთის განმავლობაში მაინც უნდა იხარშებოდეს!“

ცხადია, შენახვის ვადა აქვს კვერცხსაც, რომელიც, როგორც წესი, დაახლოებით ერთი თვე გრძელდება, მაგრამ **უნდა ვიცოდეთ, რომ თხუთმეტი დღის გასვლის შემდეგ ქათმის კვერცხი დიეტურ თვისებებსა და ღირებულებას კარგავს!** სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა პერიოდში კვერცხი, რომელიც ორ კვირას გადააჭარბებდა, მაშინვე იაფდებოდა და თუ გავითვალისწინებთ თვალუწვდენელი სსრკ-ის სასაათო სარტყლების სიმრავლეს, ამაზე დიდი ფულიც კეთდებოდა.

მოხარშული კვერცხი, რომელიც დიეტური საჭმელია, თავის ნაჭუჭიანად მაცივარში მხოლოდ თოთხმეტი დღის განმავლობაში ინარჩუნებს კეთილ თვისებებს, ხოლო **ნაჭუჭის გარეშე მოხარშული კვერცხი მაცივარში მხოლოდ ორი-სამი დღე ძლებს.**

მაცივარში შენახული მოუხარშავი კვერცხი საკვებად ვარგისია 25 დღის განმავლობაში, მაგრამ **მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაცივარში ჰაერის ტემპერატურა 6 გრადუს ცელსიუსზე ნაკლები იქნება.**

გვახსოვდეს, რომ, თუ მაცივრის ტემპერატურა 6 გრადუსზე მაღალია და კვერცხის ნაჭუჭზე სალმონელას ბაქტერიებია, მაშინ ისინი მრავლდებიან, კვერცხის ფორებში თავისუფლად აღწევენ და ადამიანის ჯანმრთელობას უდიდეს საფრთხეს უქმნიან. კერძოდ, **სალმონელათი დაავადებული მოხარშული კვერცხი იწვევს სალმონელოზს, რომელიც ძლიერი ინტოქსიკაციით გამოირჩევა.** ამიტომ ჩემი რჩევაა — კვერცხი, მინიმუმ, 7 წუთის განმავლობაში მაინც უნდა იხარშებოდეს! სალმონელას ბაქტერია მხოლოდ 70 გრადუს ცელსიუსზე ზემოთ იღუპება... **შემწვარი კვერცხი ამ მხრივ დაცულია და მასში სალმონელას ბაქტერია არ არის.** ვაფრთხილებ ყველას: არავითარ შემთხვევაში არ გაეკაროთ თოხლო კვერცხსა და გოგლიმოგლს, რადგან ერთიც და მეორეც სალმონელას პოტენციური ბუდეა!

## „კარაქი და კარაქზე დამზადებული პროდუქტები თავიანთ თვისებებს მხოლოდ დაბალი ტემპერატურის პირობებში ინარჩუნებენ!“



**— კვერცხი ხშირად ტალახიანია, ასეთ დროს რა უნდა ვქნათ?**

— ეს ხშირად ე.წ. სოფლის კვერცხს ახასიათებს... რაც გინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, სჯობს, ე.წ. ტალახიანი სოფლის კვერცხი მაცივარში ზუსტად ამ სახით შევინახოთ, რადგან **ბამხმარი მიწა და ტალახი კვერცხის ნაჭუჭის ფორებს ახშობს და სალმონელას ნაჭუჭში შეღწევის საშუალებას არ აძლევს.**

**— როგორ გავარჩიოთ კვერცხი ახალია თუ ძველი?**

— ამის დასადგენად ძალიან მარტივი მეთოდი არსებობს... *ქვაბში ჩავასხათ ოთახის ტემპერატურის წყალი და შიგ კვერცხი ჩავაგდოთ. თუ კვერცხი წყალში ჩაიძირა და ფსკერზე ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღო, მაშინ კვერცხი ახალთახალია. თუ კვერცხის ბლაგვი კუთხე ზემოთ იქნება აშვერილი, მაშინ კვერცხი ახალი არ არის, ხოლო, თუ კვერცხმა წყალში ტივტივი დაიწყო, მაშინ ის ძველია და საკვებად საშიშია!*

რაც უფრო ძველია კვერცხი, მის ბლაგვ მხარეს არსებულ თავისუფალ სივრცეში მით უფრო მეტი ჰაერი შედის, რაც თავისთავად კვერცხის ცილის დენატურაციას იწვევს. საერთოდ, კვერცხს რომ გავტეხთ, მისი გული სფეროსებრი უნდა იყოს და ცილა გულს მჭიდროდ ეკვროდეს. **თუ კვერცხის გული გაბრტყელებულია, ხოლო ცილა ძალზე თხიერი, მაშინ ასეთი კვერცხი ძველია...**

**— რამდენად სწორია მოსაზრება, თითქოს მოხარშული კვერცხის ხშირი მიღება ქოლესტერინის მატებას იწვევს?**

— ეს აზრი მას შემდეგ გავრცელდა, რაც რამდენიმე წლის წინათ ამერიკის კარდიოლოგიურმა ასოციაციამ „დაამტკიცა“, თითქოს კვერცხის ყოველდღიური მოხმარება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკსა და მისგან გამოწვეულ სიკვდილიანობას ზრდის. ეს კვლევა რომ დაკვეთილი იყო, იმითაც დასტურდება, რომ კვერცხში შემავალი ქოლესტერინი, ნებისმიერი სხვა კვლევით, ქოლესტერინს მართლაც უმატებს, მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ ე.წ. **კარგი ქოლესტერინის მატებაზე,** რომელიც მაღალი სიმკვრივით გამოირჩევა და ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

# «თევზისა და ხორცის ორჯერ გაყინვა

## კვირგვინოსნები

**ონისე ონიანი**
*მსახიობი*

ეს ჩემი სამშობლოა და უნდა მქონდეს უფლება, ვიცხოვრო იქ, სადაც ყოფნა მიხარია, სადაც ჩემი სახლია! **ნებისმიერი მთავრობის მოვალეობაა, ნორმალური ცხოვრების პირობები შეუქმნას თავის ხალხს,** აბა, რისთვის ავირჩიეთ, ან გადასახადებს რისთვის ვიხდით?!

„კვირის პალიტრა“

**ლევან გორგაძე („ტოჩინოშინი“)**
*სუმოისტი*

**ხარება გორგაძის** მამა სამი თვის წინ გავხდი. ის ჩემი მეორე შვილია, ჩემთან ცხოვრობს და კიდევ უფრო მძაფრად განმაცდევინა, **რას ნიშნავს მამობა, შვილის მოვლა, მისთვის ღამის გათევა...** ხარებას დედა იაპონელია, რამდენიმე წელიწადია, ერთად ვცხოვრობთ... მამაჩემის მამას **ხარიტონა** ერქვა, ძალიან მიყვარდა და ვაჟიშვილს მისი სახელი დავარქვი.

„კვირის პალიტრა“

**ლელუკა ყიფშიძე**
*ზურა ყიფშიძის ქალიშვილი*

ყოველთვის ვამაყობდი და სულ ვამბობდი, რომ **ზურა ვარ კაბაში.** სიმთვრალითაც კი ზურას დავემსგავსე. ცნობილია, რომ **ზურას არა აქვს კარგი სიმთვრალე და მეც ასე ვარ.** ამის გამო ვცდილობ, ალკოჰოლს არ გავეკარო.

„სარკე“

**გურამ შეროზია**
*ბლოგერი*

იაპონიაში სასტუმროში ჯავშანი გამიუქმეს და შუაღამისას ქუჩაში გამომაგდეს. **მიზეზი ჩემი სვირინგი იყო.** მათი ტრადიციის მიხედვით, თურმე, **სვირინგიან ადამიანს არა აქვს უფლება, დაჯავშნოს ისეთი სასტუმრო, რომელსაც აქვს სპა ან აუზი.**

„სარკე“

# „ნამცხვარი და ტორტი მალფუჭებადი პროდუქტებია და ორი-სამი დღის შემდეგ მათი ჭამა არ შეიძლება!“



**— რას იტყვით ნაღების, კეფირის, მაწვნისა და რძის სხვა პროდუქტების შენახვის ვადებზე?**

— რძე, მაწონი და კეფირი მხოლოდ მაცივარში უნდა ინახებოდეს და ისიც ჰერმეტულ მდგომარეობაში. ტემპერატურა 4 გრადუსზე მეტი არ უნდა იყოს... საკმარისია, რომელიმე მათგანს თავი მოვხადოთ, რომ მაცივარში ყოფნის მიუხედავად, სამი დღის შემდეგ თითოეულ მათგანში ბაქტერიები დაიწყებენ გამრავლებას. რაც შეეხება ნაღებსა და მაწონს, მათში არსებული ცხიმები ჰაერის ზემოქმედების შედეგად იჟანგება, ღებულობს მომწარო გემოს და საკვებად უვარგისი ხდება. გვახსოვდეს: **თუ მაწონსა და ნაღებს თავსახურს მოვხსნით, ორი-სამი დღის შემდეგ მათი საკვებად მიღება არ შეიძლება!**

საერთოდ, უნდა ვიცოდეთ ე.წ. „2 საათის წესის“ შესახებ. ყველა ის პროდუქტი, რომლის შენახვაც სიცივეს საჭიროებს, სახლში, ოთახის ტემპერატურაზე, 2 საათზე მეტხანს არ უნდა დავაყოვნოთ და მაშინვე მაცივარში შევინახოთ! ამასთან, ეს პროდუქტები მაცივრის ქვედა იარუსზე უნდა მოვათავსოთ, რადგან ცივი ჰაერი ყოველთვის დაბლა მიიწევს და მაცივრის ქვედა იარუსზე, როგორც წესი, ყველაზე დაბალი ტემპერატურაა, **ხოლო ყველაზე მაღალი ტემპერატურა მაცივრის იმ ნაწილშია, სადაც ე.წ. კვერცხის ჩასალაგებელი ნიშაა დაყენებული.** გვახსოვდეს, რომ კვერცხი მაცივრის კარის თაროზე არ შევინახოთ და მაცივრის სიღრმეში, ქვედა იარუსზე მოვათავსოთ!

**— რას იტყვით ხორცეულისა და თევზეულის შენახვის წესებსა და ვადებზე?**

— მოსახლეობის უმრავლესობა გაყინულ ხორცსა და თევზს ყიდულობს. არადა, მათი საკვებად მოხმარება და შემდეგ დარჩენილი ნაწილის ხელახალი გაყინვა, დაუშვებელია! **დიახ, თევზისა და ხორცის ორჯერ გაყინვა სახიფათოა, რადგან ასეთ დროს შესაძლოა, პროდუქტში საშიში ბაქტერიები გავრცელდეს, რომლებიც მაცივარშიც გააგრძელებენ გამრავლებას.** ამიტომ, როცა ჩვენ გაყინულ ხორცს, თევზს ან სუბპროდუქტებს ვყიდულობთ, ყურადღება მივაქციოთ ბრიკეტებს, რომელიც სწორი ფორმისა უნდა იყოს. დეფორმირებული ბრიკეტები იმის ნიშანია, რომ ხორცი ან თევზი ერთხელ ან რამდენჯერმე გალღვა და თავიდან გაყინეს!

**— ყოველ კუთხეში ე.წ. საცხობები და საკონდიტროები იხსნება. რას იტყვით ნამცხვრებისა და ტორტების შენახვის ვადებზე?**

— მარგარინი რომ ტრანსცხიმია და კიბოს იწვევს, ამის შესახებ არაერთგზის გვისაუბრია. აქედან გამომდინარე, **მარგარინზე დამზადებული ნამცხვარი და ტორტი მავნებელია და არ გაეკაროთ!** რაც შეეხება კარაქს, მიმაჩნია, რომ ზაფხულის ხვატის პირობებში ნამცხვრებსა და ტორტებზე საგანგებო კონტროლია საჭირო, რადგან კარაქი და კარაქზე დამზადებული პროდუქტები თავიანთ თვისებებს მხოლოდ დაბალი ტემპერატურის პირობებში ინარჩუნებენ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ მსგავსი პირობები ე.წ. საცხობებისა და საკონდიტროების უმრავლესობაში არ არსებობს! ნამცხვარი და ტორტი მალფუჭებადი პროდუქტებია და ორი-სამი დღის შემდეგ მათი ჭამა არ შეიძლება!

**— ცნობილია, რომ თაფლი დიდხანს ძლებს... აქვს თუ არა მას შენახვის ვადა?**

— **თუ თაფლი ნატურალურია, მაშინ ის ათასეული წლები ძლებს.** ეს განპირობებულია განსაკუთრებული უნარით, გაანადგუროს მასში მოხვედრილი ნებისმიერი ბაქტერია თუ მიკრობი. ალექსანდრე მაკედონელის გვამი რომ არ გახრწნილიყო, ბაბილონიდან ალექსანდრიამდე ტრანსპორტირებისას სწორედ თაფლში ჩაასვენეს. უძველესი ბატის ხორცის კონსერვიც, რომელიც ფარაონის სამარხში აღმოაჩინეს, სწორედ თაფლში იყო შენახული და დაბალზამებული. **თაფლი ერთადერთი ბუნებრივი პროდუქტია, რომელსაც შენახვის ვადა არა აქვს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



# სახიფათოა!»
















## კვირგვინოსნები

**ნუცა შანშიაშვილი**
*მომღერალი*



თუ გინდა **წყნარი, წარმატებული ცხოვრება,** უნდა წახვიდე დათმობაზე.

„ახალი თაობა“

**მარიტა როხვაძე**
*მომღერალი*



მინდა, ერთხელ და სამუდამოდ ვთქვა ხმამაღლა და ყველამ გაიგოს: **აღარ ვსაუბრობ ჩემს პირად ურთიერთობებზე,** რადგან არც განხილვის საგნად მინდა, იქცეს და მითუმეტეს, არც თვალი მეცეს. „თბილისელები“

**ნუკა კვალიაშვილი**
*მომღერალი*



მადლობელი ვარ, რომ **90 პროცენტზე მეტი ცუდი ვნახე, ვიდრე კარგი** და მაინც ასეთი ვარ — ძლიერი და ძალიან კეთილი.

„თბილისელები“

**ზურაბ შარია**
*მსახიობი*



თუ საჭიროა, **შეიძლება, ვინმეს ვუკბინო კიდეც.** დედამიწის ზურგზე **ყველაზე მეტად ვერ ვიტან ფარდების ჩამოკიდებას.** ჭირის დღესავით მეზიზღება.

„თბილისელები“

**გივი კაკაია**
*„კომედი შოუს“ ყოფილი მსახიობი*



არ მიყვარს **ჩემი სკეტჩებისა** და, საერთოდ, ტელევიზორის ყურება. **სკეტჩი** 7 წლის განმავლობაში, ალბათ, სულ ორჯერ მაქვს ნანახი.

„თბილისელები“

**ელენე ფოჩხუა**
*მომღერალი*



ჩემს მეუღლეს **ბევრი რამ დავუთმე და ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყეთ.** ყველაფრის მიუხედავად, **ოჯახი მაინც ვერ შევინარჩუნე** — მას ახლა ცოლიც ჰყავს და შვილიც.

„სარკე“

# რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.***



დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-36




## გია ხუხაშვილი: ბიძინა მომიტრიალდა და მეკითხება, ვიცი თუ არა, რომ არსებობს რაღაც ციხის კადრები?

მას შემდეგ, რაც **გია ხუხაშვილმა** დეტალურად აღწერა, თუ როგორ აეჭვიანა **ბიძინა ივანიშვილმა** სააკაშვილი ვანო მერაბიშვილის ქებით და როგორ „დააწინაურებინა“ იგი შს მინისტრობიდან პრემიერის თანამდებობაზე, მემუარისტი 1 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების წინ მომხდარ „ციხის კადრების“ სკანდალს იხსენებს:

> ***„ერთ დღეს ბიძინას კაბინეტში ვსხედვართ და მიმდინარე პროცესზე ვსაუბრობთ...***
>
> ***შემოდის ღარიბაშვილი. ჩვეულზე მეტად დაძაბული მეჩვენა. მივიდა ბიძინასთან და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ბიძინა არ იმჩნევს, მაგრამ ეტყობა, რომ ისიც საგონებელში ჩავარდა.***
>
> ***მომიტრიალდა და მეკითხება, ვიცი თუ არა, რომ არსებობს რაღაც ციხის კადრები?***
>
> ***ვუპასუხე, რომ არ ვარ საქმის კურსში.***
>
> ***უცებ დგება ფეხზე, აივანზე გადის და იქ გვიხმობს“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 183).*

ხუხაშვილის ამ მონათხრობიდან გაურკვეველია, რამდენად საფუძვლიანად იყო **ბიძინა ივანიშვილი** ჩართული იმ ციხის კადრების გადაღება-გავრცელების ოპერაციაში, თუმცა, კვლავ მემუარისტს მოვუსმინოთ:

> *„მოკლედ გვიყვება ციხის კადრების შესახებ და გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ* ***„დასწრებაზე ითამაშა“,*** *უკვე გაუშვა ციხეში ძალადობის კადრების საკუთარი დადგმული ვერსია და* ***„გამოკვეთა პასუხისმგებელი პირები“.***
>
> *აშკარა იყო —* ***მიუხედავად იმისა, რომ ციხის კადრების შესახებ ინფორმაცია სრულიად გასაიდუმლოებული იყო, ინფორმაციამ გაჟონა და ხელისუფლებამ, მათი გამოქვეყნების წინმსწრები დისკრედიტაციის მიზნით, წამოიწყო კონტრთამაში. თამაში კი იმაში მდგომარეობდა, რომ „გაირკვეოდა“ ამ კადრების ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით დადგმის ფაქტი. პროპაგანდა ამას კარგად შეფუთავდა, რის შემდეგაც, რაც არ უნდა გამოქვეყნებულიყო, ყველაფერს დადგმული დაერქმეოდა...“*** *(იქვე, გვ. 183).*

ანუ ფაქტია, რომ **ბიძინა ივანიშვილი** და **ირაკლი ღარიბაშვილი,** რომელმაც სათათბირო ოთახში შემოსულმა პირადად შეატყობინა ივანიშვილს ციხის კადრების სახელისუფლებო ვერსიის გავრცელების ამბავი, საქმის კურსში იყვნენ ამ კადრების არსებობის შესახებ, განსხვავებით **ხუხაშვილისაგან,** რომელმაც პირადად **ბიძინა ივანიშვილისაგან** გაიგო ეს:

> ***„აივანზე ბლიცთათბირზე გადაწყდა, რომ შექმნილ ცაიტნოტში ყოველ საათსა და წუთს მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თუ პროპაგანდა საკმარისად ეფექტურად იმუშავებდა, გარკვეული დროის შემდეგ კადრების გამოჩენა აზრს დაკარგავდა. ამიტომ გადაწყდა, რომ ნამდვილი კადრების მფლობელს უსწრაფესად უნდა დაეწყო მათი გამოქვეყნება. ასეც მოხდა...“*** *(იქვე, გვ. 184).*

მემუარისტის ამ ციტატიდანაც ჩანს, რომ **ბიძინა ივანიშვილი** აქტიურად იყო ჩართული ამ ციხის კადრების ამბავში, რომლითაც უნდა გამოაშკარავებულიყო და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილიყო ის ჯოჯოხეთი, რომელსაც სააკაშვილის პათოლოგიური რეჟიმი უწყობდა პატიმრებს! უცნაური ის იქნებოდა, რომ ივანიშვილს ხელი არ შეეწყო ამ უსაზიზღრესი დანაშაულის გამომზეურებაში!




შემდეგ ხუხაშვილი იხსენებს, რა კადრები გამოქვეყნდა:

> ***„პირველ რიგში, გამოქვეყნდა კადრები ე.წ. „კარანტინის“ შესახებ, რომელთა უარყოფა და გადაფარვა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, რადგან იქ კარგად ჩანან სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები, მათ შორის მაღალჩინოსნები, რომლებიც ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ პატიმრებს. ანუ სრულიად აშკარად დასტურდებოდა მათი მხრიდან სისტემური დანაშაული.***
>
> ***თავად ეს ვიდეო ყველაზე „უვნებელია“, მაგრამ სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური, რადგან ხელისუფლების ჩანაფიქრის განხორციელება „კადრების დადგმის“ შესახებ სწორედ ამ ვიდეოს გამო გახდა შეუძლებელი“*** (იქვე, გვ. 184).

რაც შეეხება სხვა კადრებს (მაგალითად, პატიმრისთვის უკანატანში ცოცხის გაკეთების ვიდეოს), ხუხაშვილის აზრით, მათ არჩევნების ბედის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშიათ, რადგან სააკაშვილის რეჟიმისადმი შიშის ფაქტორი საზოგადოებაში უკვე მოხსნილი იყოო!

რა თქმა უნდა, ძნელია, ზუსტად გაზომო, რამ უფრო იმოქმედა საზოგადოებაზე: **„კარანტინის კადრებმა“** თუ **„ცოცხით წამებამ“,** მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს ის ბოლო წვეთი იყო, საზოგადოება რომ დარაზმა და საარჩევნო უბნებისკენ წაიყვანა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ხელისუფლებიდან გასაპანღურებლად!

ამის შემდეგ, მემუარისტი თავად სვამს ძალიან მნიშვნელოვან კითხვას და თავადვე პასუხობს:

> ***„ალბათ, გაინტერესებთ, რატომ არ ვიცოდი მე, ბიძინას მხრიდან ესოდენ მაღალი ნდობით აღჭურვილმა ადამიანმა, ამ კადრების არსებობის შესახებ? ნუთუ ბიძინა არ მენდობოდა და ამიტომ არ მეუბნებოდა?***
>
> ***აქ ნდობა არ იყო მთავარი. ნებისმიერ სისტემაში, სადაც მიმუშავია და სადაც კარგად იცნობენ ჩემს ხასიათს, ყოველთვის და ყველა ერიდებოდა ჩემთან ე.წ. სპეციფიკური მორალური კომპრომისის ზღვარზე გამავალი თემების განხილვას.***
>
> ***ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა, მავანთა აზრით, მე რომ მცოდნოდა ამ კადრების არსებობის შესახებ, გაჭირდებოდა მათი გამოქვეყნების თუნდაც ცოტა ხნით, პოლიტიკური პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე გადადება“*** *(იქვე, გვ. 185).*

ანუ **ხუხაშვილმა** ამით თქვა, მე ისეთი მორალური ადამიანი ვარ, რომ ბიძინამ არ ჩამაყენა ციხის კადრების არსებობის საქმის კურსშიო! მოკლედ, ამ საქმეში ჩემი ნდობა არ შეიძლებოდაო!

თუმცა, იქვე თვითონვე ამბობს:

> ***„ხშირად მიფიქრია, მართლა როგორ მოვიქცეოდი ასეთ სიტუაციაში, მოვითხოვდი თუ არა, რომ ეს ინფორმაცია მიღებისთანავე გასაჯაროებულიყო...***
>
> ***ზუსტი პასუხი არ მაქვს. დღემდე არ ვიცი, რაზე ვიყავი წამსვლელი სასტიკი პოლიტიკური ბრძოლების დროს. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად პოლიტიკური პროცესის ეპიცენტრში ვიყავი, ცხოვრებას არასოდეს მოუწყვია ჩემთვის ისეთი გამოცდა, რომ ზუსტად მცოდნოდა ამ კითხვაზე პასუხი“*** *(იქვე, გვ. 185).*

მოკლედ,

**ციხის კადრების გასაჯაროებამ სააკაშვილის რეჟიმს უდიდესი დარტყმა მიაყენა და სრულიად საქართველოს დაანახვა, რომ ნაცბანდის მმართველობამ უკვე გადალახა კაციჭამიობის „წითელი ხაზები“ და ამ ხელისუფლების მართვის სადავეებთან დატოვება ისტორიული დანაშაული იქნებოდა!**

*გიორგი გიგაური*

*გაგრძელება იქნება*



*შოვის ტრაგედიამ ე.წ. ოპოზიციას და ათასი ჯურის მავნებელსა თუ თაღლითს კიდევ ერთხელ მოუწყო ლუსტრაცია. მთავარი თემა, რომელიც მათ წინა პლანზე წამოსწიეს, ეს იყო ვითომ დაგვიანება მაშველების მხრიდან და დაზარალებულთა მიტოვება მთელი ღამით. როგორც მოგვიანებით შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განმარტა, მაშველებს არავინ მიუტოვებიათ და ინტენსიურად მუშაობდნენ სითბური დრონები. არადა, ბევრმა ვერ გაიგო, ტერმინის მნიშვნელობა და რა შესაძლებლობები გააჩნია თანამედროვე ციფრულ ტექნიკას. სწორედ ამ თემაზე საუბრობს იუსტიციის სამინისტროს ციფრული მმართველობის სააგენტოს, ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თორნიკე ზედელაშვილი.*





თორნიკე ზედელაშვილი

# ვაჰ, დრონი, დრონი!



სითბური კამერებით აღჭურვილი **დრონები** უკვე სასწაულებს ახდენენ. თუ მეწყრის ჩამოწოლის ან ღვარცოფის მოვარდნის შემდეგ სადმე ცოცხალი არსება იქნებოდა, **დრონი** მყისიერად აღმოაჩენდა. ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი — **დროზე რომ მიეხედათ, ამდენი მსხვერპლი არ იქნებოდაო.** ეს გახლავთ თითიდან გამოწოვილი სიცრუე. არადა, მაშველებს ტრაგედიის პირველსავე ღამეს სიცოცხლეც რომ გაეწირათ, შედეგი იგივე იქნებოდა.

სამაშველო ოპერაციებში **დრონების** გამოყენება დღეს მსოფლიოში უკვე აპრობირებული მეთოდია, თუმცა, სამწუხაროდ, თანამედროვე ტექნოლოგიებში არათუ ჩვენი პოლიტიკოსები, ე.წ. ექსპერტებიც ვერ ერკვევიან! მე არ ვამბობ, რომ პოლიტიკოსები თუ ექსპერტები წვრილმან ნიუანსებში უნდა ერკვეოდნენ, მაგრამ, როცა ტელევიზიით გამოდიხარ და მეორეკლასელის დონეზე მსჯელობ, ეს უკვე აუტანელია. იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. ჟურნალისტებზე, რომლებმაც **ვახტანგ გომელაურს** ისეთი შეკითხვები დაუსვეს, კაცი ლამის ჭკუიდან გადაიყვანეს.

**დრონს** უამრავი უპირატესობა გააჩნია ვერტმფრენთან შედარებით, რომელსაც რელიეფურ გარემოში ფრენის ტრაექტორია შეზღუდული აქვს. სამაგიეროდ, **დრონი** ბევრად მცირე დროის მონაკვეთში ფარავს უზარმაზარ ტერიტორიას და ელვის სისწრაფით აგზავნის სათანადო მონაცემებს მაშველებთან ლამის 100 კილომეტრის რადიუსში. **ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება, ინფორმაცია მივიღოთ ისეთი მიუდგომელი ტერიტორიიდანაც კი, სადაც ფეხის დადგმა შეუძლებელია რელიეფისა თუ მეტეოროლოგიური პირობების გამო.**

დღეს მსოფლიოში იწარმოება **სითბური კამერით აღჭურვილი უამრავი სახის დრონი.** ჩვენ შეგვიძლია, განვიხილოთ ერთ-ერთი მოდელი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება სამაშველო თუ სამხედრო ოპერაციებში. ეს გახლავთ **დრონი** SKYDIO X2, რომელსაც შეუძლია, იფრინოს დიდ და მცირე სიმაღლეებზე, თან ისეთ ადგილებში, რომლებიც მიუწვდომელია მაშველებისთვის.





აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **დრონის** უპირატესობა აშკარაა არამხოლოდ ფინანსების დაზოგვის კუთხით, არამედ მსხვერპლის თავიდან არიდების მხრივაც. მოგეხსენებათ, **ხშირია შემთხვევები, როცა მაშველები სერიოზულად ზარალდებიან** — ალბათ, გახსოვთ, რა მოხდა გუდაურში 2022 წლის 29 ივლისს, სადაც სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი „მი 8" კლდეს შეეჯახა და ჰაერშივე აფეთქდა.

**დრონებზე** საუბრისას, საგანგებოდ უნდა გამოვყოთ **თერმული კამერით აღჭურვილი დრონი,** რომელსაც შეუძლია, დააფიქსიროს არათუ ადამიანი, არამედ ტემპერატურის ოდნავი ცვლილებაც კი. ცნობილია, რომ ცოცხალი ადამიანის ორგანიზმი ნებისმიერ შემთხვევაში გამოყოფს უხილავ სითბოს, რომელსაც **დრონი** უპრობლემოდ ამჩნევს. მაგალითად, **დრონი** SKYDIO X2 იყენებს კამერის ინფრაწითელ სენსორებს, რომლებიც აღიქვამს ტემპერატურის ნებისმიერ ცვლილებას.

სენსორი წამებში ამუშავებს ინფრაწითელ გამოსახულებას, აქცევს სურათად და მაშველებს შეუძლიათ, **ფერების სითბური მახასიათებლებით აღმოაჩინონ ცოცხალი ადამიანები.**

არსებობს თერმული გამოსახულების განსხვავებული ვარიანტები — ასე ვთქვათ, ფერის პალიტრები. სამძებრო-სამაშველო სამუშაოების დროს ყველაზე ეფექტურია შავ-თეთრი, ე.წ. ცხელი გამოსახულება. ამ შემთხვევაში ყველაფერი გამოჩნდება ნაცრისფრად, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც ნაკლებ ან მეტ სითბოს გამოსცემენ. მაგალითად, შავი იქნება ობიექტი, რომელიც ნაკლებ სითბოს გამოსცემს, ხოლო თეთრად გამოისახება ობიექტი, რომელიც ყველაზე მეტ სითბოს ასხივებს.

ჩვენს მიერ ნახსენებ SKYDIO-ს მოდელს აქვს SKYDIO CLOUD-ი, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოსახულება პირდაპირ ეთერში გადასცეს, რათა საქმეში ჩართულმა სხვა სამსახურებმა, რომლებიც არ იმყოფებიან ადგილზე, შეძლონ დაკვირვება და მიიღონ გადაწყვეტილება. **შოვში დატრიალებული ტრაგედიის პერიოდში აღმოჩნდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საპატიო მიზეზის გამო საქართველოში არ იმყოფებოდა, რის გამოც ოპოზიციონერებმა ერთი ამბავი ატეხეს, გომელაური დაიმალა და, ალბათ, მალე გადააყენებენო.** მავანმა ჰავაის კუნძულებზე დასვენებაც კი დასდო ბრალად, არადა, სამიოდე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ იგი მომაკვდავ მამას ადგა თავზე, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.

**ცნობისათვის:** დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში შესაძლებელია, ადამიანი დედამიწის რომელ წერტილშიც არ უნდა იმყოფებოდეს, მუდმივად იყოს საქმის კურსში ამა თუ იმ კონკრეტულ წერტილში არსებულ მდგომარეობაზე და დისტანციურად გადაწყვეტილებებიც მიიღოს. ცხადია, ადგილზე სიტუაციის შესწავლა შეიძლება უფრო ეფექტური იყოს, მაგრამ ამა თუ იმ შემთხვევაში არც თანამედროვე ტექნიკის გამოყენებაა ურიგო. **დარწმუნებული ვარ, ვახტანგ გომელაური, დრონების წყალობით, თავიდანვე იყო სამაშველო პროცესში ჩართული და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც იღებდა.** სხვათაშორის, ამ ე.წ. სკანდალმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ **მოფახფახებულმა ოპოზიციამ** ვერ აუღო ალღო უახლეს ტექნოლოგიებს და აგრესიის მორიგი რაუნდი მოაწყო.

რაც შეეხება **დრონების** ტექნიკურ შესაძლებლობებს, ის მოდელი, რომელიც სამაგალითოდ მოვიტანეთ, აღჭურვილია გლობალური ადგილმდებარეობის სისტემით (GPS) და სამაშველო ჯგუფები მონიტორზე მის გადაადგილებასაც აფიქსირებენ. შესაბამისად, სამაშველო ჯგუფს შეუძლია, ზუსტად გავიდეს ცხელ წერტილში, განსაზღვროს უსაფრთხო გადაადგილების მარშრუტი. **თერმული კამერით აღჭურვილი დრონების** გამოყენებისას შესაძლებელია, ყურადღება არ მივაქციოთ ატმოსფერულ პირობებს, კვამლს, მტვერს. დამკვირვებელს ეძლევა სუფთა ხედვის არეალი დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

ზემოხსენებულის გარდა, მსოფლიოში არსებობს **დრონის** სხვა მოდელებიც, მაგალითად, ZENMUSE H20T, რომელიც აღჭურვილია ორმაგი ფიქსირებული კამერით და იღებს ინფრაწითელ გამოსხივებას 7,5-დან 13,5 მიკრომეტრამდე დიაპაზონში. უნივერსალური შესაძლებლობისაა ANAFITHERMAL-იც რადიომეტრიული სენსორით ზუსტი ტემპერატურული მაჩვენებლებისთვის.

ასე რომ, ე.წ. ოპოზიციის მორიგი მცდელობა, ააგოროს სკანდალი ხელისუფლების წინააღმდეგ, უსაგნოა.



მაღალი ხარისხის **თერმული კამერით აღჭურვილი დრონები** სრულად აკმაყოფილებს სამძებრო-სამაშველო პროცესების მართვის სტანდარტებს და იმის მტკიცება, თითქოს ტალახის ქვეშ ადამიანები გმინავდნენ და მათ არავინ მიეხმარა, არის დიდი ტყუილი!

# სიმსუქნე 21-ე საუკუნის ეპიდემიაა!



***სიმსუქნე წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. მსოფლიოში სიმსუქნით დაავადებულ პირთა სწრაფი ზრდის გამო სიმსუქნე 21-ე საუკუნის ეპიდემიად არის გამოცხადებული.***

გასული საუკუნის **70-იან წლებში** ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანათა ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით **30 პროცენტის** წონა ნორმას **20 პროცენტით** და მეტით აჭარბებდა. დღეისათვის, **50 წლის** შემდეგ სხვადასხვა ხარისხით გამოხატული სიმსუქნე მოსახლეობის **40-60 პროცენტს** აღენიშნება. ამასთან, სიმსუქნის გავრცელება მატულობს როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ასევე ე.წ. **„მესამე მსოფლიოდ"** წოდებულ ქვეყნებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები გვამცნობენ, რომ მსოფლიოში **300 მილიონ ადამიანს** სიმსუქნე ჩამოყალიბებული აქვს უკვე როგორც დაავადება, ხოლო **750 მილიონს** ჭარბი წონა აწუხებს.

გარდა იმისა, რომ სიმსუქნე ორგანიზმში ჭარბი ცხიმის დაგროვებაა, ეს არის ნივთიერებათა ცვლის ქრონიკული დაავადება, რომელიც ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილის განვითარებით ხასიათდება, საჭიროებს სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და აქვს რეციდივის განვითარების საკმაოდ მაღალი რისკი. სიმსუქნე ხშირად შერწყმულია ისეთ პათოლოგიებთან, როგორიცაა **შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, დისლიპიდემია** (ცხიმოვანი ცვლის დარღვევა), **გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია, ღამის აპნოე** (ძილში სუნთქვის გაჩერება), **ნაღველკენჭოვანი დაავადება, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, რეპროდუქციული სფეროს დარღვევები, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები.**

სიმსუქნის გამოხატულების რაოდენობრივი შეფასების მიზნით გამოითვლება სხეულის მასის ინდექსი, ე.წ. **კეტლეს ინდექსი,** ამისათვის საჭიროა სხეულის მასის (კგ) გაყოფა სიმაღლის კვადრატზე ($სმ^2$). სხეულის მასის ინდექსის მიხედვით განასხვავებენ: **წონის დეფიციტის, ნორმალური სხეულის მასის, ჭარბი სხეულის მასის და სიმსუქნის I, II და III ხარისხის მქონე პირებს,** ანუ:

**წონის დეფიციტი — 18,5 $კგ/მ^2$-ზე ნაკლები სხეულის მასის ინდექსი;**
**ნორმალური სხეულის მასა — 18,5-24,9 $კგ/მ^2$;**
**ჭარბი სხეულის მასა — 25,0-29,9 $კგ/მ^3$;**
**სიმსუქნის I ხარისხი — 30,0-34,9 $კგ/მ^2$;**
**სიმსუქნის II ხარისხი — 35,0-39,9 $კგ/მ^2$;**
**სიმსუქნის III ხარისხი — 40,0 $კგ/მ^2$ და ზევით.**

სიმსუქნის მკურნალობის ეფექტურ, არამედიკამენტურ საშუალებას მიეკუთვნება დაბალკალორიული დიეტა და ფიზიკური ვარჯიში. თვით სიტყვა **„დიეტა"** ნიშნავს სწორ, ჯანმრთელ, დაბალანსებულ კვებას, და გულისხმობს დღეში 5-ჯერ საკვების მიღებას. დიეტა არ ნიშნავს შიმშილს. თითოეული პირისათვის დიეტა უნდა იყოს შედგენილი ინდივიდუალურად, რიგი კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, ვინაიდან არ არსებობს უნივერსალური დიეტა, რომელიც ერთნაირი ეფექტურობით დააკლებინებდა წონაში ყველას. გარდა ამისა, დიეტის თვითნებური დაცვა, ანუ ექიმის მეთვალყურეობის გარეშე, მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს რაციონში **მიკროელემენტების, ამინომჟავების** ის რაოდენობა, რაც აუცილებელია. თვითნებურ დიეტებს (განსაკუთრებით მოზარდებში) ხშირად თან ახლავს ისეთი დარღვევები, როგორიცაა **სისხლში ჰემოგლობინის დაქვეითება, თმის ცვენა, ფრჩხილების მტვრევა, ნაღვლის ბუშტის გაღიზიანება, შეკრულობა.** სწორედ ამიტომ, დიეტა უნდა იყოს აუცილებლად ექიმის მიერ შედგენილი. რა სხვაობაა ექიმისა და პაციენტის მოლოდინს შორის წონის კლებასთან მიმართებაში? პაციენტები თავის მდგომარეობას (სიმსუქნეს) აღიქვამენ, როგორც **კოსმეტიკურ პრობლემას, სურთ წონაში დაკლება რაც შეიძლება მოკლე დროში, ჰგონიათ, რომ მკურნალობა ატარებს ხანმოკლე, წყვეტილ ხასიათს, ანუ, მიაჩნიათ, რომ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ისინი შეასრულებენ და დაჰყვებიან ექიმის რეკომენდაციას, მაგრამ შემდეგ მათთვის ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ კვებას.** რაც შეეხება ექიმს — მთავარია ის, რომ **პაციენტმა გაითავისოს, თუ რას ნიშნავს სიმსუქნე, სწორი კვების გამომუშავება,** ანუ ის, რომ სწორი კვების ჩვევა და რეჟიმი პაციენტს უნდა გამოვუსწოროთ და შევუნარჩუნოთ მთელი სიცოცხლის მანძილზე, მნიშვნელოვანია პაციენტთა **მეტაბოლურ დარღვევათა ალაგება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.** მნიშვნელობა ენიჭება სხეულის მასის შემცირების ეტაპობრიობას, **რაც უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობს პაციენტი, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ იგი დაკლებულ წონას კვლავ მოიმატებს.** ხშირად ის პირები, რომლებიც წონის კორექციის პროგრამას თვითნებურად წყვეტენ, უბრუნდებიან იმ წონას ან გადააჭარბებენ კიდეც საწყის წონას, საიდანაც დაიწყეს მკურნალობა.

## ნებისმიერმა ადამიანმა და არამარტო დიეტაზე მყოფმა პირმა გარდა სწორი კვებისა, დღის მანძილზე უნდა მიიღოს მინიმუმ 1,5 ლ სითხე.

რაც შეეხება დღიურ რაციონში **ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობას,** ეს შემდეგნაირად უნდა იყოს განაწილებული: **ცხიმები — არა უმეტეს 30 პროცენტისა** (აქედან — 10 პროცენტი ცხოველური, მცენარეული — 20 პროცენტი), **ნახშირწყლები — 50 პროცენტი,** ხოლო **ცილები — 15-20 პროცენტი.**

ჭარბი წონის მქონე პირთა დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა თავიდან აგვაცილებს სიმსუქნის, როგორც დაავადების ჩამოყალიბებას და მთელი რიგი თანმხლები დაავადებების განვითარებას, რომელთა შეხამება სიმსუქნესთან ჯანმრთელობისათვის სავალალო შედეგს იძლევა და მოსახლეობის ინვალიდიზაციასაც კი განაპირობებს.



***ამ დიეტის ძირითად რაციონს ბოსტნეული და ხილი შეადგენს. დიეტის დაცვა დაგეხმარებათ არა მარტო ზედმეტი წონის მოშორებაში, არამედ გაგიუმჯობესებთ ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. შვიდი დღის განმავლობაში უნდა გამოიჩინოთ მოთმინება და აბსოლუტურად გამორიცხოთ ხორცისგან მომზადებული კერძების მიღება.***




### ორშაბათი:

საუზმე: **1 ჭიქა რძე, პატარა ნაჭერი ორცხობილა.**

სადილი: **200 გრ პომიდვრის სალათი (შემადგენლობით:** დაჭრილი პომიდორი, ბულგარული წიწაკა, ხახვი და ოხრახუში). მიირთვით 1 ცალი მწვანე ვაშლი და ფორთოხალი.

ვახშამი: **250 გრამი წვრილად დაჭრილი კომბოსტო (შეზავებული ლიმონის წვენით). 150 გრამი ნებისმიერი ხილი, 1 ჭიქა მინერალური წყალი.**

### სამშაბათი:

საუზმე: **1 ჭიქა მინერალური წყალი, 1 დიდი ვაშლი.**

სადილი: **200 გრამი მოხარშული თევზი, 200 გრამი ხილის სალათი:** დაჭრილი ვაშლი, მსხალი, შავი ქლიავი, 1 ფორთოხალი.

ვახშამი: **ზეთში შემწვარი 250 გრამი ბადრიჯანი, 3 პატარა პომიდორი, 1 საშუალო ზომის პური. 1 ჭიქა პომიდვრის წვენი.**

### ოთხშაბათი:

საუზმე: **1 ჭიქა რძე, 2 ნაჭერი ორცხობილა.**

სადილი: **200 გრამი მოხარშული ლობიო, 200 გრამი სალათი:** დაჭრილი პომიდორი, კიტრი, ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი.

ვახშამი: **200 გრამი მოხარშული ჭარხალი, 2 ვაშლი, ფორთოხალი, პატარა ნაჭერი პური, 1 პომიდორი, 1 ჭიქა პომიდვრის წვენი.**

### ხუთშაბათი:

საუზმე: **1 ჭიქა მინერალური წყალი, 1 ცალი ფუნთუშა.**

სადილი: **250 გრამი მოხარშული თევზი, 200 გრამი ნებისმიერი ბოსტნეულის სალათი, 1 ჭიქა ვაშლის წვენი.**

ვახშამი: **200 გრამი მოხარშული ლობიო, 200 გრამი გახეხილი სტაფილო (მცირე რაოდენობით შეურიეთ გახეხილი ყველი, 1 ჩაის კოვზი კარაქი, ნიორი). 1 ჭიქა ჩაი და საშუალო ზომის ორცხობილა.**

### პარასკევი:

საუზმე: **1 ჭიქა რძე, 1 ცალი ფუნთუშა.**

სადილი: **200 გრამი გახეხილი კომბოსტო (შეაზავეთ ლიმონის წვენით). 1 ჭიქა იოგურტი, 2 ვაშლი.**

ვახშამი: **200 გრამი მოხარშული თევზი, 200 გრამი მცენარეულ ზეთში შემწვარი ბადრიჯანი (დაამატეთ მცირე რაოდენობით გახეხილი სტაფილო). 1 ნაჭერი შავი პური. 1 ჭიქა მინერალური წყალი.**

### შაბათი:

საუზმე: **1 ჭიქა ვაშლის წვენი, 1 ცალი ფორთოხალი.**

სადილი: **200 გრამი გახეხილი სტაფილო (შეაზავეთ მცენარეული ზეთით), 200 გრამი სალათი:** დაჭრილი პომიდორი, ბულგარული წიწაკა, დაჭრილი ხახვი. 1 ჭიქა მინერალური წყალი.

ვახშამი: **150 გრამი ყველი, 2 ცალი ორცხობილა. 100 გრამი მარწყვი. 1 ჭიქა რძე ან 2 ჭიქა იოგურტი.**

### კვირა:

საუზმე: **1 ჭიქა რძე, 2 ცალი ორცხობილა.**

სადილი: **200 გრამი მოხარშული თევზი, 200 გრამი დაჭრილი კომბოსტო (ლიმონის წვენით შეზავებული), 1 ჭიქა მინერალური წყალი.**

ვახშამი: **200 გრამი მოხარშული ლობიო, 100 გრამი ყველი, 250 გრამი ნებისმიერი ხილი, 1 ჭიქა მინერალური წყალი და ვაშლის წვენი.**

## კვირგვინოსნები

**შოთა არველაძე**
*ვეტერანი ფეხბურთელი*



გვინდა, **ახალი პროექტი წამოვიწყოთ** და საქართველოში სეზონში, მინიმუმ, ერთხელ ჩავატაროთ **მატჩი მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდების მონაწილეობით.** მასპინძელი გუნდი საქართველოს ნაკრები იქნება, რომელშიც ვეტერანი ფეხბურთელები ითამაშებენ. უკვე დაწყებული გვაქვს გუნდებთან მოლაპარაკება და **მატჩის ჩატარების თარიღს მოკლე პერიოდში შეგატყობინებთ.** რაც მნიშვნელოვანია, უახლოესი მატჩი ერთმანეთის გამხნევების და მხარდაჭერის იდეის მატარებელი იქნება.

„ფეისბუქი"

**ლაშა სუხიშვილი**
*დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*



ნელ-ნელა დავდგებით რეალობის წინაშე, როცა **საქართველოში კონკრეტული მყინვარები გაქრება,** შემცირდება ატმოსფერული ნალექების რაოდენობა... სხვანაირად რომ ვთქვათ, **იშვიათად იწვიმებს, მაგრამ, როცა იწვიმებს, იქნება ძალიან ინტენსიური წვიმა,** მაგალითად, ისეთი, როგორიც ვერეს ხეობაში 13 ივნისს მოვიდა.

„კვირის პალიტრა"

**ხათუნა ქოქოსაძე**
*გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსი*



ჩვენ პროგნოზირებული გვქონდა **ცხელი ზაფხული,** რაც ძირითადად დაკავშირებული იყო წყნარ ოკეანეში მიმდინარე მოვლენასთან. **ე.წ. ელ-ნინიოსთან,** რომლის დროსაც ოკეანის წყლის ზედაპირის ტემპერატურა იმატებს. **ელ-ნინიო** მაისში გაჩნდა, აქტიურ ფაზაში კი აგვისტოს დამდეგს გადავიდა. **სექტემბერიც ცხელი გვექნება, შემოდგომა — თბილი.** შემოდგომის ბოლოს შევძლებთ უკვე ვისაუბროთ, **თუ როგორი ზამთარი გველის.**

„კვირის პალიტრა"

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*



საკურორტო ზონის **სიგრძე ერთ კილომეტრამდეა,** ხოლო **ყველაზე განიერი ადგილი 270 მეტრია.** ამ ძალიან პატარა სივრცეში, ვიწრო ხეობაში, **ორ შვეულმფრენზე მეტი ვერ იფრენდა.**

„ახალი თაობა"

***27 წლის წინათ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის სკანდალური წერილი — „ხალხო! პრეზიდენტო! პატრიარქო! გინახავთ გაცოფებული ადამიანის სიკვდილი?“***



# ძაღლთმოყვარენო, გამოიჩინეთ კაცთმოყვარეობა და გვიხსენით ცოფისაგან!

წერილში, რომელსაც დიდი აურზაური მოჰყვა, დეტალურად იყო მოთხრობილი იმ საფრთხის შესახებ, რასაც ცოფი და მისი მთავარი გადამტანი — უპატრონო ძაღლები საზოგადოებას უქმნიდნენ, თანაც იმხანად დაკბენილთა ვაქცინაციაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. და აი, ლამის სამი ათეული წლის შემდეგ ჩვენ კვლავ გვიწევს ამ უბედურებაზე საუბარი, რადგან, როგორც პირადმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, საქართველოში ცოფის ელიმინაციისა და პრევენციის მიმართულებით კვლავ დარჩა კითხვის ნიშნები.

**სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ საქართველოში, სადაც ძაღლი პატრონს დიდი ხანია, ვერ ცნობს, ჩემმა აწ განსვენებულმა ძაღლმაც ვერ იცნო ოჯახის წევრი და ორივენი საგანგებო დაწესებულებაში აღმოჩნდნენ — ერთი — ძაღლების თავშესაფარში, ხოლო მეორე — ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალში, რომელსაც დღემდე „კლინიკურ საავადმყოფოს“ უწოდებენ.**

როგორც **სურსათის უვნებლობის სააგენტომ** დაადგინა და ე.წ. პისიარ ტესტმაც დაგვიდასტურა, ძაღლი დარდისგან მოკვდა და ცხოველს ცოფი არ აღმოაჩნდა! სამაგიეროდ, ჩვენ ვიდრე ამ პასუხს გავიგებდით, ერთმანეთზე ვიყავით მიწყობილი და იმაზე დარდით ვკვდებოდით, ცოფით გარდაცვალების შემთხვევაში ყეფით მოვკვდებოდით, ღრენით თუ წკმუტუნით!

**მოკლედ, შემთხვევა მოხდა თუ არა, მაშინვე გავქანდით ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალში და დავიწყეთ მკურნალობა, რომელიც უკვე, საბედნიეროდ, დასასრულს უახლოვდება.**

რამდენჯერმე მოგვიწია ქუთაისის „კლინიკურში“ მისვლა, სადაც ყველაფერს კრიალი გაუდის. არც ექიმების ყურადღება დაგვკლებია, არც — ლამაზი ექთნების ღიმილი, მაგრამ ერთმა ამბავმა შემაფიქრიანა — **რაბიოლოგიურ განყოფილებაში ძაღლისა და კატის დაკბენილი იმდენი ადამიანი ვნახე და ისეთი ისტორიები მოვისმინე, ხელი საბოლოოდ ჩავიქნიე და მივხვდი, რომ საქართველოში კაცზე მეტი ძაღლი და კატა ცხოვრობს!**

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ უბედურებაზე წერილის დაწერაც ღირდა და განგაშის ატეხაც!

ხალხო! პრეზიდენტო! პატრიარქო!
გინახავთ გაცოფებული ადამიანის სიკვდილი?

*არავის ვუსურვებთ გაცოფებული ადამიანის ხილვას, რომელიც გარდაუვალი სიკვდილის წინ ოთხფეხა ბინადარივით იწყებს ყეფას და გარშემომყოფთა დასაგლეჯად მიიწევს. ასეთია ამ შემზარავი დაავადების ლოგიკური შედეგი, რომელმაც მარტო წლეულს 10 ადამიანის სიცოცხლე წარიტაცა.*

კორინთელს ენდე, მაგრამ მეგობრად არ გაიხადო!
მენანდრე

ასავალ დასავალი

1996 წლის 5-11 ნოემბერი № 25 (117) ფასი 50 თეთრი

— რომელ შრატზეა ლაპარაკი? იცით თუ არა, რომ სამედიცინო რეფორმის წყალობით, დღეს რესპუბლიკაში ფაქტობრივად, ბედის ანაბარა დარჩნენ ძაღლების მიერ დაკბენილნი?!

მთავარი ექიმის მოადგილესთან საუბრიდან გაირკვა ამაზრზენი სინამდვილე: **სტაციონარებში, რომლებიც ცოფის პროფილაქტიკაზე არიან ორიენტირებულნი, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ ცოფის საწინააღმდეგო ინექციის არცერთი ამპულა.** ეს საზღვარგარეთული მედიკამენტი თავად დაზარალებულმა უნდა შეიძინოს და რა გასაკვირია, რომ არცთუ იშვიათად უსახსრობის გამო ბედის ანაბარა რჩება და, საერთოდ, გვერდს უვლის სამედიცინო დაწესებულებას.

— ცოფი ვრცელდება იქ, სადაც სახელმწიფო დაბალ საფეხურზეა, — გვითხრა შემდეგ ბატონმა სულიკომ. ჩვენი ექიმები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ცდილობენ განწირულთა თანადგომას.

რაღა ბევრი ვილაპარაკო, მერამდენე წელია, მორგი არ გააჩნია საავადმყოფოს, რომ გარდაცვლილი მაინც დაასვენოს. მოვიდნენ ხელისუფალნი და ნახონ, როგორი ტანჯვა-წამებით კვდება ცოფიანი კაცი!

თბილისის 26-ე პოლიკლინიკა არცთუ შორეულ წარსულში ძაღლის მიერ დაკბენილთა მკურნალობაზეც იყო სპეციალიზებული. მისმა მთავარმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა,

აში თვით ამ სამსახურის მუშაკებს უკრა თავი.

***რას სჩადით ხალხო! ნაგვის ბუნკერ-ბუნკერ მოლასლასე ეგ ძაღლები ხომ ღამით ისევ თქვენ დაგკბენენ! უშუქობით და ანტისანიტარიით აძაღლებული და გაძაღლებული თბილისის მესვეურნო, შემოჰკარით განგაშის ზარებს!*** თუ ზედმეტი ჰუმანიზმი გვაწუხებს, მაშინ სახელმწიფომ ცხოველებისადმი მოპყრობის ცივილური ფორმებისთვისაც მოიძიოს სახსრები, რათა ნაგავში ჩაზელილ მშიერ მყეფართა სამოსახლო ხვალ-ზეგ ჩვენი შვილების, დედების, დებისა და ძმების სასიკვდილო არენად არ იქცეს!

***ოთხფეხათა მიერ დაცოფილებს სახელმწიფო მაინც ნუღარ დაცოფავს!***

ლაშა ნადარეიშვილი

## რა ხდება ქუთაისის «კლინიკურში»?

დავიწყოთ ისტორიებით: **ერთი მხცოვანი ქუთაისელი ენერგეტიკოსი ძაღლმა ზუსტად ქუთაისის პოლიციის სამმართველოს წინ, დავით აღმაშენებლის გამზირზე, დაკბინა!** ორი ძაღლი მოდიოდა, თურმე, ერთი — დიდი და მეორე — პატარა. ენერგეტიკოსმა სწორედ დიდ ძაღლს დაუწყო შიშით თვალიერება — არიქა, არ დამებღლვნასო! პატარა ძაღლმა „უყურადღებობის“ გამობოღმა გულში ჩაიდო და ენერგეტიკოსს ეცა.

**გალმართში, ფერმის მეპატრონეს, რომელსაც ღამით ტურები მიუვარდნენ, გარემოსა თუ ტურების დამცველებმა მეორე დღეს დაცვის პოლიციის თანამშრომლები შეუსახლეს, რათა განმეორებითი თავდასხმის შემთხვევაში ფერმერს ტურა არ მოეკლა. ხოლო ტურა და მგელი ცხოველებსა და, მითუმეტეს, ადამიანებს შეჭამდნენ თუ არა, ეს არავის მოუკითხავს.**

ზუსტად ანალოგიური ვითარებაა ძაღლებთან მიმართებაშიც... **ძაღლი რომ გკლავდეს და გახრჩობდეს, თუ მოკალი, 2-ათასლარიანი ჯარიმა გარანტირებული გაქვს, მაგრამ ეს ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, რადგან დიდია იმის ალბათობა, რომ ძაღლმიმკვდარი არასამთავრობოებისა და მათი ასაძაღლებელი თუ ჩასაძაღლებელი მფარველების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაგეკისროს და ძაღლის მკვლელობის გამო ვირის აბანოში გიკრან თავი!**

## საქართველოში ადამიანის სიცოცხლეზე მეტად ძაღლის სიცოცხლე ფასობს!

ერთი სიტყვით, საქართველოში საქმე ისე წაიყვანეს, **ადამიანის სიცოცხლეზე მეტად ძაღლის სიცოცხლე ფასობს!**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქართველი მესაჯდომეების გურუმ **ნიკუშა გვარამიამ** მამამისს, აწ განსვენებულ ანზორ გვარამიას გულზე სწორედ ძაღლი დაამარხა.

**საქართველოში ადამიანზე უფრო ძაღლი რომ ეძვირფასებათ, ყველაფრიდან ჩანს. დააკვირდით წყვილებს — ხელში უჭირავთ უამრავი ძაღლი და არცერთი ბავშვი!** შესაბამისად, ქართველები ვწყდებით, ხოლო ძაღლები მრავლდებიან... **სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში საყურიან ბიჭებთან ერთად საყურიანი ძაღლებიც მოგვიმრავლდნენ. ე.წ. ბირკა, რომელიც ძაღლს ყურზე აქვს მიკრული, იმის მაჩვენებელია, რომ ოდესღაც ძაღლი ცოფზე ან სხვა საშიშ სენზე აცრეს, მაგრამ ამ მართლაცდა ძაღლუმადურ ქვეყანაში ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ ე.წ. ბირკიანი ძაღლის აცრა ვადაგასული არ არის და რამე უბედურებას არ გაავრცელებს?**

ქუთაისის „კლინიკურში“ არაერთგზის გავესაუბრე სპეციალისტებს, რომლებიც რაბიოლოგიაში დაბერდნენ და ყველა შეძრწუნებულია — **ყოველ კვირა დაახლოებით ათას კაცს ცოფზე ვცრითო!**

როგორც ექიმები მარწმუნებენ, ეს კატასტროფული მაჩვენებელი იმის აშკარა დასტურია, რომ **ცოფის მომაკვდინებელი ვირუსი ქვეყანაში ცირკულირებს!** ამიტომაც მივმართავ გაძაღლებულ ქართულ სახელმწიფოს და თითოეულ ძაღლთმოყვარეს, გამოიჩინეთ კაცთმოყვარეობაც და დაიცავით საზოგადოება მშიერი და ბედის ანაბარა მიტოვებული მყეფარებისაგან!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**რევაზ გახოკიძე**
*აკადემიკოსი*

დამტკიცებულია, რომ ბავშვის ტვინი უფრო მეტ ელექტრომაგნიტურ ენერგიას შთანთქავს და ზიანდება ტვინის უბნები, ამიტომ **მობილური ტელეფონის გამოყენება არ შეიძლება ბავშვებსა და მოზარდებში 16 წლამდე და ფეხმძიმე ქალებისთვის ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში.** ადამიანი ტელეფონებისა და სმარტფონების აქტიური გამოყენების გამო ფიზიკურად წყდება სოციუმს. **მისი გონებრივი უნარი ქვეითდება და აგრესიის გამომწვევი მიზეზიც აქ უნდა ვეძებოთ.** ტელეფონით მუდმივად არათუ საუბარი, არამედ მისი ტარებაც არ შეიძლება. „რეზონანსი“



**მალხაზ ღოლიძე**
*პურის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი*

შეღავათი, რასაც **გაზის ტარიფის შემცირება** მოგვცემს, ხელფასების მატების მიმართულებით უნდა გამოვიყენოთ, **პურზე კი ფასის კლება მოსალოდნელი არ არის.**

„რეზონანსი“



**ნინო ბაშარული**
*მომღერალი*

**სოფელში ათი იმდენი ხდები, ვიდრე ხარ.** ასე რომ, მივმართავ ხალხს დიდი სიყვარულით: **არ დააყოვნოთ, დაუბრუნდით მიტოვებულ ფუძეს!**

„თბილისელები“



**ეკა ანდრონიკაშვილი**
*მსახიობი*

ჩემი **გვარის მიმართ** საზოგადოება გამოხატავს კეთილგანწყობას და პატივისცემას, ეს ძალიან სასიამოვნოა. **მათ მიმართ პასუხისმგებლობას ვგრძნობ,** რომ ისეთი რამ არ ჩავიდინო, რითიც წინაპრების სახელს შევარცხვენ.

„სარკე“



**გია დავითიანი**
*ანსამბლ „ალილოს“ მომღერალი*

სიმღერა საკმაოდ გვიან, **45 წლის ასაკში** დავიწყე. მანამდე **საოჯახო და სამეგობრო წრის მომღერალი ვიყავი.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი: პლანეტა პლუტონი მალე დიდი ხნით მერწყულში დაიბუდებს

*— ადამიანს სამყარო ძალაუფლებას რისთვის უბოძებს? რას უკავშირდება ძლიერი ნეგატიური ქმედებანი ანდა რომელია ყველაზე გაწშირებული ცოდვა? ინსტინქტურად ადამიანები რისკენ არიან მიმართულნი? მარტოობისა და ყველაფრის დაკარგვის შიში როდის ჩნდება და საპასუხოდ რას მიმართავენ? რა გვართმევს ენერგიას და ამ შემთხვევაში პლანეტა პლუტონის ზემოქმედებით რა და რა გარემოებანი შეიძლება შეიქმნას? როგორ უნდა ავირიდოთ ე.წ. „ბედის დარტყმები“? ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

— როგორც აღნიშნეთ, პლანეტა პლუტონი პასუხისმგებელია ადამიანის წარსული ინკარნაციების კარმაზე და იმ ბევრ ძლიერ ნეგატიურ ქმედებებზე, რომლისგან გათავისუფლება ერთი სიცოცხლის მანძილზე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში პლუტონის სასჯელი შეიძლება გამოიხატოს საშინელ ვითარებაში სიკვდილით, კავშირთა უეცარი გაწყვეტით (ახლობლის სიკვდილით), მძიმე დანაკარგებით და ა.შ. ერთ-ერთ ყველაზე გახშირებულ ცოდვად დაასახელეთ ძალაუფლების გადამეტება...

— ამ კატეგორიას ის ადამიანები მიეკუთვნებიან, რომელნიც წინა ცხოვრებაში დიდი ძალაუფლებით სარგებლობდნენ და წყვეტდნენ, ვინ დაეტოვებინათ ცოცხალი და ვინ მოეკლათ, სამართალი დაევიწყებინათ და თავის სასარგებლოდ ზოგისთვის დიდი ქონება, ფული მიეცათ, ზოგისთვის კი ყველაფერი წაერთმიათ. მოგეხსენებათ, სამყარო ძალაუფლებას გვიბოძებს რაიმე მნიშვნელოვანის შესაქმნელად და არა პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. პროფესიიდან გამომდინარე, ბევრი ადამიანი ყოველდღიურად სიკვდილს ებრძვის ანდა ძალიან რთული გადაწყვეტილების მიღება უწევს. ამ დროს აუცილებელია ემოციების გაკონტროლება, სიმშვიდისა და გონიერების შენარჩუნება, ობიექტურობა, უანგარობა და მიუკერძოებელი მიდგომა. **ასევე ერთ-ერთი ძლიერი ნეგატიური ქმედება და ცოდვა უკავშირდება სხვისი მონაპოვრის, სხვისი ქონების განზრახ მითვისებას.** ამგვარი რამ ხშირად ხდება კონკურენტული ბრძოლის დროს, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს აკონტროლებს კორუფციის, კრიმინალური გზის, ძალდატანების, მოსყიდვის ხარჯზე. შემდეგ კი მის ქონებას კაპიკებად ყიდულობს. იგივე შეიძლება მოხდეს ნათესავთან, დედმამიშვილებთან მიმართებითაც, როცა საქმე ეხება მემკვიდრეობის ძალადობრივად ან მოტყუებით ხელში ჩაგდებას და როდესაც ახლობლებს დატოვებენ ქონების, საცხოვრებელი ადგილისა და დახმარების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ცოდვისგან გათავისუფლებისთვის აუცილებელია, ადამიანმა მიღებულ მოგებაზე მეტი გაიღოს, სხვებზე გადაანაწილოს (ქველმოქმედების, საჩუქრების, მიზნობრივი დახმარებების სახით). ასეთი რესურსის არქონის შემთხვევაში, გამართლებული იქნება ფიზიკური დახმარებაც. შემდეგი **ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცოდვა უკავშირდება საკუთარი თუ სხვისი სურვილებისა და მოთხოვნილების დაბალანსებას.** მაგალითად, წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც ორი ადამიანის პირადი ურთიერთობა გაწყდება ერთ-ერთი მათგანის სურვილით, რადგან სხვა შეუყვარდა. მისი ყოფილი სასიყვარულო პარტნიორი კი ყოველ ღონეს ხმარობს და უკან იბრუნებს, თუმცა, შემდეგ ხვდება, რომ ბევრი რამ შეიცვალა და უკვე თავად მას აღარ უყვარს და არ სჭირდება. ამიტომ თავადვე ანგრევს ურთიერთობას და პარტნიორს სახლიდან აგდებს. შედეგად არავინ არის ბედნიერი, ყველა უბედურია, თვითონაც, მისი ყოფილიც და ის მესამეც, რომელსაც დააშორა. საქმე კი ის გახლავთ, რომ **ყოველი ადამიანი, ინსტინქტურად, მხოლოდ მიღებისკენ არის მიმართული და როდესაც ძალით რაიმეს ართმევენ, მარტოობის, ყველაფრის დაკარგვის და განადგურების შიში უჩნდება, რაც აიძულებს, ნებისმიერ ფასად იბრძოლოს საკუთრების, საკუთარი ღირსებებისა და რესურსების დასაცავად.** უნდა აღინიშნოს, რომ **პლანეტა პლუტონი მხოლოდ იმ ენერგიას გვართმევს, რომელსაც არ ვიყენებთ ანდა, რომელიც ჩვენზე უარყოფითად მოქმედებს.** მაგალითად, ზოგიერთი ჩვენგანი ძველ ნივთებს, რომელიც ადრე მისთვის ღირებული იყო, აგროვებს, მაგრამ მიმდინარე მომენტისთვის, მოძველდა, უსარგებლო გახდა, მხოლოდ ადგილს იკავებს, მტვერს აგროვებს და შეიძლება ითქვას, რომ ნაგვად იქცა. **პლანეტა პლუტონის ზემოქმედებით კი მსგავსი ნაგავი ადამიანს ენერგიას ართმევს, ამიტომ მისგან უნდა გავთავისუფლდეთ. შესაბამისად, პლანეტა პლუტონი შექმნის ისეთ გარემოებებს, რომელიც აღნიშნულ ნაგავს გაანადგურებს,** მაგალითად, შესაძლოა, ზედა სართულის ბინიდან წყალი ჩამოიღვაროს და ეს შეგროვილი ნივთები გააფუჭოს. ადამიანიც იძულებული გახდება, გადაყაროს და ამით საკუთარი სივრცე გაათავისუფლოს. ნიშანდობლივია, რომ **ბედის ამგვარ დარტყმებთან გასამკლავებლად აუცილებელია ყველანაირი გამოუსადეგარი, უსარგებლო ნივთებისგან წინასწარი გათავისუფლება, მიზნებისა და პრიორიტეტების გადახედვა და თანამედროვე პირობებთან მისადაგება.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 21 - 27 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**სახლისა და ოჯახის საქმე მეტად ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, ამგვარად თქვენში ახალ შესაძლებლობებს აღმოაჩენთ. გარშემო მყოფნი პროფესიულ ზრდაში დაგეხმარებიან. შესაძლოა, დამატებითი ცოდნის ან ინფორმაციის მიღება აუცილებელი გახდეს. მჭრელი საგნების ან სახიფათო ტექნიკური ხელსაწყოების გამოყენებისას სიფრთხილე გმართებთ. ამ პერიოდში დამყარებული რომანტიკული კავშირი იმედს ვერ გაგიმართლებთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ეს კვირა ოპტიმიზმის, პოზიტიური განწყობისკენ გიბიძგებთ, მიუხედავად ამისა, შეეცადეთ, ახლობლების მიერ შემოთავაზებულ საეჭვო პროექტებში მონაწილეობა არ მიიღოთ. შესაძლოა, შეყვარებულმა სასიამოვნო სიურპრიზი მოგიწყოთ, რაც მისდამი ნდობას განამტკიცებს. ჯანმრთელობის მდგომარეობის მცირე ცვლილებასაც ყურადღებით მოეკიდეთ და მკურნალობა დროულად ჩაიტარეთ. მოგზაურობა კი გადადეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ჯგუფური მუშაობა პერსპექტიული აღმოჩნდება, მაგრამ პარტნიორებისთვის საკუთარი იდეის გაზიარება არ არის სასურველი. მეგობრებმა შესაძლოა, გაიძულონ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება, რაც შემდგომ უსიამოვნების მიზეზი გახდება. ალკოჰოლური სასმელებისა და მედიკამენტების მიღებას მოერიდეთ, საკვების ვარგისიანობაც შეამოწმეთ, უეცარი იდეები და შეხვედრები ადრე დასახულ გეგმებს შეგაცვლევინებთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ცხოვრების ტემპი გაიზრდება. ვალდებულებების რიცხვიც მოიმატებს. გადაადგილება და ხალხთან ურთიერთობა ხშირად მოგიწევთ, რაც მარტივი არ იქნება. ნაყოფიერი მუშაობისთვის ეცადეთ, ზოგჯერ მაინც განმარტოვდეთ. ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. ურთიერთობისას ყოველი სიტყვა წინასწარ გაიაზრეთ, რათა უხერხული სიტუაცია არ შექმნათ. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ეს კვირა ხელს შეუწყობს პრობლემების აღმოფხვრას, პერსპექტივების დასახვას, მკურნალობას და ძველი საქმეების დასრულებას. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ სფეროში აუცილებელი იქნება სიფრთხილის გამოვლენა. სამსახურში კონფლიქტების ალბათობა იარსებებს, ამიტომ კამათს მოერიდეთ. პირად ურთიერთობაში ჭირვეულობასა და კრიტიკას მოერიდეთ. ოპტიმისტურად განეწყვეთ და სირთულეებს ადვილად დაძლევთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ეს კვირა ხელს შეუწყობს იმიჯის შეცვლას, ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებას, ცოდნის გაღრმავებას. თავდაჯერებულობა მოგემატებათ. თქვენი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება. შესაძლოა, მკაფიოდ გამოხატული მიზნები და გეგმები არ გქონდეთ, რაც წინსვლას შეაფერხებს. კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად, ინფორმაციასა და საბუთებთან სამუშაოდ. მოგზაურობისას შესაძლოა, უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენს მსოფლმხედველობაზე მოახდენს გავლენას.**

## 21 - 27 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ორიგინალურობით და არაორდინარულობით გარშემო მყოფებს გააოცებთ. მომხდარი მოვლენების გაანალიზება და მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა სფეროში დამოუკიდებლობის მოპოვებაზე დაგაფიქრებთ. დროა ახალი საქმის დასაწყებად. მეგობრებთან შეხვედრებისას შესაძლოა, ახალი გაცნობილით მოიხიბლოთ და ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყოთ. მოგზაურობა-გადაადგილებებისას უფრო თავდაჯერებული გახდებით.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ჯანმრთელობა გაგიუმჯობესდებათ და ოპტიმიზმიც მოიმატებს, თავდაჯერებულობის, ხიბლისა და დადებითი განწყობის წყალობით გარშემო მყოფთა ყურადღების ცენტრში მოექცევით. საინტერესო იდეების მეშვეობით შეძლებთ საქმიანი კავშირების აღდგენას, გამყარებას და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სამსახურის საქმეებს უმოკლეს დროში თავს გაართმევთ. შეყვარებული კი კვლავ გაგებითა და ერთგულებით გაგახარებთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**გადაადგილება-კონტაქტების რაოდენობა გაიზრდება. ახალ ადამიანებს გაიცნობთ და დაუახლოვდებით, თუმცა, ამის გამო ძველ ურთიერთობებს ნუ გაწყვეტთ. შესაძლოა, საქმეების გარდაქმნა-გადაკეთება გახდეს აუცილებელი. საქორწინო და სასიყვარულო ურთიერთობებში დროებითი სიცივის გამო ნერვიულობა არ ღირს, რადგან სიტუაცია ადვილად გამოსწორდება. ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში დასვენება კი განწყობას გაგიუმჯობესებთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ადრინდელი დაუსრულებელი საქმეების მოგვარება ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, ამის გამო თავდაჯერება მოგემატებათ. გარისკვასა და სულსწრაფობას მოერიდეთ. როგორც პროფესიული ცოდნის გაღრმავება, ისე უცხო ენის სწავლა გაგიადვილდებათ, ჰარმონიული ურთიერთობის მიზნით ჯობს, დათმოთ და ახლობლების სურვილები გაითვალისწინოთ. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**შემოქმედებითი მიდგომა და შინაგანი ძალა გავლენიან და ავტორიტეტულ ადამიანებთან კონტაქტის დამყარებაში დაგეხმარებათ. გაზრდილი შემოსავალი ჯერ ფინანსების დაგროვების საშუალებას ვერ მოგცემთ, თუმცა, სახალისო იქნება ახალი ნივთების შეძენა. ახალ პროექტში სიჩქარე და რისკი გაუმართლებელი იქნება. ემოციებს ნუ აჰყვებით და ურთიერთობისას ყოველი სიტყვა გააკონტროლეთ. მოგზაურობისას სიფრთხილე გმართებთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**კომფორტისა და სიმშვიდის მოთხოვნილება თავისუფალი დროის სახლში გატარებისკენ გიბიძგებთ. ჩვეულებრივი ყოფითი წვრილმანები არამარტო სიამოვნებას მოგგვრით, არამედ ფსიქოლოგიურ განტვირთვასაც მოგანიჭებთ. სამუშაოს თავს ადვილად გაართმევთ. სასიყვარულო კავშირი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების სტიმულს მოგაწვდით. მოგზაურობის ალბათობა მცირეა. ახალი კავშირების დამყარებას კი მხოლოდ განსაკუთრებულ რჩეულ ადამიანებთან მოისურვებთ.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 23, 24 და 25 აგვისტო

16 აგვისტო - ახალმთვარეობა, პიკი - 13.39 საათზე;
31 აგვისტო - სავსემთვარეობა, პიკი - 05.37 საათზე.

# რას ურჩევს ასტროლოგი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 21 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.15 საათზე, ჩადის 19.53 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 10.54 საათზე, ჩადის 22.04 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 11.50 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.30 საათიდან 24.00 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, საკამათო საკითხები მშვიდად, აგრესიის გარეშე გადაწყვიტოთ. საღამოს კონფლიქტს მოერიდეთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარების, ავეჯის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. არ არის სასურველი ზედმეტი სითხისა და ალერგიული პროდუქტების მიღება. ეფექტური იქნება კბილების, ტერფების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 22 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.16 საათზე, ჩადის 19.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.06) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 11.58 საათზე, ჩადის 22.27 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 13.11 საათიდან, I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.06 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სიტყვები აკონტროლეთ, ინტუიციას დაეყრდენით და ემოციებიც გააკონტროლეთ. მოერიდეთ ჭორებს. დღეს შესაძლებელია დაკარგული ნივთის პოვნა. ეფექტური იქნება ენდოკრინული სისტემის, ყელყურ-ცხვირის მკურნალობა. კარგი დღეა ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, თვითშემეცნებისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, ინტიმური კონტაქტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, ტოპაზი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 23 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (13.02) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.17 საათზე, ჩადის 19.50 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 13.06 საათზე, ჩადის 22.54 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 13.36 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 03.06 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მზე გადაინაცვლებს ლომის ნიშნიდან ქალწულის ზოდიაქოში და გაამახვილებს ორგანიზებულობას, ნებისყოფას, შრომისუნარიანობას, პრაქტიკულობას, წესრიგისა და სისუფთავისკენ მიდრეკილებას და ასევე კრიტიკულობას, პირდაპირობას, სიჯიუტეს. დღეს წვრილმანს ყურადღება მიაქციეთ. ის მომავალში დიდ როლს შეასრულებს. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, ამიტომ ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. არ არის სასურველი მგზავრობა, ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია, სიცრუე და საქმის გარჩევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 24 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.18 საათზე, ჩადის 19.48 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.58) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 14.16 საათზე, ჩადის 23.28 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 16.06 საათზე. II ფაზა იწყება 13.58 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 09.10 საათიდან 11.58 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური რეტროგრადულ მოძრაობას იწყებს (15 სექტემბრამდე), რაც დაგვაბრუნებს ძველ საქმესა თუ ურთიერთობასთან, მის ანალიზზე ან ახლებურად განვითარებისკენ. ასევე ხელს შეუშლის ახალი საქმის დაწყებას, მოლაპარაკებებს, ინფორმაციის მოძიებას, მგზავრობას, კომპიუტერულ სისტემაში ტექნიკურ პრობლემებს შექმნის. დღეს კი ძველ ნაცნობებთან შეხვედრა შესაძლოა, მომავალისთვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, წყლის პროცედურებისთვის, მასაჟისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ოპალი, ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 25 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.19 საათზე, ჩადის 19.47 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 15.27 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 17.36 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კარგი დღეა პარტნიორული თანამშრომლობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, სიყვარულის ასახსნელად, მგზავრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, პრეზენტაციებისთვის. შედეგიანი იქნება ფილტვების, ხელების, მეტყველების მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშები, წყლის პროცედურები, მასაჟი. ამავდროულად, აზრები აკონტროლეთ. სიმშვიდე დაიცავით. ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, იაგუნდი, ლაზურიტი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 26 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.20 საათზე, ჩადის 19.45 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.07) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 16.36 საათზე, ჩადის 27 აგვისტოს 00.12 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 18.55 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.56 საათიდან 17.07 საათამდე. **ტენდენციები: იღბლიანი დღეა!** შესაძლებელია ადრე ჩაფიქრებული პოზიტიური იდეის განხორციელება. სამუშაოც წარმატებით წარიმართება. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, საღამოს ხელი შეეწყობა მავნე ჩვევისაგან გათავისუფლებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ფირუზი, ქარვა, საფირონი, ონიქსი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 27 აგვისტო, კვირა

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.21 საათზე, ჩადის 19:43 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 17.37 საათზე, ჩადის 28 აგვისტოს 01.09 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 19.51 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** სიცოცხლისუნარიანობა იმატებს. ნუ განმარტოვდებით. ხელი შეეწყობა კოლექტიურ დასვენებას. გააზრებული ქმედებანი წარმატების მომტანი იქნება. სიფრთხილე გმართებთ მჭრელ საგნებთან მიმართებით. კარგი დღეა კანისა და ფრჩხილების მოვლისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონებისა და მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. შესაძლებელია პარტნიორთან მტკივნეული საკითხების მოგვარება. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, გაცვლითი ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კბილები, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის.



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სახალხო მხატვრის**

**თემო გოცაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.**



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სახალხო არტისტის, რეჟისორისა და მწერლის**

**გოგი ხარაბაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.**

**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია** სამძიმარს უცხადებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს **ვახტანგ გომელაურს** მამის

**შალვა გომელაურის**

გარდაცვალების გამო.

**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია** სამძიმარს უცხადებს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრს **ლია ჭიღლაძეს** დედის

**თინა ჭიღლაძის**

გარდაცვალების გამო.




**შევიძენ**

**ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!**

**591 71 99 00**


**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. დრაჟე; 8. სადილი; 11. პოლინომი; 12. მარგო; 13. რჯული; 14. ნერონი; 15. კოლორადო; 16. სევდა; 17. ლიეპა; 18. ტბა; 19. ფალავანი; 23. რვალი; 24. ტარო; 25. ვიტი; 27. ნეი; 28. საბურთალო; 29. ტარა; 31. ნინო; 33. კარმა; 34. ბინი; 35. დარბაზობა; 36. ნიკეა; 38. ლანდი; 39. ლაიკა; 40. ვანილინი; 44. ნარმა; 45. პაბი; 47. ტეიდი; 48. ბისექტრისა; 49. კიტო; 50. სალტო; 51. ნაირა; 53. მელომანია; 58. ლოდი; 60. პოლო; 61. ბალი; 62. გარიბალდი; 63. სუფრა; 64. ასპიტი; 65. ოდეს.

შვეულად: 1. კოპოლა; 2. ბიცოლა; 3. კოდალა; 4. დიროლი; 5. ამულეტი; 6. ემისარი; 7. ტრავიატა; 8. სონატინა; 9. დერმატინი; 10. ლინდგრენი; 19. ფასადი; 20. ლიბერია; 21. ვარიანი; 22. ნეაპოლი; 25. ვოკალი; 26. ტირანია; 29. ტანინი; 30. რეკორდი; 32. ინდივიდი; 34. ბალატონი; 37. კარეტა; 40. ვაიმე; 41. ნიელო; 42. ლიტრა; 43. ნაიკი; 45. პას; 46. ბულდოგი; 49. კოლოსი; 52. რილკე; 53. მაგი; 54. ლორი; 55. მობი; 56. ნალო; 57. აზია; 59. დაფი; 61. ბაო.

**სერიალიკაპიტანინიკაპიტალინისანიტარიფიშერი**
**გალავანილიტრიტონიკითარაზოგანედილიმონიტორი**

| დიდი ფილმი | სამხედრო ჩინი | სახის ნაწილი | ესტონეთის დედაქალაქი | მედიცინის უმცროსი მუშაკი | ყოფილი ამერიკელი მოჭადრაკე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოგრძო გორა | ხის აღვირი | მთრიმლავი ნივთიერება | ქონება, განძი | იაპონური ავტო | ნიხრი | ამერიკელი მომღერალი ქალი |



თარაზულად: 1. მრგვალი ფორმის წვრილი კანფეტი; 8. შუადღის პურის ჭამა; 11. მათემატიკური მრავალწევრი; 12. ა. დიუმა „დედოფალი ...“; 13. სარწმუნოება (ზოგად.); 14. რომის იმპერატორი; 15. აშშ-ის შტატი; 16. დარდი, ნაღველი; 17. ბალტიისპირელი ბალერონი; 18. ბუნებრივი წყალსატევი; 19. განთქმული მოჭიდავე; 23. ბრინჯაო; 24. ყვავილედის ტიპი; 25. იტალიელი მსახიობი ქალი; 27. ნაპოლეონის მარშალი; 28. თბილისის უბანი; 29. შესაფუთი მასალა; 31. კაბადოკიელი წმინდანი; 33. ბედისწერა ბუდიზმში; 34. ბრიტანელი კომიკოსი; 35. რაუტი; 36. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში; 38. აჩრდილი; 39. ძაღლის ჯიში; 40. ვანილის სუროგატი; 44. უხეში მიტკალი; 45. ინგლისური ლუდხანა; 47. ვულკანი კანარის კუნძულზე; 48. კუთხის წვერზე გამავალი და მისი ორად გამყოფი ხაზი; 49. ეკვადორის დედაქალაქი; 50. აკრობატული ნახტომი; 51. ნიგერიის ფულის ერთეული; 53. მუსიკის დიდი სიყვარული; 57. დიდი ქვა; 60. ცხენბურთი; 61. კურკოვანი ხილი; 62. იტალიის სახალხო გმირი; 63. მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი; 64. შხამიანი გველი; 65. როდესაც (წიგნ.).

შვეულად: 1. ამერიკელი რეჟისორი; 2. ბიძის ცოლი; 3. ხეკაკუნა ფრინველი; 4. ერთგვარი სალეჭი რეზინი; 5. ავგაროზი; 6. საიდუმლო პოლიტიკური დავალებით არაოფიციალურად გაგზავნილი პირი სხვა ქვეყანაში; 7. ჯ. ვერდის ოპერა; 8. პატარა სონატა; 9. ხელოვნური ტყავი; 10. შვედი მწერალი ქალი; 19. შენობის წინა მხარე; 20. აფრიკის სახელმწიფო; 21. ი. გოგებაშვილის მშობლიური სოფელი; 22. ქალაქი იტალიაში; 25. მუსიკალური ნაწარმოების ხმით შესრულება; 26. დესპოტიზმი; 29. მთრიმლავი ნივთიერება; 30. ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 32. პიროვნება, ცალკე ადამიანი; 34. ტბა უნგრეთში; 37. დახურული ოთხთვალა ეტლი; 40. წუხილის შორისდებული; 41. მოსავალების ტექნიკა; 42. წონის ქართული ერთეული (ძვ); 43. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 45. უარის თქმა ბანქოს გაგრძელებაზე; 49. უზარმაზარი ქანდაკება, კოლონა; 52. ავსტრიელი მწერალი; 53. ჯადოქარი, მისანი; 54. ექიმი ჰაუსის როლის შემსრულებელი; 55. ჰ. მელვილი „... დიკი“; 56. ურმით მოთრეული დიდი მორი; 57. ქვეყნის ნაწილი; 59. დაირა; 61. მცირე ჩრდილი (საბა).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი | სითხის საზომი ერთეული | უალკოპოლო გაზიანი სასმელი | ვატერპასი | მანძილი ეკვატორიდან პოლუსისკენ | ციტრუსი | ნადირის თათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიდი კონცერტი | საკონდიტრო სანელებელი | პლანეტა ნეპტუნის თანამგზავრი | ძვ. ბერძნული სიმებიანი საკრავი | აქა-იქ | ტრიბუნის თანაშემწე ძვ. რომში | სამხედრო ჯავშნიანი გემი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 21 – 27 აგვისტო №37 (1501)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


